N 1 2024

მასწავლებელი

განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს: „დილემებით სწავლება“

მასწავლებელი

№1(98), 2024

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
ბერიკა შუკაკიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
ქრისტინა სურგულაძე,
მარიამ გოდუაძე,
მეგი კავთუაშვილი, ნინო ლომიძე,
მანანა სეხნიაშვილი,
მაია მენაბდე, მაია ფირჩხაძე,
თინათინ ზარდიაშვილი,
ნათელა ბაღათრიშვილი,
მაია სილაგაძე,
ქეთევან ოსიაშვილი,
ინა იმედაშვილი,
ქეთევან კობალაძე,
დიანა ანფიმიადი,
ლელა კოტორაშვილი,
მალინა საჯაია,
შორენა ტყეშელაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი,
ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი N6,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.

ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალ „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 / მ-374

www.tpdc.ge

რედაქტორისგან

ნატო ინგოროყვა

ჟურნალის თითოეული ნომრის მზადებისას, ცხადია, ვფიქრობთ მასწავლებელზე და იმ საჭიროებებზე, რომელთა წინაშეც ის ახლა დგას.

ვფიქრობთ მასწავლებელზე, რომელიც ჩვენგან დამოუკიდებლადაც ფიქრობს, როგორ მოემზადოს გაკვეთილისთვის, რა ასწავლოს და როგორ ასწავლოს ან რატომ ასწავლოს ესა თუ ის საკითხი და როგორ დაუკავშიროს ის მოსწავლის სამომავლო მოთხოვნებს.

სამომავლო მოთხოვნები კი ისეთივე ბუნდოვანია, როგორც ეს სიტყვათშეთანხმება.

სწრაფად ცვალებად სამყაროში მომავლის მოთხოვნები გაუთვალისწინებელია და ამ მოთხოვნებზე კონკრეტული პასუხები თითქმის არ გვაქვს. მაგრამ არსებობს პარადიგმა, რომელიც გამძლეა და მასზე მოთხოვნაც ჯერ-ჯერობით აქტუალურია. ცოდნა და უნარები, ასეთია ეს პარადიგმა დღეს და მის მისაღწევად მასწავლებელი სხვადასხვა, უკვე ნაცად თუ ახალ მეთოდს იყენებს.

ხშირად ამბობენ, რომ „მასწავლებლისთვის გაკვეთილი ერთგვარი „სცენაა“, რომელსაც მოსწავლეთა სახით სხვადასხვა ტიპის მაყურებელი ჰყავს. არც სპექტაკლი იქნება ყოველთვის ერთი და იმავე ხარისხისა. მაყურებლის უმრავლესობა აქაც სანახაობას არის დახარბებული, ამიტომ რეჟისორმა, მასწავლებელმა ხშირად უნდა აღიაროს თვისთვის, რომ ვერც როლები გაანაწილა შესაფერისად და ვერც გაკვეთილის სტრუქტურა დაგეგმა. ხანდახან თვითირონია მოიშველიოს და ყველაფერი თავიდან დაიწყოს.

შეცდომების დაშვების ალბათობა და მისი არეალი ფართოა. ეს მნიშვნელოვანი თავისებურებებია და მასწავლებლის პროფესიაში გულისხმობს: სამართლიანობას, იუმორის გრძნობას, თავაზიანობას, ურთიერთპატივისცემას, ბუნებრიობას, ურთიერთობის აღდგენისა და აქტიური მოსმენის უნარს, რაც ზრდის მასწავლებლის ავტორიტეტს, და კარგი პიროვნული ურთიერთობის ჩამოყალიბების საფუძველია. ეს შესაძლებლობაა, მასწავლებლის ფორმალური ავტორიტეტი მის პიროვნულ ავტორიტეტში გადაიზარდოს.

რა შეგვიძლია ჩვენ მასწავლებლისთვის?

ჟურნალის სტატიის ავტორები, პირადი თუ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით, ცდილობენ. მასწავლებლებს შეცდომების დანახვასა და აღიარებაში, მის უმტკივნეულოდ გამოსწორებაში დაეხმარონ. უპირველესი, მაინც, ამ შეცდომების არიდებაში დახმარებაა.

და, რაც მთავარია, მასწავლებელი მარტო არ უნდა იყოს ამ რთულ გზაზე, ყოველთვის უნდა გრძნობდეს მხარდაჭერას ყველა ინსტიტუციისგან თუ პიროვნებისგან, ვისაც ეს პირდაპირ თუ ირიბად ეხება.

მოსაზრება

ქრისტინა სურგულაძე

26 | როცა კლასი მრავალრიცხოვანია

არიან ისეთი ბავშვებიც, რომელთა სახელებიც და სახეებიც პირველივე გაკვეთილიდან გვახსოვს და ისეთებიც, ვისი სახელის გასახსენებლადაც დღის ბოლოს სიის შემოწმება გვჭირდება. ამას არაფერი აქვს საერთო მათ აკადემიურ მოსწრებასთან.

მარიამ გოდუაძე

38 | ფენომენზე დაფუძნებული სწავლების თეორიული ასპექტები

ფენომენზე დაფუძნებული სწავლება არის მოსწავლეზე ორიენტირებული, მულტიდისციპლინური სასწავლო მიდგომა, რომელიც ემყარება კვლევა-ძიებისა და პრობლემების გადაჭრის უნარებს. აღნიშნული მიდგომით, არცერთი საგანი არ ისწავლება და არც სწავლებას აქვს წინასწარ განსაზღვრული მიზანი.

მეგი კავთუაშვილი

52 | მშობლების უფლება-მოვალეობები სკოლაში

ოჯახი და სკოლა ბავშვის ზრდასა და განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ. მათ თანამშრომლობას მოსწავლეთა წარმატებისთვის უდიდესი სარგებლობა მოაქვს.

მანანა სეხნიაშვილი

54 | ვიფიქროთ და ვისაუბროთ გარემოზე

სამყაროში მიმდინარე ცვლილებები ხელს უწყობს ახალი აზროვნებისა და საგანმანათლებლო მეთოდების განვითარებას, რაც, თავის მხრივ, პიროვნული ზრდისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების საწინდარია.

გამოცდილება

ნინო ლომიძე

15 | თვითშეფასება და შეცდომების გასწორება წერითი მეტყველების გასაუმჯობესებლად

წერილობით მოსაზრების ჩამოყალიბება, სათქმელის ნათლად, მკაფიოდ გამოხატვა, არგუმენტირება-დასაბუთება, შესაბამისი მაგალითებით ილუსტრირება მნიშვნელოვანი უნარებია და ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე ამ მიმართულებას სათანადო დრო უნდა ეთმობოდეს.

მაია მენაბდე

19 | არდადეგების წინა კვირა

რა შეგვიძლია გავაკეთოთ ასეთ დროს ისეთი, რომ უკვე ჩვეული რიტმიდან გამოსული მოსწავლეები არ დავსტრესოთ, მაგრამ არც იმის განცდა გავუჩინოთ, რომ ტყუილად დადიან სკოლაში. რით შეიძლება გავხადოთ ეს დღეები ერთნაირად სასიამოვნო, პირველ რიგში, მოსწავლეებისთვის და, რა თქმა უნდა, ჩვენთვისაც?

მაია ფირჩხაძე

33 | საგაკვეთილო აქტივობები მედიაწიგნიერების უნარების ფორმირებისთვის

თანამედროვე პირობებში სასწავლო პროცესის განხორციელება გულისხმობს მედიაწიგნიერების ფუნქციების – სწავლების (მედიაწიგნიერების), ადაპტაციის, განმავითარებელი და მაორგანიზებელი ფუნქციების გამოყენებასაც.

თინათინ ზარდიაშვილი

42 | ტრანსპორტი მცენარეებში – ფიზიკისა და ბიოლოგიის ინტეგრირების მაგალითი

ადამიანი სხვადასხვა კუთხით შეიმეცნებს სამყაროს, რომელიც ერთიანია, მთლიანია, საგნებად და სფეროებად არ არის დანაწევრებული, მაშინ როდესაც ცალკეულ მოვლენასა თუ პროცესს სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინა დამოუკიდებლად შეისწავლის.

სარჩევი

დიანა ანფიმიადი
27 მედლის მეორე მხარე
ანუ ასსიტყვიანმა ესეიმ რა ჰქმნა

ლელა კოტორაშვილი
28 კითხვის დასმა ცნობისმოყვარეობის აღსაძვრელად

მალინა საჯაია
29 როგორ დავეხმაროთ ბავშვებს საშინაო დავალების შესრულებაში

შორენა ტყეშელაშვილი
30 რას ელიან მოსწავლეები სკოლისგან

კვლევა

ნათელა ბაღათრიშვილი, მაია სილაგაძე

4 მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დანერგვა და მონიტორინგი სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურებზე

კვლევამ წარმოაჩინა, რომ მასწავლებელთა შორის თანამშრომლობითი ატმოსფეროს შექმნა დადებით გავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე.

განათლების ფსიქოლოგია

ქეთევან ოსიაშვილი

23 უმცროსკლასელთა სასწავლო მოტივაციის ხელშემწყობი ფაქტორები

მოტივაციის პრობლემა მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ პრობლემათა რიგს განეკუთვნება. მისი შესწავლა საშუალებას გვაძლევს, გავიგოთ ადამიანის ქცევის შინაგანი მექანიზმები, მამოძრავებელი ფაქტორები და მიზნები.

ინა იმედაშვილი

46 „სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლება ინკლუზიურ გარემოში“ – მასწავლებლის სამაგიდო წიგნი

მოსწავლის ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მას აინტერესებს სათავგადასავლო ტექსტები, არის ძალიან ცნობისმოყვარე. სამუშაოდ სწორედ ასეთ ტექსტს შევთავაზებთ. სუსტი მხარე კი ის არის, რომ არ შეუძლია სწრაფად კითხვა, მარცვლავს სიტყვებს, წინადადების ამოკითხვას დიდხანს ანდომებს.

ქეთევან კობალაძე

49 საუბრები მშობლებზე და მათ შეცდომებზე

უფროსებისთვის შვილების სასკოლო მიღწევებს დიდი მნიშვნელობა აქვს, მოზარდებისთვის კი სკოლა წყაროა სტრესისა და შფოთვისა, რომელიც წლების განმავლობაში უფრო და უფრო ძლიერდება, რადგან საგნებისა და გაკვეთილების რაოდენობა იზრდება, საშინაო დავალებები რთულდება და სხვა სერიოზული დატვირთვაც ჩნდება.

ნათელა ბაღათრიშვილი

მაია სილაგაძე

მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დანერგვა და მონიტორინგი სწავლების საბაზო და საშუალო საფეხურებზე

კვლევამ წარმოაჩინა, რომ მასწავლებელთა შორის თანამშრომლობითი ატმოსფეროს შექმნა დადებით გავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე.

სტატია ეფუძნება სსიპ ქალაქ თელავის N7 საჯარო სკოლაში განხორციელებულ საჭიროებების კვლევას, რომლის მიზანი იყო, შეგვესწავლა, რა დამოკიდებულება აქვთ მასწავლებლებს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგიების მიმართ, რამდენად ინტენსიურად და ეფექტიანად მიმდინარეობს სწავლა-სწავლება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომების გათვალისწინებით და რამდენად თანამშრომლობენ მასწავლებლები ერთმანეთთან მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების სტრატეგიების სიღრმისეულად წვდომისა და საგაკვეთილო პროცესში მათი გამოყენების მიზნით.

საკვლევი კითხვებიდან და კვლევითი ამოცანებიდან გამომდინარე, ჰიპოთეზების შესამოწმებლად გამოყენებულ იქნა კვლევის შერეული ტიპი რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდებით. საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით და საჭიროების ერთიან ჭრილში დასანახად სსიპ ქალაქ თელავის N7 საჯარო სკოლის მასწავლებლებთან ერთად გამოკვლეულ იქნენ საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეებიც. კვლევის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ განხორციელდა ინტერვენციები. ქმედებათა განხორციელების დროს მასწავლებლებზე დაკვირვებამ და ანალიზმა მოგვცა შესაძლებლობა, შეგვეფასებინა ჩვენ მიერ ჩატარებული, პრობლემის გადაჭრასა და საჭიროების აღმოფხვრაზე ორიენტირებული ინტერვენციების ეფექტურობა.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რა მნიშვნელობა აქვს საკლასო სივრცეში მრავალფეროვანი რესურსების, აქტივობებისა და კომპლექსური დავალებების გამოყენებას და როგორია მოსწავლეთა შეხედულებები, მოსაზრებები და განცდები ამგვარი გაკვეთილების მიმართ. ანალიზის შედეგად ჩამოყალიბდა დასკვნები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, გავცეთ რეკომენდაციები მსგავსი პრობლემებისა და საჭიროებების გამოკვეთისა და მოგვარების მიზნით.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვანი როლი შეიძინა მოსწავლეზე ორიენტირებულმა სწავლებამ. ტრადიციული, მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლების სტილიდან ახალი, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო მიდგომების დანერგვაზე გადასვლა არცთუ იოლი პროცესია მასწავლებლებისთვის. ამ მიზნით საქართველოში განხორციელდა რამდენიმე პროექტი, რომელთაგან აღსანიშნავია „მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტი“, რომელიც „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს“ მხარდაჭერით განხორციელდა. ვფიქრობთ, მუდმივად უნდა მიმდინარეობდეს კვლევა და მონიტორინგი როგორც სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციის მხრივ, ისე ლოკალურ (სასკოლო) დონეზეც. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან კვლევისა და მონიტორინგის მიზანია რეალური სიტუაციის შეფასება და კონკრეტულ სოციუმში პრობლემებისა და საჭიროებების გამოკვეთა, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვასა და განხორციელებას, ეს კი, საბოლოოდ, ემსახურება სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას და რეფორმის წარმატებით განხორციელებას თითოეული სკოლის დონეზე.

წარმოგიდგენთ სსიპ ქალაქ თელავის N7 საჯარო სკოლაში ჩატარებულ სკოლის საჭიროებების კვლევის ეტაპებსა და შედეგებს.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის **ძირითადი მიზანია** სსიპ ქალაქ თელავის N7 საჯარო სკოლის მასწავლებელთა დამოკიდებულების კვლევა მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის კონცეფციის მიმართ და ამ კუთხით მათი თანამშრომლობის შესწავლა, ასევე – საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეთა შეხედულებების შესწავლა თანამედროვე სასწავლო მიდგომებთან დაკავშირებით. საჭიროა, გამოიკვეთოს ამ მიმართულებით სკოლაში არსებული რეალური მდგომარეობა/საჭიროება, გაირკვეს, როგორია მასწავლებელთა დამოკიდებულება მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის კონცეფციის მიმართ, რა ხარისხით მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება და რამდენად თანამშრომლობენ მასწავლებლები ერთმანეთთან სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

მიზნიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა ძირითადი **საკვლევი კითხვები** და შესაბამისი **ამოცანები**:

- საკვლევი თემის შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვა;
- კვლევის მეთოდების შერჩევა;
- შერჩეული მეთოდებისა და ინსტრუმენტების მიხედვით მონაცემთა შეგროვება;
- მონაცემთა ანალიზი და დასკვნების ფორმულირება;
- ინტერვენციების განხორციელება;
- ინტერვენციების შეფასება.

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სსიპ ქალაქ თელავის N7 საჯარო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის 36 მასწავლებელი, ყველა – მდედრობითი სქესის; ასევე – სსიპ ქალაქ თელავის N7 საჯარო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურების 119 მოსწავლე, რომელთაგან 65 გოგონაა, ხოლო 54 – ვაჟი. **შერჩევის მეთოდი** არაალბათურია.

კვლევითი კითხვები:

- როგორია თელავის მე-7 საჯარო სკოლის მასწავლებელთა დამოკიდებულება მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის კონცეფციის მიმართ და რამდენად არის დატვირთული სწავლა-სწავლების პროცესი მრავალფეროვანი აქტივობებით;
- რამდენად ინტენსიურად თანამშრომლობენ თელავის N7 საჯარო სკოლის მასწავლებლები სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

საკვლევი კითხვებიდან და კვლევითი ამოცანებიდან გამომდინარე, გამოყენებულ იქნა კვლევის **თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები**. როგორც ამერიკელი მკვლევრები ისადორ ნიუმანი და კეროლაინ ბენეკი ამბობენ, ამ ორი მეთოდის თანაარსებობასა და თანამშრომლობას შორის არსებობს „ინტერაქციული კონტინუუმი". მასწავლებლებთან კვლევა ჩატარდა ჯგუფური ინტერვიუს მეთოდით და კითხვარის გამოყენებით, ხოლო მოსწავლეებთან – ფოკუსჯგუფის მეთოდით და კითხვარის გამოყენებით.

რაოდენობრივი კვლევის მეშვეობით შევისწავლეთ მასწავლებელთა და მოსწავლეთა მოსაზრებები და შეფასებები, ხოლო თვისებრივი კვლევის მეშვეობით რესპონდენტებს მიეცათ შესაძლებლობა, აეხსნათ, რატომ ფიქრობდნენ ასე. კვლევა ჩატარდა რესპონდენტებისთვის ბუნებრივ ან/და სასურველ გარემოში – სკოლის ტერიტორიაზე.

კვლევის დაწყებამდე რესპონდენტებს მივაწოდეთ ზოგადი ინფორმაცია კვლევის მიზნების შესახებ. კვლევის თითოეულ ეტაპზე გათვალისწინებულ და დაცულ იქნა ეთიკური საკითხები.

კვლევა ანალიტიკურ ხასიათს ატარებს და მისი დიზაინი ძირითადად აგებულია კვლევის ქრონოლოგიური პრინციპის პანელურ მიდგომაზე, რომელიც იძლევა ერთი და იმავე შერჩევითი ჯგუფის შესწავლის საშუალებას დროის სხვადასხვა მონაკვეთში, კერძოდ, სასწავლო წლის დასაწყისში და სასწავლო წლის ბოლოს. კვლევის პირველ და მეორე ეტაპებს შორის მასწავლებლები ჩართული იყვნენ სკოლის ბაზაზე შექმნილი საინიციატივო ჯგუფის მიერ შეთავაზებული ქმედებების დანერგვის პროცესში.

მასწავლებელთა თვისებრივი კვლევის დროს მონაცემთა შესაგროვებლად გამოყენებულ იქნა ჯგუფური ინტერვიუს მეთოდი. თითოეული

ინტერვიუ ჩატარდა კათედრასთან. შესაბამისად, განხორციელდა 7 ჯგუფური ინტერვიუ. ჯგუფში რესპონდენტთა რაოდენობა სხვადასხვა იყო.

მოსწავლეთა თვისებრივი კვლევისთვის გამოყენებულ იქნა ფოკუსჯგუფები. ფოკუსჯგუფი ჯგუფური ინტერვიუს ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც ინტერვიუს მიმდინარეობას განიხილავს არა როგორც ინტერვიუერსა და თითოეულ წევრს შორის ურთიერთობას, არამედ როგორც ჯგუფურ ურთიერთქმედებას. ფოკუსჯგუფების შედეგად მიღებული თვისებრივი ინფორმაცია, როგორც წესი, ამდიდრებს რაოდენობრივ შედეგებს.

საბაზო და საშუალო საფეხურების თითოეულ კლასში ალბათური პრინციპით შეირჩა ფოკუსჯგუფის 5-5 წევრი. შესაბამისად, თვისებრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 45-მა მოსწავლემ. ჩატარდა 9 ფოკუსჯგუფი.

მასწავლებელთა და მოსწავლეთა კვლევისთვის შერჩეულ იქნა ფოკუსჯგუფის ჩატარების ლიბერალური სტილი.

კვლევის თითოეული ეტაპის დასრულებისთანავე დამუშავდა და გაანალიზდა ფოკუსჯგუფებისა და ჯგუფური ინტერვიუს გზით მოპოვებული მონაცემები. კვლევის დასაწყისში და ბოლოს ჩატარებულ ინტერვიუთა შედარებით გამოიკვეთა, რა გავლენა მოახდინა განხორციელებულმა ქმედებებმა სკოლაში სასწავლო პროცესის გაძლიერებასა და მოსწავლეზე ორიენტირებული აქტივობების გამოყენებაზე.

მასწავლებელთა რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტად შერჩეულ იქნა ფულერის, ჰოლისა და ჰორდის მიერ ჩამოყალიბებული „დამოკიდებულების/ინტერესის საფეხურების მოდელის“ მიხედვით შექმნილი SoC-კითხვარი. ის მოდიფიცირებულია ჩვენ მიერ დასმული საკვლევი კითხვის მიხედვით – მოიცავს ზოგადი მონაცემების ველს, ინსტრუქცია-მითითებებს კითხვარის შევსებასთან დაკავშირებით და 20 შეკითხვას.

კითხვარში გამოყენებულია ლიკერტის ერთგანზომილებიანი შეფასების სკალა ერთიდან ხუთამდე გრადაციით. კითხვარი შეიცავს ურთიერთთანამშრომლობასა და თანამედროვე სასწავლო მიდგომებთან დაკავშირებულ დადებით მტკიცებულებებს.

მოსწავლეთა რაოდენობრივი კვლევა განხორციელდა სკოლის ბაზაზე შემუშავებული კითხვარის მეშვეობით. კითხვარი შეიცავს სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებულ კითხვებს/დებულებებს.

შესაძლებელია, რესპონდენტებისგან მიღებული მონაცემები გენერალური ერთობლიობის (სსიპ ქალაქ თელავის N7 საჯარო სკოლის მასწავლებლებისა და საბაზო და საშუალო საფეხურების მოსწავლეების) წარმომადგენელთა აზრად მივიჩნიოთ, რადგან საბაზო და საშუალო საფეხურის 36 მასწავლებლიდან კვლევაში მონაწილეობა მიიღო 28-მ, ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურების 178 მოსწავლიდან კვლევაში ჩაერთო 119.

ცხრილი 1. მოსწავლეთა გადანაწილება კლასების მიხედვით

კლასი	VII	VIII	IX	X	XI
მოსწავლეთა	16	25	28	20	30
რაოდენობა/%	13.4%	21.1%	23.5%	16.8%	25.2%

შეგვიძლია ვთქვათ, რომ კვლევა ჩატარდა მაღალი სანდოობით. კვლევა რეპრეზენტაციულია და მეცნიერულად ამართლებს გამოკითხვის შედეგების გავრცობას. შერჩეული მეთოდები ხელსაყრელი და რელევანტურია, რათა დავადგინოთ, რამდენად არის გათვალისწინებული მოსწავლეზე ორიენტირებული კონცეფციები სწავლა-სწავლების პროცესში; როგორ შეიცვალა მასწავლებელთა თანამშრომლობითი კულტურა და მიდგომები მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების კუთხით გარკვეული ინტერვენციის განხორციელების შემდეგ.

ჩვენს კვლევაში ერთმანეთს დაუკავშირდა მოსწავლეებისა და მასწავლებლების კვლევით მოპოვებული მონაცემები. ჯგუფური ინტერვიუ ამყარებს მასწავლებელთა რაოდენობრივი კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს, ხოლო ფოკუსჯგუფის მეთოდით შეგროვებული ინფორმაცია აზუსტებს მოსწავლეთა რაოდენობრივი კვლევით მიღებულ შედეგებს.

მონაცემთა ანალიზი

მასწავლებელთა რაოდენობრივი კვლევის დროს შეგროვებულ მონაცემთა ანალიზით გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ ცოდნა ინტერაქციული, მოსწავლეზე ორიენტირებული, თანამედროვე მიდგომებზე დაფუძნებული მეთოდების

შესახებ; იციან, როგორ გააუმჯობესონ გაკვეთილის დაგეგმვისა და წარმართვის ხარისხი. მიუხედავად ამისა, მათ აქვთ მზაობა, მუდმივად მიიღონ ახალი ინფორმაცია ამა თუ იმ მეთოდთან დაკავშირებით, გაიზიარონ კოლეგების გამოცდილება, რაც ხელს შეუწყობს გაკვეთილების ეფექტიანად დაგეგმვასა და სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის ამაღლებას.









როგორც მოსალოდნელი იყო, მასწავლებელთა უმეტესობა წუხს, რომ ყოველთვის არ აქვს საკმარისი დრო მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის დასაგეგმავად, რადგან ეს პროცესი ძალიან შრომატევადია და ბევრ დროს მოითხოვს. შესაბამისად, აღნიშნავენ, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის დაგეგმვაში მათ ხელს უშლის დროის ნაკლებობა.





როგორც კითხვარებიდან ჩანს, მასწავლებლები მუდმივად ფიქრობენ იმის შესახებ, რა გავლენა შეიძლება მოახდინოს კონკრეტულმა გაკვეთილმა მოსწავლეთა წარმატებებზე, რამდენად იქნება წარმატების მომტანი მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენება და რამდენად შეუწყობს ხელს მოსწავლის მომავალ ცხოვრებაში ინტეგრირებას, რაც მათ მიერ გაცემული ერთმნიშვნელოვანი პასუხით დასტურდება. ასევე, მასწავლებლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რას ფიქრობენ მოსწავლეები მათ მიერ ჩატარებული გაკვეთილების შესახებ. იმავდროულად, იკვეთება ისიც, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა გაკვეთილის დაგეგმვის დროს ყოველთვის არ ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს. კერძოდ, 17 მასწავლებელს აქვს ნეიტრალური დამოკიდებულება, 9-ს მიაჩნია, რომ ეს დებულება მას შეესაბამება და მხოლოდ 2 მასწავლებლისთვის არის ის მიუღებელი. საბოლოო ჯამში, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ამ დროისთვის მასწავლებელთა უმრავლესობა თითოეულ გაკვეთილს არ გეგმავს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით.





გაკვეთილის დაგეგმვის დროს მნიშვნელოვნად მიიჩნევენ მრავალფეროვანი რესურსების გაკვეთილის შესაბამისად გამოყენებას, ამ მიზნით ქმნიან და ეძიებენ მათ.

















მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის ეფექტურად წარმართვა მასწავლებლისთვის ხანგრძლივი, მრავალმხრივი და შრომატევადი საქმიანობაა თავისი წარმატებითა და მარცხით, ამიტომ მასწავლებლების უმეტესობა ეთანხმება კოლეგებთან თანამშრომლობას და გამოცდილების გაზიარებას. მათ გამოხატეს კიდეც მაღალი მზაობა, ითანამშრომლონ კოლეგებთან მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო მიდგომებისა და მეთოდების შესწავლის მიზნით, ასევე – გაკვეთილების დაგეგმვის დროს, რაც სწავლა-სწავლების ხარისხს აამაღლებს, თუმცა სხვა მასწავლებლის დასახმარებლად გამოცდილების გაზიარებაზე პასუხისმგებლობას ნაკლებად იღებენ.

საყურადღებოა ანალიზის შედეგები აქტიური სწავლების სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენების შესახებ, რომლებიც ნახტომისებურად ეცემა დაბლა. გამოიკვეთა, რომ კვლევის მონაწილეთათვის პრობლემაზე, კვლევასა და პროექტზე დაფუძნებული სწავლება საკმაოდ დიდ სირთულეს წარმოადგენს, რადგან უმეტესობამ დებულებაზე: „კვლევაზე, პროექტსა და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება ჩემი ძლიერი მხარეა“, – შეარჩია პასუხები: „არ შემესაბამება“ ან „ნაკლებად შემესაბამება“. კერძოდ, პროექტებით სწავლებას თავის ძლიერ მხარედ მიიჩნევს მხოლოდ სამი მასწავლებელი, 25-ს კი ამ მიდგომით სწავლება უჭირს. პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას თავის ძლიერ მხარედ მიიჩნევს 4 მასწავლებელი, 6 მასწავლებლისთვის ამგვარი მიდგომა ქმნის საშუალო დონის სირთულეს, ხოლო 18-ისთვის ეს დებულება სრულიად შეუსაბამოა, რადგან ამგვარ სწავლებას თავის სუსტ მხარედ მიიჩნევს. კვლევაზე დაფუძნებული სწავ–ლება თითქმის ყველა მასწავლებლისთვის სისუსტეს წარმოადგენს. განმავითარებელი შეფასების გამოყენებისა და მნიშვნელობის შესახებ მასწავლებლებმა ნეიტრალური დამოკიდებულება გამოხატეს, რასაც, ბუნებრივია, მოველოდით, რადგან საბაზო და საშუალო საფეხურებზე სავალდებულოა, სისტემატურად აღირიცხებოდეს განმსაზღვრელი შეფასება საკლასო და საშინაო კომპონენტებში.









საბოლოოდ, მასწავლებელთა რაოდენობრივი კვლევის ანალიზის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებლები გაკვეთილის დაგეგმვის დროს ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს; იყენებენ სხვადასხვა რესურსს; აქვთ თანამშრომლობის სურვილი და სხვისი გამოცდილების გაზიარებისთვის მზაობა. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ფლობენ კონსტრუქტივისტული გაკვეთილის დაგეგმვის ცოდნასა და უნარებს, თანამედროვე სასწავლო მიდგომებსა და მეთოდებს და შეფასებას აკეთებენ მოსწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად. თუმცა აშკარაა, რომ მასწავლებლებისთვის სერიოზულ სირთულეს წარმოადგენს პრობლემაზე, კვლევასა და პროექტზე დაფუძნებული სწავლება.

მასწავლებლებთან ჩატარებული ჯგუფური ინტერვიუს ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აცნობიერებენ, რა არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება. ისინი საუბრობენ ინდივიდუალურ მიდგომებზე, მოსწავლის ფსიქოტიპის გათვალისწინების აუცილებლობაზე, სხვადასხვა გზით შემსწავლელ მოსწავლეზე. მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების, საჭიროებებისა და უნარების გათვალისწინება და თითოეული მათგანის ჩართვა სასწავლო პროცესში. აღნიშნავენ, რომ მოსწავლეზე ორიენტირებულია სწავლება, თუ ის მოსწავლის რომელიმე უნარის გამოვლენას ან განვითარებას ემსახურება. აქვე, უცხო ენის კათედრის მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს პრობლემაზე, რომ უცხო ენის სწავლების პროცესში შეუძლებელია თითოეული მოსწავლის საჭიროებისა და შესაძლებლობის დადგენა მოსწავლეთა მრავალრიცხოვნების გამო. იგი მიიჩნევს, რომ „თუ საკლასო ოთახში მოსწავლეთა რაოდენობა ოცს გადააჭარბებს, უცხო ენის სწავლება წარმოუდგენელია“. თუნდაც ეს პრობლემა გადაილახოს, რთულია ინდივიდუალურად სხვადასხვა დავალებისა და აქტივობის შესრულება. ინტერვიუს დროს მასწავლებლებს გაუჭირდათ მოსწავლეზე ორიენტირებული რომელიმე მიდგომის დასახელება და ძირითადად ინდივიდუალურ მუშაობაზე გაამახვილეს ყურადღება. უფრო მეტიც: ისაუბრეს საგაკვეთილო დროის ხანგრძლივობასა და მოსწავლეთა რაოდენობაზე: „წარმოიდგინეთ, 45 წუთი გვაქვს და 30 მოსწავლე ზის კლასში, თითო მოსწავლესთან ინდივიდუალურად მისასვლელად 1,5 წუთიც არ არის“. ნათელია, რომ მათთვის არ არის ცნობილი ისეთი სასწავლო მიდგომები, რომელთა გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს მოსწავლესთან ინდივიდუალურად მისვლის აუცილებლობას, – მაგალითად, ჯიქსოუს მეთოდი, „სასწავლო გაჩერებები“ და სხვა, და ცოდნის აგება ხდება მოსწავლეთა თანამშრომლობით.

საბაზო საფეხურის მასწავლებელი აღნიშნავს, რომ ხშირად მოსწავლეებმა არ იციან, როგორ უნდა ისწავლონ, ვერ აცნობიერებენ, სწავლის რომელი სტილი უადვილდებათ, რომელი წარმოადგენს მათთვის სირთულეს. მასწავლებლებს არ უხსენებიათ, რომ სწორედ მათი მოვალეობაა, მოსწავლეს დახმარება გაუწიონ მეტაკოგნიციაში, სწავლის სტილისა და მიდგომის შერჩევაში, რაც

მოიაზრებს, მაგალითად, კოგნიტიური სქემების აგებას და სხვა აზრობრივი რუკების შექმნას.

როგორც ანალიზიდან ჩანს, საგნობრივ კათედრებზე არ მიმდინარეობს თანამშრომლობა პედაგოგიური პრაქტიკის გასაუმჯობესებლად და სწავლა-სწავლების ხარისხის ასამაღლებლად. აღმოჩნდა, რომ არცერთი მეთოდური სტატია ან სხვა ლიტერატურა ერთობლივად არ განუხილავთ – დამოუკიდებლად მუშაობენ საკუთარ თავზე.

მასწავლებელთა კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ STEM-საგნების მასწავლებლებმა, რომელთაც გავლილი ჰქონდათ „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს“ ფარგლებში ჩატარებული ტრენინგები, მკაფიოდ იმსჯელეს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების კონცეფციაზე.

მოსწავლეთა რაოდენობრივი კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ მასწავლებლები ძირითადად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს. 53 მოსწავლე მიიჩნევს, რომ მათი ინტერესები ნაწილობრივ არის გათვალისწინებული, ხოლო 44-ს მიაჩნია, რომ საგაკვეთილო პროცესში მათი ინტერესები უმეტესად გათვალისწინებულია. მხოლოდ 9 მოსწავლე ფიქრობს, რომ საგაკვეთილო პროცესი მათ ინტერესებს არ არის მორგებული. გამოკითხულთაგან 38 მოსწავლე აღნიშნავს, რომ გაკვეთილზე სხვადასხვა აქტივობა ხორციელდება, 38 – ნაწილობრივ, ხოლო 43 მოსწავლე მიიჩნევს, რომ სხვადასხვა აქტივობა ინტენსიურად არ მიმდინარეობს.

კითხვაზე: შეფასების დროს აკეთებენ თუ არა მასწავლებლები კომენტარს? – მოსწავლეთა უმრავლესობა (71) დადებითად პასუხობს, 23 მოსწავლე ფიქრობს, რომ ნაწილობრივ, ხოლო 25-ს მიაჩნია, რომ არ იღებს დამაზუსტებელ კომენტარს შეფასების დროს. ამასთანავე, გამოკითხვის მიხედვით, შეფასების კრიტერიუმები იცის 53-მა მოსწავლემ, ნაწილობრივ იცის 36-მა, ხოლო 30 მოსწავლეს კრიტერიუმების შესახებ ინფორმაცია არ აქვს. გაკვეთილზე კითხვების დასმის შესაძლებლობა აქვს 97 მოსწავლეს, 11 მოსწავლეს – ნაწილობრივ, ხოლო 11-ს ასეთი შესაძლებლობა

არ ეძლევა. 105 მოსწავლე აღნიშნავს, რომ გამოკითხვის დროს ძირითადად ჰყვებიან გაკვეთილს, 10 მოსწავლე აღნიშნავს, რომ ნაწილობრივ, მხოლოდ 4 მოსწავლე უარყოფს გაკვეთილის ჩაბარებას მოყოლის მეთოდით.

კითხვაზე, მიმდინარეობს თუ არა პროექტებით სწავლება, 104 მოსწავლე უარყოფითად პასუხობს, 11 მოსწავლე აღნიშნავს რომ ნაწილობრივ, ხოლო 4 მოსწავლე ეთანხმება დებულებას. დაახლოებით იგივე შედეგი გვაქვს რესურსებთან დაკავშირებით: 99 მოსწავლეს მიაჩნია, რომ საგაკვეთილო პროცესში მრავალფეროვანი რესურსებით არ სარგებლობენ, 14 მოსწავლის აზრით, ნაწილობრივ და მხოლოდ 6 მოსწავლე აფიქსირებს მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებას.

მოსწავლეთა რაოდენობრივი კვლევის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებლები ძირითადად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, მოსწავლეებმა უმეტესად იციან, რა კრიტერიუმებით ფასდებიან და შეფასების დროს მასწავლებლებისგან იღებენ საფუძვლიან უკუკავშირს. ვფიქრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს გაკვეთილზე აქვთ კითხვების დასმის შესაძლებლობა, მაგრამ გამოიკვეთა, რომ ინტენსიურად მიმდინარეობს ახსნა-გამოკითხვაზე ორიენტირებული ტრადიციული გაკვეთილები, არ ახორციელებენ პროექტებს და საგაკვეთილო პროცესში არ არის გამოყენებული მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები.

მოსწავლეებთან ფოკუსჯგუფი ძალიან ფრთხილად წარვმართეთ, მივეცით საშუალება, ემსჯელათ, როგორი იყო მათთვის იდეალური გაკვეთილი, როგორი იყო მათი სურვილები. მიღებული მონაცემების ანალიზიდან ჩანს, რომ მოსწავლეებს მოსწონთ თავისუფალი, არაფორმალური გაკვეთილები, რომლებიც შესაძლოა სკოლის კედლებს სცდებოდეს, მაგალითად, „მინდა, რომ მასწავლებლის დახმარებით განვახორციელოთ ნებისმიერი პროექტი, მარტო ვერ შევძლებთ, მაგრამ მასწავლებელთან ერთად ყველაფერს ადვილად გავაკეთებთ“, – აშკარად ჩანს, რომ მოსწავლეს აქვს მაღალი ნდობა მასწავლებლის მიმართ, იმავდროულად, მისი თვითშეფასება დაბალია, ფრთხილობს და მიაჩნია, რომ დახმარება სჭირდება, რის გამოც ვერ იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე.

საინტერესოდ იმსჯელეს შეფასებების შესახებ და აღნიშნეს, რომ ძირითადად იციან, რა კრიტერიუმებით უნდა შეფასდნენ კონკრეტული დავალების შესრულების შემდეგ. მასწავლებლისგან თითქმის ყოველთვის იღებენ მკაფიო განმარტებას მიღებული შეფასების შესახებ, თუმცა აღნიშნავენ, რომ ურჩევნიათ, მასწავლებელმა მხოლოდ სიტყვიერი შეფასება მისცეს და ქულები არ გამოიყენოს.

კვლევის პროცესში მონაცემთა ანალიზის შედეგად ჩამოყალიბდა გარკვეული **მიგნებები:**

- მასწავლებელთა უმეტესობამ არ იცის ახალ 2018-2024 წლების ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილი ცვლილებების შესახებ;
- მასწავლებლებს უჭირთ, ერთიან ჭრილში განიხილონ პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებული კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო კონცეფცია და ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები;
- მასწავლებელთათვის ჩვეული პრაქტიკა არ არის მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილების დაგეგმვა და ჩატარება;
- მასწავლებლებს სჭირდებათ მხარდაჭერა კვლევაზე, პრობლემასა და პროექტზე დაფუძნებული სწავლების ხელშესაწყობად;
- კათედრაზე შეხვედრები გეგმურია და ძირითადად შემოიფარგლება ტრაფარეტული საკითხებით (მაგალითად, სახელმძღვანელოების არჩევა, სემესტრის შეჯამება და ა.შ.), არ ხდება ერთობლივად დაგეგმვა, რუბრიკების შექმნა და მეთოდოლოგიური ლიტერატურის განხილვა, რაც ქმნის თანამშრომლობითი კულტურის დეფიციტს.

ინტერვენციების განხორციელება და შეფასება

განხორციელებული კვლევის შედეგად მოპოვებულ მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის შემდეგ დადგინდა, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დასანერგად მასწავლებლებს ადმინისტრაციის მხრივ გარკვეული მხარდაჭერა სჭირდებოდათ, რის საფუძველზეც განხორციელდა რამდენიმე ძირეული ქმედება. აქტიური მუშაობა დაიწყო „ლიდერობის აკადემიის ფარგლებში“ სკოლის ბაზაზე შექმნილმა საკონსულტაციო და მონიტორინგის ჯგუფმა, რაც გამოიხატება თითოეულ კათედრასთან თანამშრომლობით, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვით

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რა მნიშვნელობა აქვს საკლასო სივრცეში მრავალფეროვანი რესურსების, აქტივობებისა და კომპლექსური დავალებების გამოყენებას და როგორია მოსწავლეთა შეხედულებები, მოსაზრებები და განცდები ამგვარი გაკვეთილების მიმართ.

და ჩატარებით; გაძლიერდა თანამშრომლობა STEM-საგნების მასწავლებლებთან, რათა სხვა პედაგოგებს მათგან მიეღოთ „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს“ ფარგლებში ჩატარებულ ტრენინგებზე შეძენილი გამოცდილება, რომელიც მთლიანად მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო მიდგომების შესწავლას ემსახურებოდა; ინტენსიურად მიმდინარეობდა გაკვეთილებზე არაფორმალური და ფორმალური დასწრება, შესაბამისი უკუკავშირისა და საჭირო რეკომენდაციების გაცემა. თითოეული ქმედება დაიგეგმა და განხორციელდა მასწავლებელთა საჭიროების გათვალისწინებით. ინტერვენციების დანერგვის დროს ჩვენ მიერ დაგეგმილ პრაქტიკულ სამუშაოებთან ერთად გამოყენებული იყო „ლიდერობის აკადემიის“ სატრენინგო მასალა.

ინტერვენცია 1.

სამი სამუშაო შეხვედრა, თითოეულის ხანგრძლივობა – 1.5 საათი. შეხვედრებზე – ახალი (2018-2024 წ.წ.) ეროვნული სასწავლო გეგმის ზოგადი ნაწილის განხილვა, დამუშავება, დისკუსია. თითოეულ შეხვედრაზე – *თეორიული საკითხების* განხილვასთან ერთად *პრაქტიკული მუშაობა* და *სიტუაციების ანალიზი.*

სამუშაო შეხვედრა 1.

თავი I. ესგ-ის სტრუქტურა, ტერმინოლოგიური ლექსიკონი და ზოგადი განათლების საფეხურები

მუხლი 1. შესავალი
მუხლი 2. ესგ-ის სტრუქტურა და ტერმინოლოგიური ლექსიკონი

თავი II. სწავლა-სწავლების მიზნები და საგანმანათლებლო პრინციპები

მუხლი 5. საბაზო საფეხურის მისია
მუხლი 6. საშუალო საფეხურის მისია
მუხლი 7. ესგ-ის სწავლა-სწავლების მიზნები
მუხლი 9. ესგ-ის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები

სამუშაო შეხვედრა 2.

თავი III. ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები

მუხლი 10. მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომები
მუხლი 12.სიღრმისეული სწავლება
მუხლი 13. მოსწავლის მოტივაციის ამაღლება
მუხლი 15. მოსწავლეთა ჩართულობა

სამუშაო შეხვედრა 3.

თავი IV. საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება

მუხლი 20. საგნობრივი კათედრები საჯარო სკოლაში

თავი VII. მოსწავლის შეფასების სისტემა

მუხლი 27. მოსწავლის შეფასების მიზნები, პრინციპები და ამოცანები
მუხლი 28. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება
მუხლი 29. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების აღწერილობა

ინტერვენცია 2.

სამი კვირის ვადაში საგნობრივ კათედრებზე მარიანა ხუნძაყიშვილისა და სარა ბივერის მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელოს „განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება“ დამუშავება; შემაჯამებელი საერთო შეხვედრა და მოცემული ლიტერატურის ერთობლივი განხილვა.

ინტერვენცია 3.

სამი სამუშაო შეხვედრა კათედრების მიხედვით, კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინებით, სტანდარტული გაკვეთილების დაგეგმვა.

დაგეგმილი გაკვეთილების ჩატარება, განხილვა, საკონსულტაციო და მონიტორინგის ჯგუფის მიერ ეფექტური უკუკავშირისა და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

ინტერვენცია 4.

ორი სამუშაო შეხვედრა პროექტებით სწავლებასთან დაკავშირებით. სხვადასხვა კათედრის წევრთა მიერ ერთობლივი სასწავლო პროექტების დაგეგმვა და განხორციელება.

ინტერვენცია 5.

ორი სამუშაო შეხვედრა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დასაუფლებლად. საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებმა მოიფიქრეს პრობლემური სიტუაციები და დაგეგმეს გაკვეთილები ამ პრობლემის გადასაჭრელად.

ინტერვენცია 6.

2019-2020 სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებელთა სასკოლო კონფერენციის ორგანიზება, სადაც სსიპ ქალაქ თელავის N7 საჯარო სკოლის მასწავლებლები წარადგენენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებასთან დაკავშირებულ მეთოდოლოგიურ საკითხებს, რომლებზეც, სურვილის შემთხვევაში, ზაფხულის არდადეგების განმავლობაში იმუშავებენ.

ინტერვენციების შეფასება და დაკვირვების ანალიზი. ჩვენ მიერ შეთავაზებული ქმედებები ორიენტირებული იყო მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე, კერძოდ, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მართვაზე, ასევე – მასწავლებელთა შორის თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებაზე.

პირველი ინტერვენცია საბაზისო საკითხების დამუშავებას დაეთმო. ცხადია, მასწავლებლებისათვის ეს საკითხები უცხო არ ყოფილა, მაგრამ შემდგომი, ძირეული ინტერვენციების ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ ამ მიმართულებით მასწავლებელთა ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურება და გამთლიანება. მით უმეტეს, რომ ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში (2018-2024 წ.წ.) შეტანილია ძირეული ცვლილებები, რომელთა გაცნობა-დამუშავება მნიშვნელოვან ფაქტორად მივიჩნიეთ.

მეორე ინტერვენციის დროს მასწავლებლებმა საგნობრივ კათედრებზე ერთმანეთთან თანამშრომლობით დაამუშავეს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ხელშემწყობი მეთოდური ლიტერატურა. რამდენიმე კვირის განმავლობაში მათ მოუხდათ გეგმურად შეხვედრა და მუშაობა. როგორც თვითონ აღნიშნეს, პირველ შეხვედრებზე მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობის გამო იკრიბებოდნენ, ხოლო მუშაობის პროცესში იგრძნეს კმაყოფილება და თანდათან შეხვედრები სასიამოვნო გახდა. ამ ქმედებამ ხელი შეუწყო მეთოდოლოგიური საკითხების გაანალიზებასა და საგნობრივი კათედრის წევრებს შორის თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებას.

მესამე ინტერვენციის დროს ყურადღება გავამახვილეთ პროექტზე დაფუძნებულ სწავლებაზე.

სხვადასხვა კათედრის წევრები შემთხვევითობის პრინციპით დაწყვილდნენ. მოიფიქრეს ორივე საგნობრივი კომპეტენციისთვის საერთო თემა და ჩვენ მიერ შეთავაზებული სტრუქტურის მიხედვით დაგეგმეს პროექტი, რომელიც ერთობლივად განახორციელეს. მასწავლებელთა ერთმა ჯგუფმა აღნიშნა, რომ პროექტებით სწავლება მათთვისაც სახალისო იქნებოდა, მოსწავლეები კი უფრო მეტად დაინტერესდებოდნენ და მათი მოტივაცია მოიმატებდა. ინტერვენციამ ხელი შეუწყო სხვადასხვა კათედრის წევრთა ერთობლივ მუშაობას. იგივე შეიძლება ითქვას მეოთხე ინტერვენციაზე, რომელიც ეხებოდა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიის დამუშავებასა და პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილების დაგეგმვას.

ბოლო ინტერვენცია მასწავლებელს ანიჭებს სრულ დამოუკიდებლობას, რათა შეარჩიოს დასამუშავებელი საკითხი და მოამზადოს ის კონფერენციაზე წარსადგენად.

განხორციელებული ინტერვენციების შესაფასებლად მუდმივად ვაკვირდებოდით სამუშაო პროცესს და შევაგროვეთ მონაცემები შესაბამისი ინსტრუმენტის – დაკვირვების დღიურის მეშვეობით, ასევე ჩავატარეთ ფოკუსირებული ინტერვიუ მასწავლებლებთან.

არ გვქონია იმედი, რომ ერთი სემესტრის განმავლობაში განხორციელებული ქმედებებით მოხერხდებოდა იმ საჭიროებების მაქსიმალურად დაძლევა, რომლებიც კვლევის შედეგად გამოიკვეთა, მაგრამ აშკარაა, რომ მნიშვნელოვნად შეიცვალა მასწავლებელთა დამოკიდებულება მოსწავლეზე ორიენტირებული აქტიური სწავლების მიმართ. მათივე თქმით, „არც ისე რთული ყოფილა პროექტის დაწერა და განხორციელება“, „ზაფხულში ორ ან სამ პრობლემას მოვიფიქრებ და დავგეგმავ“. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებელთათვის პრობლემასა და პროექტზე დაფუძნებული სწავლება სირთულეს აღარ წარმოადგენს.

ინტერვენციების დანერგვის პროცესზე დაკვირვებამ და გაანალიზებამ, ასევე მეორე ეტაპზე განხორციელებული ფოკუსჯგუფის მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ მასწავლებელთა დამოკიდებულება აშკარად შეიცვალა პოზიტიური კუთხით, მაგრამ მაქსიმალური შედეგი არ მიგვიღია.

ამდენად, ამ ეტაპზე კვლევას შეგვიძლია შუალედური ვუწოდოთ, რადგან შუალედური შეფასების შესაძლებლობას გვაძლევს. მაქსიმალური შედეგის მისაღებად, – პროექტსა და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება მასწავლებლების ძლიერ მხარედ იქცეს, – ვფიქრობთ, საჭიროა გარკვეული ინტერვენციების გაგრძელება. ჩვენი გეგმის მიხედვით, ინტერვენციების დროს კვლევაზე დაფუძნებული სწავლების სტრატეგიების დანერგვაზეც ვიმუშავებთ.

დასკვნა

კვლევამ წარმოაჩინა, რომ მასწავლებელთა შორის თანამშრომლობითი ატმოსფეროს შექმნა დადებით გავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე:

- გაუმჯობესდა საკლასო მუშაობა – სწავლება ძირითადად მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო მიდგომებით;
- მასწავლებელთა უმრავლესობამ დაგეგმა და განახორციელა სასწავლო და სოციალური პროექტები, თუმცა ამ მიმართულებით სამუშაო კიდევ ბევრია;
- გაიზარდა ურთიერთთანამშრომლობა სსიპ ქალაქ თელავის N7 საჯარო სკოლის მასწავლებლებს შორის;
- ჩამოყალიბდა პოზიტიური დამოკიდებულება მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და თანასწავლების მიმართ.

რეკომენდაციები

- გააგრძელოს მუშაობა სკოლის ბაზაზე არსებულმა საკონსულტაციო და მონიტორინგის ჯგუფმა, რომელიც ხელს შეუწყობს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასა და ურთიერთთანამშრომლობას;
- მნიშვნელოვანია, სკოლის ბაზაზე დირექციისა და მასწავლებლების მხრიდან, საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევასთან ერთად, მუდმივად მიმდინარეობდეს კვლევები საჭიროებების დასადგენად და ეს არ უნდა იყოს კრედიტქულების დაგროვებაზე მიბმული აქტივობა;
- საჭიროებების აღმოფხვრისა და პრობლემის მოგვარების მიზნით, საჭიროებებიდან გამომდინარე, გაიწეროს მომდევნო სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა.

ნინო ლომიძე

თვითშეფასება და შეცდომების გასწორება წერითი მეტყველების გასაუმჯობესებლად

წერილობით მოსაზრების ჩამოყალიბება, სათქმელის ნათლად, მკაფიოდ გამოხატვა, არგუმენტირება-დასაბუთება, შესაბამისი მაგალითებით ილუსტრირება მნიშვნელოვანი უნარებია და ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე ამ მიმართულებას სათანადო დრო უნდა ეთმობოდეს.

წერითი უნარის განვითარება შრომატევადი პროცესია.

„ვერ ვწერ“ ზოგჯერ საკუთარი თავისთვისვე გამოტანილი „განაჩენია“, ზოგჯერ – ერთგვარი მარტივი გამოსავალი, ზოგჯერ – თავის მართლების მცდელობა.

„ვერ ვწერ თემებს და მორჩა!“

არადა, ასე არ ხდება, და თუ მოსწავლეს ეს მიმართება ჩამოუყალიბდა და განუმტკიცდა, ნიშნავს, რომ რაღაც არასწორად წარიმართა.

წერილობით მოსაზრების ჩამოყალიბება, სათქმელის ნათლად, მკაფიოდ გამოხატვა, არგუმენტირება-დასაბუთება, შესაბამისი მაგალითებით ილუსტრირება მნიშვნელოვანი უნარებია და ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე ამ მიმართულებას სათანადო დრო უნდა ეთმობოდეს.

აუცილებელია აღინიშნოს: თხზულებების იმ ფორმით წერა, რომლითაც წინა ათწლეულებში მოგვეთხოვებოდა, უსარგებლო და უფუნქციო გარჯაა.

დავაკონკრეტებ: მაღალფარდოვანი სტილი, ლიტერატურის თეორიის საკითხების სიღრმისეული ცოდნა, მხატვრული ტექსტის ფილოლოგიური/ფსევდოფილოლოგიური ანალიზი, რამდენიმეგვერდიანი „გარჩევა“ საშუალო სკოლის მოსწავლის კომპეტენცია არ არის. საზოგადოდ, ჩვენი მშობლიური ლიტერატურის სასკოლო კურსი ძალიან ჰგავს სწორედ ფილოლოგიის ფაკულტეტისთვის მოსამზადებელ წინა საფეხურს. სტანდარტში გაწერილ მიზნებსა და მისაღწევ შედეგებთან ერთად სავალდებულო პროგრამულ ჩამონათვალში იმდენი სპეციფიკური „საცოდნელი“ მასალაა თავმოყრილი, ბუნებრივად მიჩნდება კითხვა: რაში სჭირდება ეს ყველაფერი ადამიანს, რომელსაც არ აქვს გადაწყვეტილი, ფილოლოგიის განხრით გააგრძელოს პროფესიული განვითარება? ამ უზარმაზარი მოცულობის მასალის დაძლევა საფეხურის ფარგლებში მართლა შესაძლებელია? სტანდარტი ზედმეტად ამაღლებულ წარმოდგენას ხომ არ გვიქმნის პროცესზე? რამდენად რეალურია ყველა ამ შედეგის მიღწევა? მაგრამ ეს ცალკე მსჯელობის თემაა და სასკოლო კურსის პრობლემები არაერთ წერილში მაქვს დეტალურად მიმოხილული.

ახლანდელ სიტუაციას და თანამედროვე მოსწავლეს დავუბრუნდეთ, მოსწავლეს და მის წინაშე მდგომ მასწავლებელს.

დღეს მასწავლებლის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი (სამწუხაროდ!) პროგრამის მოსწრებაა. შინაარსებისა და გაგება-გააზრების დავალებების შესრულება. ჯეროვნად შესრულება. კარგ მოსწავლეებს კარგი შედეგები უნდა ჰქონდეთ. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც „წერა არ შეუძლიათ“. ისინი როგორმე უნდა მივიყვანოთ ეროვნული გამოცდების ზღვრის გადალახვამდე. დავუწეროთ კლასიდან კლასში გადამსვლელი ქულები. წლის ბოლოს მოვთხოვოთ „რაღაცის წაკითხვა მაინც“ და „ერთი თემის დაწერა მაინც“.

კარგი მოსწავლეების ერთ-ერთი უმთავრესი სასწავლო მიზანია კარგი ნიშნების მიღება. დავალებების შესრულება დავალებების შესასრულებლად და არა თვალსაწიერის გასაფართოებლად ან სხვადასხვა უნარის განსავითარებლად.

სასკოლო თხზულებებისა და საშინაო დავალებების წერა ამ

მხრივ მარტივია. ინტერნეტში უამრავი მზა თემაა, შინაარსი, ანალიზი, სხვადასხვა ქულით შეფასებული ნაწერი.

ეს მანკიერი წრე შეფასების არსებული სისტემის ბუნებრივი შედეგია. განმსაზღვრელი შეფასება და ქულების წერა წერით ნაშრომებში კრიტერიუმების ჩაუშლელად ან განმავითარებელი კომენტარების გარეშე მოსწავლეს ვერაფერს ასწავლის. ეს შეფასება შეფასებისთვისაა და არა განვითარებისთვის. არადა... იდეალურ შემთხვევაში, შეფასება სწავლა-სწავლების პროცესის ერთ-ერთი კომპონენტია და არა უმთავრესი.

კონცენტრირება ნიშანზე კი არ უნდა მოხდეს, არამედ პროცესზე.

შედეგმა უნდა მასწავლოს და ქულა არ უნდა იყოს „ბოლო ინსტანცია“.

ამ წერილში ჩაკეტილი წრის (შეფასება შეფასებისთვის) გარღვევის ერთ-ერთ ხერხზე ვისაუბრებ. მეთოდზე, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება, გამოიმუშაონ უნარ-ჩვევები და ნაწერის გაუმჯობესებაში დაეხმარონ საკუთარ თავს. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მასწავლებელი, რომელსაც სემესტრის განმავლობაში ასამდე მოსწავლე ჰყავს, ფიზიკურად ვერ გაასწორებს იმდენად ხარისხიანად ყველა მოსწავლის ნაშრომს, რომ ინდივიდუალურად დაეხმაროს მათ საკუთარი შეცდომების აღმოჩენა-გასწორებაში.

საშინაო დავალების გასწორების სტრატეგიებში მასწავლებლის შრომის შემამსუბუქებელი რამდენიმე აქტივობაა თავმოყრილი. მოცემული მეთოდი კი ინდივიდუალურია – ერთგვარი ინტელექტუალური სამუშაო, რომელსაც მოსწავლე დამოუკიდებლად გასწევს და სარგებელსაც მიიღებს.

რა კომპეტენციას ავითარებს მოცემული აქტივობა

ჩემი დაკვირვებით, მოსწავლეები საშინაო წერითი დავალების შესრულებას ნაწერში ბოლო წერტილის დასმისთანავე ასრულებენ. საკუთარი ნაშრომის გადაკითხვა და რედაქტირება არ არის იმ უნარ-ჩვევების ჩამონათვალში, რომელთა ჩამოყალიბებასაც სკოლა უწყობს ხელს.

შედეგად ნაწერი სავსეა მექანიკური, ორთოგრაფიული, პუნქტუაციური, სტილებრივი და სხვა ტიპის შეცდომებით და მათი უმეტესობის აღმოჩენა-აღმოფხვრა თავად მოსწავლეებსვე შეუძლიათ.



მნიშვნელოვანია, დავეხმაროთ მოსწავლეებს იმის გათავისებაში, რომ:

წერითი ნაშრომი კომუნიკაციის ფორმაა. თუ ზეპირმეტყველებისას ჩვენ ვცდილობთ, გარკვევით, გასაგებად ვილაპარაკოთ, არ ჩავყლაპოთ მარცვლები, ხმამაღლა, მკაფიოდ გამოვთქვათ მოსაზრებები, ასევე უნდა მოვიქცეთ წერისას. მიკროსკოპული ასოები, ჩახლართულ-ჩაღვლარჭნილი, გაკრული ხელი, სწრაფად წერისას გამოტოვებული ასოები არასწორად წარმართული კომუნიკაციის სიმპტომებია. იმისთვის, რომ ამ უსიამოვნებას ავცდეთ, უნდა გამოვიყენოთ წერითი დავალების თვითშეფასების რუბრიკა. ამ შემთხვევაში მოსწავლეს შეუძლია, უბრალოდ დააპლიუსოს ჩამონათვალი ან გადაინაწილოს ქულები და შეაფასოს საკუთარი ნაშრომი.

გთავაზობთ რუბრიკას 7 კრიტერიუმით. თქვენი დავალების სპეციფიკის გათვალისწინებით, შეგიძლიათ ცვალოთ კრიტერიუმები, გაამახვილოთ ყურადღება იმ პრობლემაზე, რომელსაც კლასთან/მოსწავლესთან აწყდებით. რუბრიკა საორიენტაციოა და წარმოდგენას შეგიქმნით მეთოდზე.

წერითი დავალების თვითშეფასება

1. წერით დავალებაზე ვიმუშავე 30 წუთზე მეტხანს – 1
2. ნაწერი მოწესრიგებულია. ამოკითხვა არ ჭირს. აბზაცები გამოყოფილია – 1
3. ნაწერი გადავიკითხე და ორთოგრაფიული შეცდომები გავასწორე – 1
4. ნაწერი გადავიკითხე ხმამაღლა და ინტონაციურ პაუზებთან დავსვი მძიმეები, წინადადების ბოლოს კი ყველგან წერტილია – 1.5
5. ნაწერში არ არის რთული, ჩახლართული, ბუნდოვანი და გრძელზე გრძელი წინადადებები – 1.5
6. ნაწერში არ არის „მიტოვებული აზრები“ - რასაც ვამბობ ცხადია, ნათელია, დასაბუთებულია – 2
7. ვლინდება ცოდნა/ერუდიცია/ინტელექტი (ნაწერი არ არის „მშრალი“. საინტერესოა) – 2

გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება კომენტარებში. გაზიარებით ბევრს ვსწავლობთ ერთმანეთისგან.

განაჩენის გასაჩივრება თვითდიაგნოსტირებით

წერილის დასაწყისში განაჩენი „ვერ ვწერ“ ვახსენე. ამ ნაწილში შევეცდები, საკითხს ჩავუღრმავდე.

„ვერ ვწერ“ კომპლექსური პრობლემაა. ასე აერთიანებენ ბევრ ისეთ „ვერშეძლებას“ ან „ვერგაგებას“, როგორსაც საკუთრივ წერასთან (ტექნიკური თვალსაზრისით) შესაძლოა ნაკლები კავშირი ჰქონდეს.

ამ შემთხვევაში საშუალო საფეხურის ასაკსა და ტიპური ინტელექტუალური განვითარების შემთხვევას განვიხილავ. განსახილველი ობიექტი დავავიწროოთ მოცემულობამდე – „ვერ ვწერ თხზულებას წაკითხულის მიხედვით“. ამ მოცემულობაში რას შეიძლება გულისხმობდეს „ვერ ვწერ თემას“ (გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლეს არ აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები)?

თავდაპირველად, მნიშვნელოვანია იმის ზუსტი დიაგნოსტირება, რა ეტაპზე იწყება „გაჭედვა“. ასეთი ეტაპი შეიძლება რამდენიმე იყოს:

1. გაგება

წაკითხულის მიხედვით თხზულების დასაწერად მნიშვნელოვანია, გაიგო წაკითხული. გაგება მიღებული ცნობის მნიშვნელობის წვდომას ნიშნავს. მხატვრული ტექსტის შემთხვევაში გაგება გულისხმობს:

ა. ტექსტში მომხდარი, აღწერილი, გადმოცემული ფაქტი, ამბავი, პროცესი, მოვლენა შემიძლია გადმოვცე ჩემი სიტყვებით.
ბ. შინაარსობრივ კითხვებს შემიძლია ვუპასუხო ტექსტიდან კონკრეტული მონაკვეთების მოშველიებით. მაგალითად: ვინ არის მთავარი მოქმედი პირი? რას აკეთებს? როგორ ურთიერთქმედებს სხვებთან? როგორია მისი ემოციური მდგომარეობა? რას ამბობს/რას აკეთებს/რას გულისხმობს?
გ. შემიძლია იმის გაცხადება, რომ აღწერილის/ნათქვამის/მომხდარის მიღმა იგულისხმება/შეიძლება იგულისხმებოდეს რაღაც სხვა, სიღრმისეული, რაზეც უნდა ვიფიქრო/ვიმსჯელო და ზედაპირულ ცნობაზე დაყრდნობით დასკვნა გამოვიტანო.

ამრიგად, წერა არის ინტელექტუალური შრომა, აქტი, რომელიც არაერთი კომპლექსური უნარის გამომუშავებას მოითხოვს. „ვერ ვწერ“ არ იქნება განაჩენი, თუ სწორად შევძლებთ დიაგნოსტირებას (რა ეტაპზე გვჭირდება დახმარება) და „მკურნალობის კურსის“ დანიშვნას, რომელიც მხოლოდ წერას (ანუ ასოების ფურცელზე გამოყვანას) არ გულისხმობს.

გაგების სინონიმებია: გამორკვევა, გამოძიება, შეტყობა, გათავისება, გამოცნობა, შემოწმება, შეჯერება (ნეიმანის სინონიმთა ლექსიკონის მიხედვით).

თუ ამ ეტაპზე პრობლემა არ წარმოიშობა და მკითხველს შეუძლია წაკითხულის ადეკვატურად გაგება, მნიშვნელოვანია იმაზე დაკვირვება, რამდენად გაიაზრებს ის წაკითხულს.

2. გააზრება

გააზრება ტექსტის ძირითადი იდეის გამოკვეთას, ავტორის სათქმელის, გზავნილის ამოცნობასა და საკუთარი სიტყვებით გადმოცემას გულისხმობს. ეს ნიშნავს, რომ ნათელი წარმოდგენა გვექმნება იმაზე, რა მოხდა ტექსტში, რატომ მოხდა ასე, როგორ განვითარდა მოვლენები, რამ მიიყვანა კულმინაციამდე გმირი; შეგვიძლია ამოვიცნოთ და დავასახელოთ მიზეზშედეგობრივი კავშირები, გამოვიტანოთ დასკვნები და მოვიშველიოთ არგუმენტები ნათქვამის დასასაბუთებლად.

ტექსტს გავიაზრებ, თუ:

ა. შემიძლია ძირითადი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის გამიჯვნა და ტექსტის მთავარი გზავნილის ამოცნობა (მაგალითად, პურობის ეპიზოდში შუშანიკის სიფიცხე ან მისი იმპულსური ქმედების აქცენტირება არ არის მწერლის მთავარი გზავნილი. ეს დეტალი გვეხმარება გმირის ხასიათზე მსჯელობისას, საინტერესო და ცოცხალ სახეს ქმნის, მაგრამ პურობის ეპიზოდში წამყვანი მოტივი არ არის, როგორც ხშირად ჰგონიათ ხოლმე; განაცხადი „ვარსქენმა შუშანიკს იმიტომ სცემა, რომ მან ხელი აუკრა უდანაშაულო ქალს და ჭიქა შეალეწა“ სწორედ გააზრების ხარვეზია).

ბ. შემიძლია ქვეტექსტის ამოცნობა, ვარაუდების ფაქტებისგან გამიჯვნა (ფაქტში აქ მხატვრულ მოცემულობას ვგულისხმობ), კონტექსტის გათვალისწინებით ფრაზის, წინადადებების მნიშვნელობის გაგება-დეკოდირება.

წაკითხულის გაგებისა და გააზრების შემდეგ მნიშვნელოვანია ნააზრევის მოწესრიგება. თუ წაკითხული გავიგე, გავიაზრე, ახლა ჩემი ამოცანაა, ნააზრევი მოვაწესრიგო და ფურცელზე გადმოვიტანო. თუ აქ შემექმნა პრობლემა და „არ ვიცი, როგორ დავიწყო“ ან „არ ვიცი, როგორ გადმოვიტანო ნააზრევი ფურცელზე“, საჭიროა უნარის დახვეწა, მუშაობა წერის სხვადასხვა ტექნიკის გამოყენებით და ეს მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკის, მიზანმიმართული, გეგმაზომიერი მუშაობის შედეგად მოხდება.

3. ნააზრევის მოწესრიგება

იმისთვის, რომ ნათლად, მკაფიოდ, გასაგებად, საინტერესოდ, დამაჯერებლად და გამართულად გადმოვცე ნააზრევი, უნდა შევძლო:

ა. გაგება + გააზრება + გათავისება = მოსაზრებების ჩამოყალიბება და წინადადებებად ქცევა.

ბ. ნააზრევი რომ სიტყვებად და წინადადებებად ვაქციო, ჩამოვაყალიბო და სხვისთვის საინტერესოდ, გასაგებად გადმოვცე, ამისთვის მჭირდება ლექსიკური მარაგი, ერუდიცია, გრამატიკის ცოდნა (სინტაქსური კონსტრუქციების აგება, სტილისტიკა, ორთოგრაფია, პუნქტუაცია...).

ამრიგად, წერა არის ინტელექტუალური შრომა, აქტი, რომელიც არაერთი კომპლექსური უნარის გამომუშავებას მოითხოვს. „ვერ ვწერ“ არ იქნება განაჩენი, თუ სწორად შევძლებთ დიაგნოსტირებას (რა ეტაპზე გვჭირდება დახმარება) და „მკურნალობის კურსის“ დანიშვნას, რომელიც მხოლოდ წერას (ანუ ასოების ფურცელზე გამოყვანას) არ გულისხმობს.

არდადეგების წინა კვირა

მაია მენაბდე

ეს წერილი უკან მიდევნებულ ლამპარს კი ჰგავს, მაგრამ არა უშავს, ისევ მოვა არდადეგები და, ჩემი დაკვირვებით, ზოგადად დამკვიდრებული ტენდენციის მიხედვით, ბავშვები გადაწყვეტენ, რომ არდადეგების წინა კვირას სკოლაში სიარული არ ღირს, რადგან „გაკვეთილები წესიერად აღარც უტარდებათ“ (ასე ამართლებენ ხოლმე თავიანთ გადაწყვეტილებას მშობლებთან).

როცა მომქანცველი ყოველდღიური სწავლა-სწავლების პროცესში გვირაბის ბოლოს სინათლესავით მოჩანს არდადეგები, ბუნებრივია, რომ სინათლის მოახლოებასთან ერთად, ორივე მხარის სამუშაო განწყობა, მოტივაცია, საქმეზე კონცენტრაცია დაბლა იწევს და მოსწავლეებისა თუ მასწავლებლების ტვინები ჩუმი განგაშის სიგნალებს რთავენ: დასვენება, დასვენება, დას-ვე-ნე-ბა...

რა შეგვიძლია გავაკეთოთ ასეთ დროს ისეთი, რომ უკვე ჩვეული რიტმიდან გამოსული მოსწავლეები არ დავსტრესოთ, მაგრამ არც იმის განცდა გავუჩინოთ, რომ ტყუილად დადიან სკოლაში. რით შეიძლება გავხადოთ ეს დღეები ერთნაირად სასიამოვნო, პირველ რიგში, მოსწავლეებისთვის და, რა თქმა უნდა, ჩვენთვისაც?

თავდაპირველად ჩამოვთვლი, ჩემი აზრით, რა არ შეიძლება დავგეგმოთ და მოვიტოვოთ არდადეგების წინა კვირისთვის:

შემაჯამებლები – როგორც უკვე აღვნიშნე, არდადეგების მოახლოებასთან ერთად მოსწავლეები მარტივად გადადიან „დასვენების რეჟიმში“ და როცა ამ დროს საპასუხისმგებლო რამ აქვთ გასაკეთებელი, გაორმაგებული ძალისხმევა სჭირდებათ მოსამზადებლად, დავალებაზე კონცენტრირებისთვის. არ დაგვავიწყდეს, ჩვენი განწყობაც ასეთია და გასასწორებელი შემაჯამებლები აუცილებლად შემაწუხებელ ტვირთად იქცევა. თანაც, დიდი ალბათობით, ვეღარ მოვასწრებთ სათანადო რეფლექსიას, ვერ დავუბრუნებთ მოსწავლეებს უკუკავშირს, რა გამოუვიდათ, რა უნდა გაეკეთებინათ უკეთ და ა.შ. ან მივაწვდით და არ მოგვისმენენ ისე, როგორც საჭიროა ხოლმე.

ნიშნის გამოსასწორებელ-ასამაღლებელი დავალებები – ამ დროს ვორიენტირდებით მხოლოდ იმ მოსწავლეებზე, რომლებსაც ეს პრობლემა აქვთ და დანარჩენებისთვის საგაკვეთილო პროცესი მოსაწყენი ხდება ნაკლები ჩართულობის გამო, ამიტომაც შეიძლება იფიქრონ, რომ „აღარ ღირს სკოლაში სიარული“. ნამდვილად სჯობს, ამ პრობლემის მოგვარებას ბოლოს წინა კვირები დავუთმოთ.

მეორე უკიდურესობაა და ასევე გაუმართლებელია, მოსწავლეებს მივცეთ სრული თავისუფლება, გაკვეთილებზე აკეთონ ის, რაც მათ სურთ (ძირითადად, სურთ ტელეფონებში ჩაძრომა, რასაც სახლშიც მშვენივრად ახერხებენ), ჩვენ კი სემესტრის ბოლოს აუცილებლად მოსაგვარებელ ბიუროკრატიულ საქმეებს მოვახმაროთ ეს დრო.

რა შეიძლება, გავაკეთოთ ამ ყველაფრის საპირისპიროდ ისე, რომ ბავშვებმა ჩათვალონ, არდადე-

ეს წერილი უკან მიდევნებულ ლამპარს კი ჰგავს, მაგრამ არა უშავს, ისევ მოვა არდადეგები და, ჩემი დაკვირვებით, ზოგადად დამკვიდრებული ტენდენციის მიხედვით, ბავშვები გადაწყვეტენ, რომ არდადეგების წინა კვირას სკოლაში სიარული არ ღირს, რადგან „გაკვეთილები წესიერად აღარც უტარდებათ“ (ასე ამართლებენ ხოლმე თავიანთ გადაწყვეტილებას მშობლებთან).

გების წინა დღეებშიც ღირს სკოლაში სიარული, რადგან სახალისო, სასიამოვნო, საინტერესო რამეები ელოდებათ და ჩვეულებრივზე მეტად თავისუფლებიც იქნებიან?

გადატვირთული სასწავლო პროგრამების გამო, არაფორმალური აქტივობებისთვის დროის გამონახვა წლის განმავლობაში ნამდვილად ჭირს. ტრადიციულად, სემესტრის ბოლოს სკოლებში ძირითადად დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა ზეიმები და კონცერტები ეწყობა, რაც, ჩემი აზრით, კარგია, მაგრამ ნამდვილად არაა საკმარისი. ამიტომაც ვფიქრობ, ალბათ, ყველაზე კარგია, თუ სკოლის დირექციის სტრატეგია იქნება, მთლიან სკოლაში შეიქმნას თავისუფალი და თან შემოქმედებითად დატვირთული ატმოსფერო შემდეგი ღონისძიებებით:

- დაიგეგმოს სხვადასხვა ტიპის შეჯიბრებები კლასებს შორის, იქნება ეს ფიზიკური აქტივობები (რასაც მოკლებული არიან განსაკუთრებით საბაზო-საშუალო საფეხურების მოსწავლეები) თუ ინტელექტუალური თამაშები (მაგალითად, „რა? სად? როდის?“ სხვადასხვა საგნის ინტეგრირებით, ლიტერატურული თამაშები...);
- კინოჩვენებები დისკუსიასთან ერთად - გაერთიანებული კლასებისთვის;
- საჯარო დებატები სხვადასხვა საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე (მოქალაქეობა, ისტორია...);
- გაკვეთილები საკლასო ოთახის კედლებს მიღმა და ა. შ.

სკოლის დირექციისა და ყველა საგნის მასწავლებლის ერთიანი ძალისხმევით, მათი ხელმძღვანელობით, მოსწავლეები თავად დაგეგმავენ და მოამზადებენ თავისთვისვე სასურველ აქტივობებს. სახალისო, საინტერესო პროცესი და შედეგი კი ნამდვილად აფიქრებინებს უმეტესობას, რომ ბოლო დღეებში ნამდვილად არ ღირს სახლში დარჩენა. მით უმეტეს, გამყარდება მათი შეხედულება-დამოკიდებულებები, თუ ეცოდინებათ, რომ მსგავსი ღონისძიებები უკვე ტრადიციაა მათ სკოლაში.

თუ ამ საერთო ღონისძიებების მოწყობა ვერ ხერხდება მიზეზთა გამო, მაშინ, ალბათ, თითოეული საგნის მასწავლებელმა, თავისი საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე თავის გაკვეთილზე უნდა დაგეგმოს მცირე აქტივობები.

მაგალითად, იმავე ინტელექტუალური თუ ლიტერატურული თამაშების ჩატარება და კინოჩვენებების მოწყობა კონკრეტულ კლასთანაც შეიძლება. ასევე ძალიან ეფექტურია მოკლემეტრაჟიანი ფილმებისა და შემეცნებითი ვიდეოების ყურება, რომლებსაც საგაკვეთილო დროში მოვასწრებთ და კარგი იქნება, თუ რაიმე აქტივობასაც დავურთავთ.

ასევე, ძალიან სახალისოა მოსწავლეებისთვის ონლაინპლატფორმა https://create.kahoot.it/creator -ის საშუალებით მომზადებული ერთგვარი შემაჯამებელი ტესტი-თამაში, რომელიც უკვე განვლილ საკითხებზე იქნება აგებული (რა თქმა უნდა, თუ შესაბამისი ტექნიკური მხარდაჭერა არსებობს სკოლაში: პროექტორი, ინტერნეტი და მობილურები). ამ ონლაინპლატფორმაზე მასწავლებელი თავად ქმნის სასურველ თემაზე დახურულ კითხვებს პასუხებითურთ, რომლებსაც მოსწავლეები თავიანთი მობილურებიდან უპასუხებენ. ეს აქტივობა მოსწავლეებს შეახსენებს, რაც უკვე ისწავლეს და შეცდომების შემთხვევაში, მასწავლებლის ზეპირი განმავითარებელი კომენტარი კიდევ უფრო კარგად გააზრებინებს უკვე ნასწავლს. შეიძლება, დავაწესოთ სიმბოლური პრიზებიც.

ასევე, მოსწავლეებისთვის ძალიან სასარგებლო და საინტერესოც იქნება აქტივობები, რომლებიც მათ თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებაზე იქნება მორგებული. ეს თვითშეფასება ან ურთიერთშეფასება შეიძლება ეხებოდეს მათ მოტივაციასა და ჩართულობას სემესტრის განმავლობაში, ან ზოგადად, შევაფასებინოთ საგაკვეთილო პროცესი, რაც დაგვეხმარება, სამომავლოდ უკეთესად დავგეგმოთ ჩვენი გაკვეთილები, გამოვასწოროთ ხარვეზები. გთავაზობთ რამდენიმე მაგალითს:

ა. **დაასრულე წინადადებები ლოგიკურად, საკუთარ თავსა და სწავლის პროცესზე დაკვირვებით.** (ეს არის წერითი დავალება, რომელსაც გაკვეთილზე, განსაზღვრულ დროში აკეთებენ და იქვე კითხულობენ).

განვლილი მასალის სწავლისა და დამუშავების პროცესში:

- საინტერესო იყო...
- ყველაზე უკეთ გამომივიდა...
- ჩემი განწყობა...
- მე ვისწავლე...
- რთული აღმოჩნდა...
- მე ახლა შემიძლია...
- ჩემთვის აღმოჩენა იყო, რომ...
- დავალება, რომელიც...
- სახალისოდ მეჩვენა აქტივობა, რომელიც...
- კლასელს დავეხმარე...
- კლასელი დამეხმარა...
- სამომავლოდ ვისურვებდი, რომ...

ბ. ასევე მოსწავლეებს მოსწონთ ბლიცინტერვიუ, რომელიც ასევე ფრაზებზეა აგებული: საკლასო ოთახში საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას დგას ორი სკამი, რომლებზეც სხდებიან რესპონდენტი და ინტერვიუერი. მოსწავლეები ნებაყოფლობით გამოდიან და იმართება ბლიცინტერვიუ ან მასწავლებლის დახმარებით (თავდაპირველად ასე სჯობს),

რა შეგვიძლია გავაკეთოთ ასეთ დროს ისეთი, რომ უკვე ჩვეული რიტმიდან გამოსული მოსწავლეები არ დავსტრესოთ, მაგრამ არც იმის განცდა გავუჩინოთ, რომ ტყუილად დადიან სკოლაში. რით შეიძლება გავხადოთ ეს დღეები ერთნაირად სასიამოვნო, პირველ რიგში, მოსწავლეებისთვის და, რა თქმა უნდა, ჩვენთვისაც?

ან მხოლოდ მოსწავლეების ჩართულობით. ხშირად მქონია შემთხვევა, რომ მოსწავლეებს თავად უთხოვიათ, მეც მეპასუხა მოწოდებული კითხვებისთვის – ანუ ჩემი აზრი, განწყობა, დამოკიდებულებაც საინტერესოა მათთვის და ეს რამდენიმე ფრაზა გვეხმარება ერთმანეთის უკეთ დანახვაში:

- მინდა ვისწავლო...
- არასოდეს მნდომებია...
- ჩემი აზრით...
- მინდოდა, მეცადა...
- არ მესმის იმ ადამიანების, რომლებიც...
- მწვერვალებს დავიპყრობდი, თუ...
- წიგნი ან ფილმი, რომელმაც შთამაგონა...
- რომ არა სამეგობრო...
- ოჯახთან ურთიერთობით...
- ვთვლი, რომ სკოლა...
- არდადეგები რომ დაიწყება...

8. წინასაახალწლოდ ერთნაირად კარგად იმუშავა ყველა საფეხურზე სტრატეგიამ – 3,2, 1 – შემდეგი ფორმით:

- დაწერეთ 3 მნიშვნელოვანი ან სასიამოვნო მომენტი თქვენი ცხოვრებიდან, რომლებიც 2023 წელს მოხდა;
- გაიხსენეთ 2 არასასიამოვნო შემთხვევა, სიტუაცია, რომლის გამოსწორებასაც ისურვებდით.
- დაწერეთ, რას გეგმავთ 2024 წელს ისეთს, რაც თქვენს ცხოვრებას უფრო სასიამოვნოსა და საინტერესოს გახდის.

ერთი შეხედვით, სამი მარტივი საკითხი ერთნაირად დასაფიქრებელი აღმოჩნდა სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებისთვის. ამ აქტივობამ გამოააშკარავა, რომ უმეტესობას არა აქვს ჩვევა, შეაფასოს, რა და როგორ გააკეთა, რა უნდა გამოასწოროს და არ გეგმავს უახლოეს მომავალსაც კი. კარგი იქნება, ამ აქტივობის შესრულებისასაც თუ თავად მივცემთ მაგალითს, განსაკუთრებით მე-5-6 კლასელებს.

კიდევ ბევრი რაიმეს მოფიქრება შეიძლება, ისევ ჩვენს ფანტაზიასა და შემოქმედებითობაზეა დამოკიდებული (როგორც ყოველთვის), მაგრამ არ დაგვავიწყდეს, ძალიან მნიშვნელოვანია, დაგეგმილი აქტივობების შესახებ მშობლებსაც გავაგებინოთ, რათა არ შეექმნათ ცრუ წარმოდგენები ვითომდა უსარგებლო დღეებზე და თავიანთ შვილებს უნებურად პასიურობისკენ არ უბიძგონ.

ქეთევან ოსიაშვილი

უმცროსკლასელთა სასწავლო მოტივაციის ხელშემწყობი ფაქტორები

მოტივაციის პრობლემა მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ პრობლემათა რიგს განეკუთვნება. მისი შესწავლა საშუალებას გვაძლევს, გავიგოთ ადამიანის ქცევის შინაგანი მექანიზმები, მამოძრავებელი ფაქტორები და მიზნები.

მოტივაცია ფსიქოლოგიური მახასიათებელია, რომელიც გარე სამყაროსა და სხვადასხვა საქმიანობის მიმართ ადამიანის დამოკიდებულებაზე აისახება. მოტივი არის ის, რაც სამოქმედოდ აღძრავს ადამიანს. მოქმედება მოტივის გარეშე ან სუსტი მოტივით უშედეგოდ დასრულდება ან უკიდურესად არამდგრადი შედეგი ექნება. მოტივაცია ნებისმიერ სფეროში დასახული მიზნის მიღწევის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. მოტივაციას კი საფუძვლად უდევს პიროვნების მოთხოვნილებები და ინტერესები.

სასკოლო ასაკში სასწავლო მოტივაციის ფორმირება გაუზვიადებლად შეიძლება მიჩნეულ იქნეს თანამედროვე სკოლის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად. მოსწავლეებში უფრო და უფრო ხშირია სასწავლო მოტივაციის დაქვეითება ან არარსებობა. ბავშვებს არ სურთ სწავლა, გულგრილად ეკიდებიან განათლებას, არ ისწრაფვიან ახლის შემეცნებისკენ. ცნობილია, რომ ახლის შემეცნებისკენ სწრაფვა თანდაყოლილია, გენეტიკურად არის ჩადებული ადამიანში, ჩვენ უბრალოდ უნდა დავეხმაროთ ბავშვს სასწავლო მოტივაციის ჩამოყალიბებაში.

სასწავლო მოტივაციის ცნება მოიაზრებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებზეც დამოკიდებულია სასწავლო აქტივობის გამოვლენა: მოთხოვნილებებს, მიზნებს, განწყობებს და ა. შ. სასწავლო მოტივი შეიძლება იყოს სწავლისადმი ინტერესი, განათლების მიღების სურვილი, საქებარი სიტყვების მოსმენის სურვილი. წესისამებრ, სწავლის სურვილს ბავშვს აღუძრავს არა ერთი მოტივი, არამედ მოტივების მთელი სისტემა. სასწავლო მოტივები შეიძლება დაიყოს შემეცნებით და სოციალურ მოტივებად. თუ სწავლის დროს მოსწავლე უპირატესად ორიენტირებულია სასწავლო საგნის შინაარსზე, შეიძლება ვისაუბროთ შემეცნებითი მოტივების არსებობაზე და პირიქით - თუ მოსწავლისთვის სხვა ადამიანებთან მიმართება უფრო მნიშვნელოვანია, სოციალურ მოტივებზე ვსაუბრობთ.

გასათვალისწინებელია, რომ სხვადასხვა ასაკში ბავშვს შეიძლება სხვადასხვა მოტივი ამოძრავებდეს – ფაქტორი, რომელიც დომინანტურია დაწყებით კლასებში, სასკოლო

მოტივაციის პრობლემა მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ პრობლემათა რიგს განეკუთვნება. მისი შესწავლა საშუალებას გვაძლევს, გავიგოთ ადამიანის ქცევის შინაგანი მექანიზმები, მამოძრავებელი ფაქტორები და მიზნები.

მოტივაცია ფსიქოლოგიური მახასიათებელია, რომელიც გარე სამყაროსა და სხვადასხვა საქმიანობის მიმართ ადამიანის დამოკიდებულებაზე აისახება. მოტივი არის ის, რაც სამოქმედოდ აღძრავს ადამიანს. მოქმედება მოტივის გარეშე ან სუსტი მოტივით უშედეგოდ დასრულდება ან უკიდურესად არამდგრადი შედეგი ექნება.

სწავლების მეორე და მესამე საფეხურებზე, როგორც წესი, აღარ ახდენს გავლენას სასწავლო მოტივაციაზე და პირიქით – უფროსკლასელის სასწავლო მოტივები შესაძლოა სრულიად გაუგებარი იყოს დაწყებითი საფეხურის მოსწავლისთვის.

სასკოლო სწავლების პირველ საფეხურზე ჩამოყალიბებული სასწავლო მოტივაცია შეიძლება მტკიცე საფუძვლად დაედოს მოზარდებსა და უფროსკლასელებში სასწავლო ინტერესების შენარჩუნებას და გაძლიერებას. სწორედ სასკოლო სწავლების დასაწყისში ყალიბდება სკოლისა და სწავლისადმი ბავშვის დამოკიდებულება. ამ პერიოდში ჩამოყალიბებულ სასწავლო მოტივაციაზეა დამოკიდებული, სწავლა სასიამოვნო იქნება ბავშვისთვის თუ სატანჯველად იქცევა. ამდენად, ვფიქრობ, საინტერესო უნდა იყოს იმ ფაქტორებზე ყურადღების გამახვილება, რომლებიც სასკოლო სწავლების საწყის ეტაპზე ხელს უწყობს სკოლისა და სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას და სასწავლო მოტივაციის გაძლიერებას:

- სასკოლო სწავლებისთვის მზაობის დონე. თუ ბავშვს არ აქვს სკოლისთვის სათანადო მზაობა, ადვილი შესაძლებელია, სასწავლო მოტივაციის ჩამოყალიბების პროცესში სერიოზულ პრობლემას წავაწყდეთ. უფრო მეტიც: სწავლის პირველი დღის შემდეგ პატარამ შესაძლოა საერთოდ უარი თქვას სკოლაში წასვლაზე.

გასათვალისწინებელია, რომ სკოლისთვის მზაობა არ გულისხმობს მხოლოდ ინტელექტუალური განვითარების საჭირო დონეს – ის, რომ ბავშვმა ზეპირად იცის რამდენიმე ლექსი, ცნობს ასოებს, ახერხებს ათის ან შესაძლოა ოცის ფარგლებშიც შეკრება-გამოკლებას, ნამდვილად არ იძლევა იმის გარანტიას, რომ მას სკოლისა და სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულება გაუჩნდება. სკოლაში სწავლის დასაწყებად აუცილებელია ფიზიკური და სოციალურ-ემოციური მზაობაც. უამისოდ ბავშვს გაუჭირდება იმ დატვირთვის ატანა, რომელსაც სასკოლო სწავლება მოითხოვს და, დიდი ალბათობით, სკოლისა და სწავლისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდება. გარდა ამისა, სოციალურ-ემოციური მზაობის დაბალი დონე სერიოზულად გაურთულებს ბავშვს გარშემო მყოფებთან ურთიერთობას, რაც ნამდვილად ვერ შეუწყობს ხელს სკოლისა და სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას და უარყოფითად აისახება მის სასწავლო მოტივაციაზე.

- დაწყებით კლასებში სასწავლო მოტივაციისა და სწავლისადმი ინტერესის გასაძლიერებლად სასურველია, ბავშვმა სკოლაში შესვლამდე არ ისწავლოს კითხვა და თვლა. გვხვდებიან მშობლები, რომლებიც ნაადრევად, ჯერ კიდევ ბავშვის სკოლაში შეყვანამდე იწყებენ იმაზე ზრუნვას, რომ მათმა შვილმა იცოდეს წერა-კითხვა, ითვლიდეს ასის ფარგლებში, მასწავლებელსაც კი ქირაობენ კერძო გაკვეთილების ჩასატარებლად. როგორც წესი, ასეთი ბავშვები სკოლაში შესვლის შემდეგ კარგავენ ინტერესს სწავლის მიმართ და არ სიამოვნებთ გაკვეთილებზე ყოფნა, სადაც მათი თანატოლები თითო-თითო ასოს სწავლობენ. იმისთვის, რომ ბავშვს სასწავლო მოტივაცია ჰქონდეს, სწავლა მისთვის განმავითარებელი უნდა იყოს. როცა ბავშვმა უკვე იცის ის, რის სწავლებასაც მასწავლებელი აპირებს, აქვს ის უნარ-ჩვევები, რომელთა გამომუშავებაც აქვს მიზნად დასახული პედაგოგს, სწავლება მისთვის განმავითარებელი ვერ იქნება და სასწავლო მოტივაციის გაძლიერებაზეც გაგვიჭირდება მუშაობა. რა თქმა უნდა, თუ ბავშვი თავად იჩენს ინტერესს და ამჟღავნებს ინიციატივას, ჯერ კიდევ სკოლამდელ პერიოდში ისწავლოს ასოების ცნობა, ამ ინტერესის ჩახშობა გამართლებული არ იქნება, მაგრამ ყველანაირად უნდა ვეცადოთ, ბავშვის ინტერესი ბოროტად არ გამოვიყენოთ, თავი შევიკავოთ გაკვეთილების ჩატარებისგან და მივცეთ საშუალება, თამაშის პროცესში დაეუფლოს აღნიშნულ უნარ-ჩვევებს. მოგვიანებით კი სკოლაში პედაგოგმა ასეთ ბავშვთან დიფერენცირებული მიდგომა უნდა გამოიყენოს და სწავლა განმავითარებელი გახადოს სასწავლო მოტივაციის გაძლიერების მიზნით.
- შემეცნებითი ინტერესისა და სასწავლო მოტივაციის გასაძლიერებლად მნიშვნელოვანია ახალი ცოდნის დამოუკიდებლად ძიება და აღმოჩენა, პრობლემური ამოცანების გადაწყვეტა.
- შესასწავლი საგნის მიმართ ინტერესისა და სასწავლო მოტივაციის გასაძლიერებ-

ლად აუცილებელია საგნის შესწავლის საჭიროებისა და მნიშვნელობის გაგება;

- გავითვალისწინოთ ისიც, რომ რაც უფრო მეტად არის დაკავშირებული ახალი მასალა ძველ ცოდნასთან, მით უფრო საინტერესოა ის მოსწავლისთვის და მით უფრო აქტიურად ერთვება ბავშვი სასწავლო პროცესში.
- ვიზრუნოთ სასწავლო მასალის სწორად შერჩევაზე. არც მეტისმეტად ადვილი მასალა იწვევს ინტერესს და არც მეტისმეტად რთული, მასალა უნდა იყოს რთული, მაგრამ დაძლევადი.
- შეფასების სწორად და დროულად გამოყენება პირდაპირ გავლენას ახდენს სასწავლო მოტივაციის გაძლიერებაზე. რაც უფრო ხშირად და სწორად მოწმდება ბავშვის ნამუშევარი, მით უფრო საინტერესო ხდება მისთვის მუშაობა.
- შემეცნებითი ინტერესის სტიმულირებასა და სასწავლო მოტივაციის გაძლიერებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს გაკვეთილზე პოზიტიური ფსიქოლოგიური ატმოსფერო, კლასის მართვის დემოკრატიული სტილი, მოსწავლეების უპირობო მიღება, განურჩევლად სასწავლო წარმატებისა, მათდამი სიყვარულისა და კეთილგანწყობის გამოხატვა, არავერბალური საკომუნიკაციო საშუალებების (მზერა, ღიმილი, ჩახუტება) გამოყენება.
- თვალსაჩინო მასალის უხვად, სწორად და გამიზნულად გამოყენება. რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით უფრო მეტი ასეთი მასალა უნდა იყოს გამოყენებული სასწავლო პროცესში.
- სწავლებისადმი დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება. მართალია, კლასებში უმთავრესად ერთი და იმავე ასაკის ბავშვები სხედან, მაგრამ მოსწავლეთა ჯგუფები ერთგვაროვანი მაინც არ არის. ერთსა და იმავე კლასში მყოფი ბავშვები შესაძლოა ბევრი რამით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. თუ ამ განსხვავებებს არ გავითვალისწინებთ, მოსწავლეებში სწავლისადმი ინტერესის შენარჩუნება ადვილი არ იქნება.
- ნებისმიერ ასაკობრივ საფეხურზე, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, სასწავლო მოტივაციის გამაძლიერებელ მნიშვნელოვან ფაქტორად შეიძლება იქცეს ბავშვის წარმატებები, ამიტომ კარგი იქნება, თუ საგაკვეთილო პროცესში უმცროსკლასელს ხშირად შევუქმნით წარმატებულობის განცდას. გვახსოვდეს, რომ პატარებს არ უყვართ იმის კეთება, რაშიც მუდმივად მარცხს განიცდიან.
- დაწყებით კლასებში სასწავლო მოტივაციის ამაღლების ერთ-ერთი ეფექტიანი მექანიზმია სასწავლო-შემოქმედებით საქმიანობაში თამაშის ელემენტების აქტიურად ჩართვა, სიუჟეტურ-როლური თამაშების გამოყენება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოტივაცია წარმოადგენს სასწავლო საქმიანობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან კომპონენტს. მისი გაძლიერებით შეიძლება მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ შემეცნებითი პროცესების ხარისხობრივი მაჩვენებლები და უამრავი პრობლემა ავიცილოთ თავიდან.

ქრისტინა სურგულაძე

როცა კლასი მრავალრიცხოვანია

იქნებ ღირდეს, თვეში ერთი გაკვეთილი ან ერთი საღამო „გავწიროთ“ იმისთვის, რომ მოსწავლეებს საშუალება მივცეთ, საკუთარი თავი, ინტერესები და შესაძლებლობები წარმოაჩინონ? ვუწოდოთ ამას თუნდაც ზეიმი. თუ მათ ასე აბედნიერებთ ერთმანეთის ხელახლა გაცნობა და თავის წარმოჩენა, განა ეს ზეიმი არ არის?!

ალბათ ყველას შეგიმჩნევიათ, როგორ ანათებს ზოგიერთი ადამიანი. პირველივე შეხვედრაზე ახდენს შთაბეჭდილებას, ყველას ამახსოვრებს თავს და ეს ყოველთვის ექსპრესიულობის ხარჯზე არ ხდება. შესაძლოა, ის სულაც არ საუბრობდეს ხმამაღლა, თავდაჯერებულად და მხოლოდ გარეგნულად იყოს დასამახსოვრებელი. მაინცდამაინც მიმზიდველ გარეგნობას არ ვგულისხმობ. ადამიანების ნაწილი ბუნებრივადაა ასეთი, როცა მეორე ნაწილი ნაკლებად შესამჩნევია. ამით თუ აიხსნება, რატომ გვახსოვს იმ უცხო ადამიანის სახე, რომელსაც ოდესღაც შემთხვევით გადავეყარეთ და შესაძლოა, მასთან გასაუბრების შანსიც კი არ მოგვცემია, მაშინ როდესაც გონებიდან ნელ-ნელა გვიქრება იმ ადამიანების სახეები, ვისაც დიდი ხნის წინ კარგად ვიცნობდით.

მეორე მხრივ, იყო ნაკლებად შესამჩნევი – არ ნიშნავს, ნაკლები სათქმელი გქონდეს.

ზოგი ადამიანი მეტისმეტად ხმამაღალია იმისთვის, რომ არ დაგამახსოვრდეს, ზოგი თვალებით საუბრობს, ზოგი – ხელების დახმარებით, ზოგი საერთოდ არ უწევს ხმას, თუმცა სწორედ ხმის ტემბრით ისაკუთრებს ჩვენს გონებას, ზოგს კი ხმის ამოღებაც არ სჭირდება იმისთვის, რომ გაფიქრებისთანავე მისი სახე თვალწინ დაგვიდგეს.

ცხადია, ამ პროცესს ყურადღებით ვერ დააკვირდებით, თუ ყოველდღე ასზე მეტ ადამიანთან მაინც არ გიწევთ შეხვედრა. ოდესმე დაბრუნებულხართ აფთიაქში იმის გამო, რომ რამე დაგრჩათ ან დაგავიწყდათ და გაგკვირვებიათ, რომ ფარმაცევტს ახსოვხართ? ან, პირიქით, არ ახსოვხართ, როდესაც ორიოდე წუთის წინ გესაუბრებოდათ? ხშირად გვიფიქრია, დღეში ჩვენნაირს იმდენს ესაუბრებიან, ყველას რა დაამახსოვრებთო. მართლაც, ზოგჯერ შეიძლება წესიერად არც კი შემოგხედონ, ისე მიიღონ შეკვეთა და კარის გახურვისთანავე თქვენი სახე მათი გონებიდან კვამლივით გაქრეს, ზოგჯერ კი, პირიქით, ისე გესალმებიან, თითქოს ყოველდღე გხედავდნენ, მაშინ როცა სულ მეორედ ხართ იქ.

ეს არც სილამაზეზეა დამოკიდებული და არც იმაზე, რამდენად მოხდენილად გამოვიყურებით მოცემულ მომენტში. ეს ბუნებრივი, თანდაყოლილი ფენომენია, თუმცა მეორე მხარეზეცაა დამოკიდებული – ის, ვინც სხვისთვის დასამახსოვრებელია, ჩემი გონებიდან განზე გახედვისთანავე ორთქლდება.

ასეა თუ ისე, საერთო ჯამში, მაინც ორ კატეგორიად ვერთიანდებით: ისინი, ვინც ამახსოვრდებათ და ისინი, ვინც არ ამახსოვრდებათ.

როდესაც კლასი ძალიან დიდია, მასწავლებელს მეტი დრო სჭირდება მოსწავლეების გასაცნობად. გულზე ხელი დავიდოთ: არიან ისეთი ბავშვებიც, რომელთა სახელებიც და სახეებიც პირველივე გაკვეთილიდან გვახსოვს და ისეთებიც, ვისი სახელის გასახსენებლადაც დღის ბოლოს სიის შემოწმება გვჭირდება. ამას არაფერი აქვს საერთო მათ აკადემიურ მოსწრებასთან.

რასაკვირველია, თანდათან ერთმანეთს ვეცნობით და ყველაფერი თავის ადგილას დგება, მაგრამ ფაქტი ჯიუტია: კლასიდან ერთი ან რამდენიმე სხვებზე ადვილად იკავებს ადგილს ჩვენი მეხსიერების ხვეულებში.

ყოველთვის, როდესაც მრავალრიცხოვან კლასზე ვსაუბრობდი, მაქსიმუმ 25-30 ბავშვს მოვიაზრებდი, მაგრამ დღეს, როდესაც კლასში შესვლისთანავე 60-65 წყვილი თვალი მოუთმენლად შემომყურებს, ვხვდები, რა ყოფილა ნამდვილი

განათლება – თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge

დიანა ანფიმიადი

მედლის მეორე მხარე

ანუ ასსიტყვიანმა ესეიმ რა ჰქმნა

უკვე მეექვსე წელია, რაც პირველკურსელ სტუდენტებს წერას ვასწავლი, შესაბამისად, მშვენიერი გამოცდილებაც დამიგროვდა. ჩემი პირველკურსელების ნაწერები საუკეთესო თვალსაჩინოებაა, თუ რას ვაკეთებთ და ვაფუჭებთ სკოლის პერიოდში, როდესაც მოსწავლეებს წერას ვასწავლით.

მრავალი საგულისხმო დეტალი ჩავინიშნე, რამდენიმეს მიზეზსაც მივხვდი, ზოგიერთი ჯერ ვერ გავშიფრე, თუმცა, ძალიან სასარგებლო და ნაყოფიერი გამოცდილებაა.

ამ სტატიაში ერთ მნიშვნელოვან ნიშანსა თუ მოვლენაზე მინდა ვისაუბრო.

ერთ-ერთი მთავარი აზრობრივი თუ სტილისტური ხარვეზი, რაც თითქმის ყველა ნაწერს ახასიათებს, ზედმეტი, უფუნქციო სიტყვებია. მუშაობის პროცესში ასეთ სიტყვებს საპნის ბუშტები დავარქვით. ეს ისეთი სიტყვებია, რომელთა არსებობა თუ არარსებობა არაფერს ცვლის, ლუარსაბისა და დარეჯანის არ იყოს, მათი ყოფნა-არყოფნა არც არავის შეუმჩნევია, ეს სრულიად უფუნქციო სიტყვები წინადადების აზრსა და მნიშვნელობას არაფერს მატებენ, ხოლო სინტაქსს უფრო რთულს, მძიმეს, ჩახლართულს ხდიან.

ამ სიტყვა-ბუშტების როლში მეტყველების სხვადასხვა ნაწილები გვხვდება, ყველაზე ხშირად კი ნაცვალსახელები, კავშირები და ნაწილაკები, თუმცა არც უფუნქციო არსებითი და ზედსართავი სახელების ნაკლებობაა.

ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა, მივხვდი! ამ უფუნქციო სიტყვების ერთ-ერთი მიზეზი ის დავალებებია, სადაც მოსწავლეებს ვთხოვთ, რომ ტექსტი განსაზღვრული რაოდენობის სიტყვების გამოყენებით შექმნან. ასეთ დავალებას მე პირობითად, ასსიტყვიან ესეის დავარქმევ და თქვენ შეგიძლიათ სიტყვების სხვა რაოდენობაც იგულისხმოთ და ტექსტის სხვა ჟანრიც.

მერე ჩემი „აღმოჩენა“ სტუდენტებს გავუზიარე და მათაც დამიდასტურეს. მითხრეს, რომ როდესაც თავიანთი არგუმენტირებული თუ ანალიტიკური ესე, ან სხვა ტიპის ტექსტი გარკვეული სიტყვების რაოდენობამდე უნდა შეავსონ, ხშირად შინაარსზე უფრო მეტ ყურადღებას სიტყვების რაოდენობას აქცევენ. ასეთ დროს გამოსავალი ხდება ნაცვალსახელის, ნაწილაკის, კავშირის, უფუნქციო სინონიმების, ტავტოლოგიების გამოყენება.

როგორ მოვიქცეთ?

არადა, როდესაც დავალების შესასრულებლად გარკვეულ პირობებს ვუყენებთ, როგორიცაა სიტყვების განსაზღვრული რაოდენობა, გარკვეული სამუშაო დრო და ა.შ, გვსურს, რომ რესურსებისა და დროის სწორად გამოყენების, მითითების მიხედვით მუშაობის, დაკვირვებისა და ყურადღების უნარი გამოვუმუშაოთ, მაგრამ გამოდის, რომ ამ ტიპის დავალების სიკეთესთან ერთად, ფუჭსიტყვაობასაც ვახალისებთ.

მოდით, ერთად ჩამოვაყალიბოთ ის წესები, რომელთა საშუალებითაც უფუნქციო სიტყვების გამოყენებას გავექცევით და ამავე დროს, არც დავალების იმ ტიპზე ვიტყვით უარს, რომელსაც ახლა ვსაუბრობთ.

1. მივცეთ მოსწავლეებს სიტყვების განსაზღვრული რაოდენობით შექმნილი დავალება, მაგრამ აქვე დავუზუსტოთ, რომ 10 სიტყვით ნაკლები ან მეტის გამოყენება, ხარვეზად არ ჩაითვლება.
2. ვასწავლოთ მოსწავლეებს ტექსტის წინასწარი ჩარჩოს შედგენა, სანამ წერას დაიწყებენ, კარგად განსაზღვრონ, რისი თქმა სურთ, ამ შემთხვევაში, უფუნქციო სიტყვების გამოყენებაც აღარ დასჭირდებათ.
3. ვასწავლოთ მოსწავლეებს ტექსტის სტრუქტურა, მაგალითისთვის, თუ დავალება შედგება ასი სიტყვისგან, ისე უნდა გაანაწილონ ეს ასი სიტყვა, რომ მისი ყველა ნაწილი: შესავალი, განვითარება, ძირითადი ნაწილი, დასკვნა – სრულყოფილი იყოს და თან, ყველა ნაწილისთვის თანაბრად გამოიყენონ სიტყვები.
4. აუცილებლად გავამახვილოთ ყურადღება წერის იმ უპირატესობაზე, რასაც ქართული ენა გვაძლევს, როგორიცაა ნაცვალსახელთა გამოყენების თავისუფლება, სიტყვათა რიგი და სხვა.
5. წინასწარ ჩამოვწეროთ ე.წ. „აკრძალული სიტყვების სია“, სადაც სწორედ უფუნქციო სიტყვებსა და კლიშედ ქცეულ ფრაზებს შევიტანთ.

ლელა კოტორაშვილი

კითხვის დასმა ცნობისმოყვარეობის აღსაძვრელად

აუდიტორიის ყურადღების მისაპყრობად საუბრის დასაწყისში წარსადგენი წიგნის შესახებ კითხვის დასმა ეფექტური მეთოდი აღმოჩნდა. ამასთანავე, შეკითხვის მოფიქრება საზროვნო უნარებს ავითარებს და მოსაუბრესაც წიგნზე სასაუბროდ განაწყობს. ამ მეთოდის შესახებ პირველად რამდენიმე წლის წინ ჩემმა მოსწავლემ დამაფიქრა, როდესაც ლიტერატურულ კაფეში საპრეზენტაციო სკამიდან იქ მყოფებს შემოგვხედა და ართურ კონან დოილის შერლოკ ჰოლმსის შესახებ კითხვა დაგვისვა. იმდენად მოულოდნელი და განსხვავებული იყო პრეზენტაციის ამგვარი დასაწყისი, რომ ყველა შთაბეჭდილების ქვეშ მოგვაქცია.

შეკითხვის დასმა აუდიტორიისთვის ამ ბოლო ხანს აქტიურად დავნერგე სწავლებისას. გამოცდილებაზე დაკვირვებით, ეს მეთოდი:

- **გვეხმარება მრავალრიცხოვანი კლასის მართვაში, რადგან ყურადღების კონცენტრაციას უწყობს ხელს;**
- **ნათლად წარმოაჩენს თითოეული ბავშვის აზროვნების პროცესს;**
- **ცნობისმოყვარეობას აღძრავს;**
- **შეკითხვის მომზადება მოსაუბრეს აიძულებს, წინასწარ იფიქროს წიგნის მთავარი გზავნილის შესახებ, შეარჩიოს კონკრეტული თემა, მიიღოს გადაწყვეტილება, შეადგინოს კითხვითი წინადადება.**

შეკითხვის მოფიქრების სწავლებისთვის მოსწავლეებს ხშირად ვთავაზობ სხვადასხვა მეთოდს, მაგალითად: ხუთი კითხვა (რა?/ვინ? სად? როდის? რას შვრება? რატომ?), პირადი წერილის ქარგაში ბოლოს ვთხოვ ერთი კითხვის დასმას ადრესატისთვის, გაკვეთილს ვიწყებ შეკითხვით. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ სწავლობენ შეკითხვის ფორმულირებას.

სტატიაში გთავაზობთ მეხუთე კლასთან გამართული ლიტერატურული კაფესთვის მოფიქრებული შეკითხვების ანალიზს.

ამჯერად წარსადგენ წიგნად შევარჩიე ტუვე იანსონის „კომეტა მუმინების ხეობაში“, რომლის წაკითხვისკენ ჩემმა 10 წლის ბიჭმა მიბიძგა. მან მიამბო, რომ სწორედ ამ წიგნში ჩნდებიან პირველად ჰემულები და სნორკები. შემდეგ საყვარელი ეპიზოდიც გამიზიარა, მუმინტროლი და მისი მეგობრები ოჩოფეხებით გადაივლიან უდაბნოს და ვიცი, შენც მოგეწონებაო. ბავშვის თვალით აღქმული „კომეტა მუმინების ქვეყანაში“ ჩემი ცნობისმოყვარეობის აღსაძვრელად საკმარისი აღმოჩნდა და აგვისტოს ბოლო დღეები დაუვიწყარი გახადა.

კითხვისას ვფიქრობდი, რომ ამ წიგნს ჩემს მოსწავლეებს აუცილებლად გავაცნობდი. ტუვე იანსონის სიკეთითა და თავგადასავლებით სავსე წიგნებში მრავალი თემის გამორჩევა შეიძლება, თუმცა, წიგნში „კომეტა მუმინების ხეობაში“ ასახულია შეყვარების ფაქიზი ეტაპი და საბავშვო ლიტერატურაში ამ თემის დიდი გულწრფელობითა და მოვლენათა საინტერესო განვითარებით შემოტანამ აღმაფრთოვანა.

„კომეტა მუმინების ხეობაში“ მამა ხიდს აგებს. დედა ჩვეულად ფუსფუსებს. სნიფი გამოქვაბულს პოულობს, მუმინტროლი ზღვაში მარგალიტებს ეძებს. მუმინების ხეობაში სიმშვიდეს ონდატრას წინასწარმეტყველება არღვევს. ის ამბობს, რომ მალე კომეტა ჩამოვარდება. აფორიაქებული ბავშვების (მუმინტროლისა და სნიფის) ყურადღების გადასატანად მამა გადაწყვეტს, რომ სამოგზაუროდ უნდა წავიდნენ და ობსერვატორია მოინახულონ. დედა მუმინი მყისვე მხარს უბამს მამას და სამგზავრო ზურგჩანთებს თბილი ტანსაცმლითა და საჭირო ნივთებით ავსებს. ასე იწყება სნიფისა და მუმინტროლის ხიფათებით სავსე თავგადასავალი. გზად სნუსმუმრიკს გადაეყრებიან და მასაც თან გაიყოლიებენ. სნუსმუმრიკი ამბებს ჰყვება და ტუჩის გარმონზე უკრავს. ერთხელაც საუბრისას ახსენებს, რომ სნორკები გაიცნო და ისინი ძალიან ჰგვანან მუმინებს. ფრეკენ სნორკის შესახებ რაც უფრო მეტს ჰყვება, მუმინტროლს მით უფრო უმძაფრდება ინტერესი. სნუსმუმრიკი ამბობს, რომ ფრეკენ სნორკი ნაზი ბეწვით არის დაფარული, ფერს იცვლის, ძალიან უხდება შუბლზე ჩამოყრილი კულულები და რომ ფეხზე შებმული ოქროს რგოლის დაკარგვის გამო ძალიან ნაღვლობსო.

„– ეს გოგოები დიდი სასაცილო ვინმეები არიან! – ჩაილაპარაკა მუმინტროლმა, საძილე ტომარაში შეძვრა და ცხვირი კარვის კალთისკენ მიაბრუნა.

იმ ღამეს მუმინტროლს პატარა ფრეკენ სნორკი დაესიზმრა. გასაოცარია, როგორ ჰგავდა ფრეკენი თავად მუმინტროლს. და, რაც მთავარია, მუმინმა მას ვარდი აჩუქა თმაში ჩასაბნევად“. 1

გოგო შუბლზე ჩამოყრილი თმით მუმინტროლს უნახავად მოხიბლავს და აღფრთოვანების ამბავი ულამაზესი სიზმრით გრძელდება.

ამის შემდეგ მუმინტროლისთვის მოახლოებული კომეტისადმი შიში ძალას კარგავს და მოგზაურობა ფრეკენ სნორკის პოვნის, გაცნობისა და მოხიბვლის იმედით იმუხტება.

ტუვე იანსონი ახერხებს ისე განავითაროს მოვლენები, რომ ფოკუსი პერსონაჟთა ქცევაზე გაასწოროს და არსად ახსენებს სიყვარულს. თუმცა მუმინტროლისა და ფრეკენ სნორკის გაცნობის, ერთმანეთის აღმოჩენისა და მოხიბვლის ამბავი ერთ-ერთი საუკეთესო მონათხრობია, რაც შეყვარების შესახებ წამიკითხავს. ურთიერთობების ასე ფაქიზად მიწოდება ბავშვებისთვის მართლაც საინტერესო და საჭიროა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, კითხვაც ამ თემის ირგვლივ მომეფიქრებინა.

– შეყვარებული თუ ყოფილხართ ოდესმე და რა სისულელე ჩაგიდენიათ სიყვარულის გამო? – ვკითხე მეხუთე და მეშვიდეკლასელ ბიჭებს. ჩემმა კითხვამ რამდენიმე წამში მოიარა საკლასო ოთახში მყოფების გულები. ვუამბე, რომ ამ წიგნმა დამაფიქრა შეყვარების ამაღელვებელ მომენტზე და რომ შეყვარებული მუმინტროლის შესახებ მისი მეგობარი სნიფი ამბობს, რაც ის (ფრეკენ სნორკი) გაიცნო, მას შემდეგ სულელივით იქცევაო. მუმინტროლი ყურადღებას არ აქცევს მეგობრის შენიშვნებს და გამყიდველ ქალთან ერთად მთელი მონდომებით ეძებს საჩუქარს ფრეკენ სნორკისთვის. იპოვის კიდეც – სარკეს, რომელსაც ლალის თვლებით გაწყობილი ვარდი ამშვენებს. შემდეგ ამ სარკით ფრეკენ სნორკი საშიში რვაფეხას თავდასხმისგან იხსნის მუმინტროლს.

მუმინტროლი და ფრეკენ სნორკი ერთმანეთის დადებით თვისებებს ამჩნევენ, აღიარებენ და აფასებენ, საუბრობენ, ერთობიან, ცეკვავენ, საჩუქრებს დიდი გულმოდგინებით არჩევენ, გამუდმებით ზრუნავენ ერთმანეთზე. ვფიქრობ, მოზარდების დაფიქრება პატივისცემასა და ზრუნვაზე აგებული ურთიერთობების შესახებ ძალიან მნიშვნელოვანია.

ლიტერატურულ კაფეს 25 მოსწავლე ესწრებოდა. დროის დაზოგვის მიზნით წიგნის წარდგენის ფორმა ამგვარი იყო: საუბარი უნდა დაეწყოთ შეკითხვის

დასმით და შემდეგ ერთი წუთის განმავლობაში უნდა ესაუბრათ, თუ რაზე დააფიქრათ მათ მიერ შერჩეული წიგნის წაკითხვამ.

ბავშვების შეკითხვები ამგვარი იყო:

1. ოდესმე დირექტორის კაბინეტში თუ მოხვედრილხართ?
2. ოდესმე თუ გნდომებიათ დეტექტივობა?
3. რას გააკეთებდით, თქვენ რომ მაწანწალა ყოფილიყავით და რა თავგადასავალი გადაგხდებოდათ, თქვენი აზრით?
4. როდისმე გქონიათ სურვილი, ყოფილიყავით პოლიციელი და გყოლოდათ ძაღლი?
5. რატომ უნდა დააზიანო ერთი რაღაც, რომელიც უსულოა და რატომ უნდა მოგწონდეს ის, რაც უსულო არ არის?
6. მოგეწონებოდათ თუ არა მარტო სახლში ცხოვრება?
7. გქონიათ ისეთი უცნაური თავგადასავალი, რომელზეც მერე თქვენ თვითონ დაფიქრებულხართ და ამოგიკითხავთ საკუთარი თავი?
8. თქვენი აზრით, ვინ მოიგებდა ომს – კბილებიანი ტუალეტები თუ კაპიტანი ტრიკო?
9. როგორ ექცევით თქვენს და-ძმებს?
10. ოდესმე გნდომებიათ, რომ ყოფილიყავით ჯადოქარი?
11. გიყვართ სკოლა?
12. ოდესმე თუ გნდომებიათ, ვისაც კაპიტანი ტრიკო წაკითხული გაქვთ, მისნაირი ცხოვრება რომ გქონოდათ?
13. რატომ არის დიდი დათვი ამ წიგნში?
14. როგორი წიგნების კითხვა მოგწონთ ყველაზე მეტად?
15. თქვენი აზრით, რაზე უნდა იყოს ეს წიგნი – პირამიდებზე თუ კიდევ სხვა რამეზე?
16. ოდესმე გნდომებიათ სხვა სკოლაში გადასულიყავით?
17. ბაიას ადგილას რომ ყოფილიყავით და ვიღაც ბიჭმა გიხსნათ, რას გააკეთებდით?
18. თქვენთან მაქვს ასეთი კითხვა, რას იზამდით, თქვენი ნაცნობი ან ოჯახის წევრი რომ დაკარგულიყო?
19. თქვენს მამაზე დაწერდით თუ არა ლექსს?
20. სალამურა რომ ყოფილიყავით, რას იზამდით?
21. როდისმე შველი გყოლიათ?
22. რა არის სისხლჩაქცევა?
23. თქვენ ფარნავაზის ადგილას რას გააკეთებდით თქვენი მამის და ბიძის მკვლელთან ერთად?
24. როდისმე ყოფილა ისე, რომ ჩაგძინებიათ და ვინმე მოგჩვენებიათ სიზმარში?
25. რას იზამდით, თუ მიტოვებულ შენობას დაინახავდით?

ყველამ შეძლო შეკითხვის მოფიქრება. ამასთანავე, იგრძნობა მათი სილაღე, თავისუფლება, გაბედულება, რაც მასწავლებლებისთვის დიდი ბედნიერებაა მაშინ, როცა თითოეული მოსწავლის ძალების თანაბრად წარმოჩენა ჩვენი უმთავრესი მიზანია. შეკითხვის დასმის სწავლებაც მათი თავისუფლების გამოსაწრთობად ერთ-ერთი საინტერესო და ეფექტური მეთოდი აღმოჩნდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იანსონი, ტუვე. 2023. კომეტა მუმინების ხეობაში. თარგ. დავით გაბუნია. რედ. ლოლა ქადაგიშვილი, თამარ გავაშელიშვილი. თბილისი: სულაკაურის გამომცემლობა

აკადემიური უნარების გაუმჯობესებასთან ერთად საშინაო დავალებას აქვს არააკადემიური სარგებელიც. მაგალითად, ის ავითარებს პასუხისმგებლობას, დროის მართვის ჩვევას, შეუპოვრობას. ამასთან ერთად, საშინაო დავალება ზრდის მშობლების ჩართულობას შვილების სწავლის პროცესში.

თუმცა მეტისმეტად ბევრმა საშინაო დავალებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს არააკადემიურ უნარებზე, ვინაიდან შეამცირებს თავისუფალი თამაშისთვის დარჩენილ დროს, თავისუფალი თამაში კი აუცილებელია ენის, კოგნიტიური, თვითრეგულირებისა და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებისთვის. ბევრმა საშინაო დავალებამ შესაძლოა შეამციროს ფიზიკური აქტივობაც და ჭარბი წონის რისკი გაზარდოს. რამდენიმე კვლევის თანახმად, საშინაო დავალება შეიძლება იყოს სასარგებლო, როდესაც ის მინიმალური მოცულობისაა.

ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, საშინაო დავალების შესრულებაში ბავშვებს არ უნდა ეხარჯებოდეთ 2.5 საათზე მეტი, ხოლო დაწყებითი სკოლის მოსწავლეებისთვის საშინაო დავალება უნდა იყოს მინიმალური მოცულობის და ემსახურებოდეს თვითრეგულირებისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარების ჩამოყალიბების მიზანს.

განათლების ეროვნული ასოციაციისა და მშობელთა და მასწავლებელთა ეროვნული ასოციაციის რეკომენდაციით, პირველკლასელებს დღეში 10 წუთზე მეტი არ უნდა ეხარჯებოდეთ საშინაო დავალების შესრულებაში. მეორეკლასელებისთვის მაქსიმუმი დღეში 20 წუთია, მესამეკლასელებისთვის – 30 წუთი და ა.შ.

რამდენიმე რჩევა მშობლებს:

ფოკუსირდით ზოგად ზედამხედველობაზე, ხელმძღვანელობასა და გამხნევებაზე, მაგრამ მიეცით ბავშვებს საშუალება, რამდენადაც შესაძლებელია, დამოუკიდებლად შეასრულონ საშინაო დავალება. კვლევები მოწმობს, რომ საშინაო დავალების შესრულებისას ბავშვებისთვის მეტი ავტონომიის მინიჭება დადებით გავლენას ახდენს მათ აკადემიურ უნარებზე.

დაეხმარეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც თქვენი შვილი გთხოვთ და განზე გადექით, როდესაც ეს შესაძლებელია. კვლევებმა აჩვენა, რომ საშინაო დავალებაზე მუშაობისას მშობლის გადაჭარბებული ჩარევა და კონტროლი ცუდ აკადემიურ მოსწრებასთან ასოცირდება.

დაეხმარეთ ბავშვებს, შექმნან სტრუქტურა და ჩამოაყალიბეთ რუტინა, რომელიც მათ საშინაო დავალების დასრულებაში დაეხმარება. კვლევებით დადგენილია, რომ ასეთი სტრუქტურისა და პასუხისმგებლობის შეთავაზებას აკადემიური უნარების გაუმჯობესება მოჰყვება.

დაადგინეთ სპეციფიკური წესები საშინაო დავალებისთვის. კვლევებმა აჩვენა კავშირი მშობლების მიერ საშინაო დავალებასთან დაკავშირებული წესების დადგენასა და აკადემიურ მოსწრებას შორის.

დაეხმარეთ ბავშვს, შეხედოს საშინაო დავალებას როგორც შესაძლებლობას, ისწავლოს და უნარები გაიუმჯობესოს. მშობლებს, რომლებიც საშინაო დავალებას განიხილავენ როგორც სწავლის შესაძლებლობას (ე.წ. დაოსტატებაზე ორიენტირება) და არა რაღაც ისეთს, რაც უნაკლოდ უნდა შესრულდეს მაღალი ნიშნის მისაღებად (შესრულებაზე ორიენტირება), უფრო მეტი შანსი აქვთ, აღზარდონ ასეთივე დამოკიდებულების მქონე შვილები.

წაახალისეთ და გაამხნევეთ შვილი დავალებაზე მუშაობისას, წარმოაჩინეთ რთული დავალება როგორც ზრდის შესაძლებლობა. კვლევამ აჩვენა, რომ მსგავსი დამოკიდებულება მოსწავლის წარმატების საწინდარია. კვლევა იმასაც ამბობს, რომ რაც უფრო მეტია რთული დავალება, მით უფრო დიდია აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების შანსი.

შეინარჩუნეთ სიმშვიდე და პოზიტიური განწყობა. კვლევების თანახმად, როდესაც მშობელი საშინაო დავალების შესრულებაში დახმარებისას დადებით ემოციებს ავლენს, ბავშვის მოტივაცია იმატებს.

დააფასეთ თქვენი შვილის ძალისხმევა – ესეც გაზრდის მოტივაციას. გარდა ამისა, კვლევა გვიჩვენებს, რომ საშინაო დავალების შესრულებისას გაწეული მეტი ძალისხმევა კეთილსინდისიერების განვითარებას უწყობს ხელს.

ესაუბრეთ ბავშვს და მასწავლებელს ნებისმიერი პრობლემის შესახებ, რომელიც საშინაო დავალებაზე მუშაობისას იჩენს თავს. გაარკვიეთ მასწავლებლის საგანმანათლებლო მიზნები. კვლევა გვიჩვენებს, რომ საშინაო დავალების შესახებ ღია კომუნიკაცია აკადემიური მოსწრების ამაღლების ერთ-ერთი პირობაა.

მალინა საჯაია

როგორ დავეხმაროთ ბავშვებს საშინაო დავალების შესრულებაში

წყარო:
www.psychologytoday.com

ШОРЕНА ТКЕШЕЛАШВИЛИ

რას ელიან მოსწავლეები სკოლისგან

„მოტივაციას არ გაძლევს, არ გამოდის იმ ძველი სისტემიდან, სიახლეებზე არ აფდეითდება“, – მითხრა ერთ დღეს, სკოლაზე საუბრისას, ჩემმა თერთმეტი წლის შვილმა.

მე ვეუბნებოდი, რომ მთავარია, თვითონ იყოს კმაყოფილი საკუთარი თავით, საკუთარი შრომით – თუ ამას სხვა ვერ ამჩნევს, ეს არ უნდა იქცეს მისთვის დაბრკოლებად შემეცნების გზაზე.

მისი პასუხი, ფაქტობრივად, განათლების სისტემის დიაგნოზი იყო და წუხილიც იმაზე, რას ვერ აკეთებს სკოლა და რას ელოდება მოსწავლე მისგან.

თითქოს იოლია ამ მოცემულობის უმტკივნეულოდ, რაციონალურად მიღება, მაგრამ არა ისეთ დროს, როდესაც მოსწავლე გულმოდგინედ შრომობს და შეფასებას მოელის გაწეული შრომისთვის. მისი სამსახური სკოლაა, მისი ანაზღაურება – მასწავლებლის შეფასება.

განა უფროსებიც ასე არ ვართ ხშირად? განა ჩვენც არ გვჭირდება აღიარების, დაფასების სიხარული, რათა უკეთესად ვიშრომოთ და დავრწმუნდეთ, რომ რასაც ვაკეთებთ, ნამდვილად მნიშვნელოვანია და ასე უნდა გავაგრძელოთ? განა ბავშვებიც იმას არ ეჩვევიან სკოლაში, რომ მათი ცოდნა გარკვეული ქულებით ფასდება, რომ რაღაც მხრივ სწავლის შედეგიც ეს არის (სანამ კენწეროში გატკბილდება, სანამ სწავლა და შემეცნება სხვა სიხარული გახდება, სხვა განზომილების სიხარული, ურომლისოდაც ცხოვრება წარმოუდგენელია)?

საყვედური მასწავლებელს ეხებოდა. ანდრია წუხდა, რომ მასწავლებელი არ აღნიშნავდა მის შრომას, არ აძლევდა უკუკავშირს და დავალება დავალებად რჩებოდა, სწავლის პროცესი მისთვის საინტერესო აღარ იყო და საერთოდ, რა მნიშვნელობა ჰქონდა, შეასრულებდა თუ არა დავალებას, თუ ვერ გაიგებდა, კარგად აკეთებდა ამ ყველაფერს თუ ცუდად?

გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტს, რომ მოსწავლეებისთვის, კარგი მოსწავლეებისთვისაც კი, სკოლა დღითი დღე ხდება ისეთი ადგილი, სადაც წასვლა აღარ უხარიათ; სკოლა აღარ ეგულებათ ისეთ გარემოდ, სადაც შეიძლება სიხარულით სწავლობდე, გზადაგზა სირთულეებიც შეგხვდეს, მაგრამ მათ დაძლევაში გეხმარებოდნენ, მოტივაციას გაძლევდნენ და სირთულეები არ გადაიქცეს ისეთ დაბრკოლებებად ცოდნის მიღების გზაზე, რომლებსაც მარტო, საკუთარი ძალებით, მოსწავლე ვერ გადალახავს.

სკოლის ისეთ ადგილად გადაქცევა, სადაც წასვლა მოსწავლეებს აღარ უხარიათ, არ არის დაკავშირებული მხოლოდ იმ ვალდებულებებთან, რომლებსაც აკადემიური სივრცე მოითხოვს მათგან. ჩემი დაკვირვებით, სკოლებში უფრო და უფრო ნაკლებად რჩება დრო და საშუალება ისეთი მოსწავლეებისთვის, რომლებსაც შესაძლოა სჭირდებოდეთ ინდივიდუალური მიდგომა, ოდნავ უფრო მეტი დროის დათმობა, შესაძლებლობების სიღრმისეული შეფასება. სკოლა უფრო და უფრო ხშირად იქცევა ისეთ ადგილად, საიდანაც მოსწავლეები ბრუნდებიან იმედგადაწურულები, საკუთარ შესაძლებლობებში დაეჭვებულები და ხასიათგაფუჭებულები. მერე კი მშობლებს გვიწევს იმ რეალობასთან შეჯახება, რომელსაც სწავლის მიმართ ინტერესის დაკარგვა ჰქვია.

სწავლისადმი მოტივაციის დაკარგვა სასწავლო პროცესის შემაფერხებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელიც არც მშობელს და არც მასწავლებელს არ უნდა გამოეპაროთ. სწავლისადმი ინტერესის დაკარგვას ყოველთვის აქვს მიზეზები, რომლებსაც დროულად უნდა მივაქციოთ ყურადღება და გამოვიკვლიოთ, რატომ აღარ უნდა მოსწავლეს სწავლა, როგორ დავეხმაროთ, რომ სწავლისადმი ინტერესი გაუჩნდეს და ცოდნის მიღების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება გამოვუმუშაოთ.

როგორც ორი მოსწავლის მშობელი, ვადასტურებ იმ საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებას, რომ ბავშვებთან არაფერი მუშაობს ისე ეფექტურად, როგორც წახალისება, მოტივირება, რაციონალური შეფასება და თვითშეფასების ნაბიჯ-ნაბიჯ ამაღლება, თავდაჯერების მომატება სასწავლო პროცესში. სავარაუდოა, რომ მსგავსი განწყობის შექმნა სკოლებში უმეტესად ვერ ხერხდება, რაც დროთა განმავლობაში მნიშვნელოვან გამოწვევად იქცევა და აზიანებს სასწავლო პროცესს. როდესაც სასკოლო გარემოში ვერ ხერხდება მოსწავლის უნარების გაუმჯობესება, გაძლიერება და წახალისება, მოსწავლესაც ნაკლებად რჩება სურვილი, სწრაფვა და მონდომება, სიხარულით შეიმეცნოს და გაუმკლავდეს გამოწვევებს.

ბავშვის წარმატება არ უკავშირდება მხოლოდ სკოლას, მხოლოდ ბავშვს, მხოლოდ ოჯახს და იმ სოციუმს, სადაც ის იზრდება. ბავშვის აკადემიურ წარმატებას განაპირობებს ამ ჯაჭვის ყოველი რგოლის შეთანხმებული, შეკავშირებული და მონდომებული მუშაობა, როდესაც თითოეული მათგანი ხედავს მოსწავლის აკადემიურ პოტენციალს და ცდილობს, შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს მისი ნიჭის გაფურჩქნას.

ვფიქრობ, კარგ სკოლას, მონდომებულ მასწავლებელს შეუძლია ამის მიღწევა. მოსწავლეებიც ალბათ ამას ელიან სკოლისგან.

სირთულე. მით უმეტეს, მათ ყოველდღე არ ვხვდები, კვირაში ერთხელ ან ორჯერ ერთად გატარებული ორმოცი წუთი კი არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ისინიც გაიცნო და მკაცრად გაწერილ საგაკვეთილო გეგმასაც მიჰყვე. მასწავლებელს თავისი შიმშილი აქვს, მოსწავლეებს – თავიანთი. ამ შიმშილს კარგად გაცნობის და კომუნიკაციის შიმშილი ჰქვია, ის რაღაც უფრო მეტს მოითხოვს, ვიდრე სწორხაზოვანი გაკვეთილის გეგმაა. სწორედ ასე ნადგურდება ჩემი შესვენებები და დაუსრულებლად ვპასუხობ ერთსა და იმავე, უკვე მილიონჯერ მოსმენილ შეკითხვებს, რაც მათ სახეებზე უზომოდ ბედნიერ და იმავდროულად მოუთმენელ გამომეტყველებას აჩენს.

სია? ჰო, იმ გოგოსი“. „ახლა სად? მესამე მეოცეში? ეგ რომელია? ჰო, იმ ბიჭუნასი“. „მეორე მეექვსე? ჰო, ის სამი ბავშვი“.

მეორე კვირას კლასთან ასოცირებული ორი წყვილი თვალი ოთხი გახდა, მერე – ექვსი, მერე – რვა და ა.შ. მაგრამ სამოცი?! ეს ხომ ძალიან ბევრია! როგორ შეძლოს მასწავლებელმა ყველას გაცნობა, ყველას ამოცნობა, ყველას დამახსოვრება, მით უმეტეს, როცა სულ მათთან არ არის? ზოგი ძალიან თამამია, ბევრს ლაპარაკობს, შეცდომების არ ეშინია, სულ ხელს იწევს, ზოგი გამორჩეულად თბილია, სტიკერებს გჩუქნის, კლასში შესულს გეგებება და ნახატებს გაჩვე-

მეტი უნდათ და უნებურად მშობლიურ ენაზე გადადიან, მე კი მათი ენა არ მესმის, ჩემი ქართველი მოსწავლეები მახსენდება და მონატრება გულს მიკლავს.

პირველ კვირას კლასიდან მხოლოდ ერთი ან ორი მახსოვდა ხოლმე. რაღაც ასე: „ახლა სად მაქვს გაკვეთილი? მესამე მეცამეტეში? ეგ რომელი კლა-

ნებს, ზოგი არასდროს გიყურებს, გგონია, არც კი გისმენს, გაკვეთილზე ხატავს და ასე იქცევს შენს ყურადღებას, თუმცა მაინც ყველაფერზე სწორად გცემს პასუხს. მაგრამ დანარჩენები? ვინც სულ ჩუმად ყოფნას ამჯობინებს და ცდილობს, თვალში არ მოგხვდეს? განა იმიტომ, რომ სათქმელი ან საჩვენებელი არაფერი აქვთ, – უბრალოდ, ასეთები არიან, შეუმჩნევლები. თან რა ადვილია, სამოც

არიან ისეთი ბავშვებიც, რომელთა სახელებიც და სახეებიც პირველივე გაკვეთილიდან გვახსოვს და ისეთებიც, ვისი სახელის გასახსენებლადაც დღის ბოლოს სიის შემოწმება გვჭირდება. ამას არაფერი აქვს საერთო მათ აკადემიურ მოსწრებასთან.

კაცში შეუმჩნეველი იყო! არადა, თუ შეამჩნიე და ბიძგი მიეცი, შესაძლოა, ყველაზე კაშკაშა სინათლით დაიწყონ შენთვის ნათება. მაგრამ ვიდრე ამას მიხვდები, ვიდრე მოქმედებაზე გადახვალ, რა უნდა ქნა მასწავლებელმა?

ამ კითხვებზე პასუხი საახალწლოდ გამართულ ზეიმზე მივიღე. ყველა კლასმა საკუთარ საკლასო ოთახში მოაწყო მცირე წვეულება და ეს წვეულება საოცრად ჰგავდა ერთმანეთის უკეთ გასაცნობად დაგეგმილ აქტივობას. მასწავლებლებმა მოსწავლეებს რამდენიმე დღით ადრე სთხოვეს, წარმოედგინათ ის, რაც უყვარდათ და რაც, მათი აზრით, ყველაზე უკეთ გამოსდიოდათ. ზოგმა იცეკვა, ზოგმა იმღერა, ზოგმა დაუკრა, ზოგმა კომედიური ნომერი წარმოადგინა, ზოგმა ფოკუსები გვაჩვენა, ზოგმა ლექსი წაიკითხა. ყველაფერი იყო, ინტერესიდან ჰობიმდე, ფოლკლორიდან თანამედროვეობამდე. მასწავლებლები არც მათ არჩევანში ჩარეულან და არც ნომრების დახვეწაში მიუღიათ მონაწილეობა. კლასიდან კლასში დავრბოდი, რომ ყველას ნახვა მომესწრო. ცხადია, სირბილში ბევრი რამ გამომრჩებოდა, მაგრამ რაც ვნახე, აღმაფრთოვანა. გამაგიჟა იმ ბავშვების წარმოდგენამ, რომლებსაც ამ ზეიმამდე დერეფანში რომ შევხვედროდი, ვერც კი გავიხსენებდი, ჩემს კლასში იყვნენ თუ არა!

ამიტომ ასე ვფიქრობ: იქნებ ღირდეს, თვეში ერთი გაკვეთილი ან ერთი საღამო „გავწიროთ“ იმისთვის, რომ მოსწავლეებს საშუალება მივცეთ, საკუთარი თავი, ინტერესები და შესაძლებლობები წარმოაჩინონ? ვუწოდოთ ამას თუნდაც ზეიმი. თუ მათ ასე აბედნიერებთ ერთმანეთის ხელახლა გაცნობა და თავის წარმოჩენა, განა ეს ზეიმი არ არის?!

„Teacher, let me try“, – გაისმის ხოლმე ჩემს ზურგს უკან და მივიხედავ თუ არა, მაშინვე მახსენდება – ეს ხომ ის ბიჭუნაა, ჰიპ-ჰოპი რომ იცეკვა, ეს კი ის გოგოა, უცნაურ საკრავზე რომ დაუკრა. „მოდი, იმან სცადოს, ფოკუსებს რომ ატარებდა“, – ვუპასუხებ ხოლმე და ფოკუსების მოყვარული სიცილით მოიკვლევს გზას ახითხითებულ თანაკლასელებს შორის. მეც საბოლოოდ ბედნიერი ვარ, ყველას სახე მახსოვს და ყველას საკუთარი ადგილი აქვს.

მაია ფირჩხაძე

საგაკვეთილო აქტივობები მედიაწიგნიერების უნარების ფორმირებისთვის

თანამედროვე პირობებში სასწავლო პროცესის განხორციელება გულისხმობს მედიაწიგნიერების ფუნქციების – სწავლების (მედიაწიგნიერების), ადაპტაციის, განმავითარებელი და მაორგანიზებელი ფუნქციების გამოყენებასაც.

თანამედროვე პირობებში სასწავლო პროცესის განხორციელება გულისხმობს მედიაწიგნიერების ფუნქციების – **სწავლების** (მედიაწიგნიერების), **ადაპტაციის, განმავითარებელი და მაორგანიზებელი ფუნქციების გამოყენებასაც,** სადაც:

- „სწავლება“ მოიცავს მედიატექსტების გაცნობას/მიწოდებას/ათვისებას (მათ შორის – თეორიული კუთხითაც), მათ აღქმასა და ანალიზს, უნარს, გამოიყენო ცოდნა სხვადასხვა სიტუაციაში, იაზროვნო, განსაჯო ლოგიკურად;
- ადაპტაციის ფუნქცია ვლინდება (წარმოიქმნება) უშუალოდ მედიაკულტურასთან კომუნიკაციის ეტაპზე, კონცეპტუალურ დონეზე;
- განმავითარებელი ფუნქცია მოიაზრებს პიროვნების მოტივაციურ, ნებელობით და სხვა პიროვნულ თვისებებზე, მედიაგარემოსთან შემოქმედებითი კონტაქტების დროს მიღებულ გამოცდილებაზე აქცენტირებას;
- მაორგანიზებელი ფუნქცია კი გამოიხატება მედიატექსტების ანალიზისთვის საუკეთესო პირობების შექმნით.

საგაკვეთილო პროცესში მედიაწიგნიერების მიდგომების გამოყენება გულისხმობს მრავალფეროვან აქტივობებს:

- დესკრიპტორული (აღწერითი, ანუ ძირითადი აზრობრივი შინაარსის გამომხატველი დავალებების შეთავაზება მოსწავლეებისთვის), როგორიცაა შინაარსის გადახედვა/გამეორება, მედიატექსტში გადმოცემული მოვლენების ჩამოთვლა/დასახელება;
- კლასიფიკაციაზე ორიენტირებული სავარჯიშოები (ისტორიულ და სოციოკულტურულ კონტექსტში მედიატექსტის ადგილის განსაზღვრა);
- ანალიტიკური ხასიათის დავალებები (როგორიცაა მედიატექსტის სტრუქტურის ანალიზი, მედიატექსტის ენის განსაზღვრა, ავტორისეული კონცეფციების განხილვა და ა.შ.);
- პერსონალური (მედიატექსტით გამოწვეული გრძნობების, მოგონებების, განცდების აღწერა);
- დამოკიდებულებებზე, ღირებულებებზე ორიენტირებული დავალებები;
- მედიატექსტის შეფასება, მისი ღირებულების განსაზღვრა (მაგალითად, ესთეტიკური და მორალური კრიტერიუმების შესაბამისად).

დავალებები, რომლებსაც ამ დროს ვთავაზობთ მოსწავლეს, ტიპოლოგიურად შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად:

- სასწავლო მასალის შინაარსის (ფაქტებისა და მოვლენების) **მიხედვით;**
- დავალების შინაარსის **მიხედვით** (კონკრეტულად რას ითხოვს მედიატექსტი: მხატვრულ ანალიზს, ჯგუფურ და ინდივიდუალურ მუშაობას თუ სხვ.);
- ლიტერატურული და იმიტაციური (**თეატრალიზებული,**

გამომსახველობითი) აქტივობები (სათამაშო თუ სხვ. ტექნოლოგიებით და ტექნიკური საშუალებებით) მედიატექსტზე მუშაობისას კრეატიული იდეების ინიციირებისთვის, როგორიცაა, მაგალითად, სცენარის და მინიგეგმის დაწერა მედიატექსტისთვის, მედიატექსტის შექმნის დროს მისი ამა თუ იმ ნაწილის ინსცენირება და ა.შ) და ა.შ;

- ვიზუალური აქტივობები (აფიშების შექმნა, ფოტოკოლაჟი, ნახატები თემასთან ახლოს, ანიმაცია) **და ა.შ.**

აღსანიშნავია, რომ შემოქმედებითი, **„ლიტერატურულ-იმიტაციური“ ხასიათის დავალებები მეთოდურად ყოველთვის წარიმართება სათამაშო ტექნოლოგიებით. დასაწყისში მოსწავლეებს ვთავაზობთ, წარმოიდგინონ თავი მედიატექსტის სცენარისტად და დაწერონ:**

1. ორიგინალური სცენარის გეგმა მედიაკულტურის ნებისმიერი სფეროდან (ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროებია: ბეჭდური მედია, აუდიოვიზუალური ფორმები – რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი); მაგალითად, ეკრანიზაცია, ტელესიუჟეტი რომელიმე ლიტერატურული ნაწარმოების, რომელიმე ისტორიული პირის შესახებ, პოლიტიკური მოვლენების მიმოხილვა, ისტორიული ქრონიკა და ა.შ., რომელიც დაახლოებით 3-5 წუთი გაგრძელდება;
2. შემდეგ მინისცენარის მიხედვით შექმნან „რეჟისორული სცენარიც“, სადაც ორიგინალურ ტექსტთან ერთად, თუ ეს ფილმია, გამოჩნდება რაკურსი, კამერის მოძრაობა, მონტაჟის პრინციპები და სხვ.

ამ ტიპის სამუშაოსთვის სცენარის მომზადება მნიშვნელოვანი დეტალია. ამ დროს მოსწავლეებს შორის ნაწილდება „როლები“: „რეჟისორების“, „ტელეოპერატორების“, „ხმის ოპერატორების“, „დიზაინერების“, „მსახიობების“, „გრიმიორების“, „ჟურნალისტების“, „მულტიპლიკატორების“, „კომიქსების მხატვრების“, „ელექტრონული სპეციფექტების სპეციალისტების“ (ტექნიკური მხარდაჭერა) – თანამედროვე ვიდეო- და კომპიუტერული ტექნიკის მცოდნეები მედიატექსტების შედგენისთვის და სხვ.

ჯგუფი ერთად მუშაობს სცენარზე და ერთად იქმნება საბოლოო პროდუქტი. მიღებული მედიაპროდუქტი შეიძლება სულაც არ იყოს თამაშის ანუ ანიმაციური ტექნოლოგიით შექმნილი და წარმოადგენდეს:



ა. მხოლოდ დოკუმენტურ მედიატექსტს,
ბ. ან ისეთ დოკუმენტურ მედიატექსტს, რომელიც დაეყრდნო მედიაკულტურისთვის დამახასიათებელ გამომსახველობით, მხატვრულ ხერხებს.

მასწავლებელი ორივე შემთხვევაში მხოლოდ მაკორექტირებელ როლს ასრულებს, მისი აუდიტორია კი, შეიძლება ითქვას, ფანტაზიორთა სივრცეა, სადაც საკუთარ მოსაზრებებს, შემოქმედებითობას თავისუფლებას აძლევენ. **მიზანი სასწავლო ამოცანების გადაწყვეტაა და არ გულისხმობს დასრულებული ფორმის მედიაპროდუქტის შექმნას,** რომელსაც პრეტენზია ექნება პროფესიულ დონეზე. შეიძლება ითქვას, რომ აქ:

- **მთავარია** არა შედეგი, არამედ თავად **პროცესი, აუდიოვიზუალური ენის, შემოქმედებითი უნარების გამომუშავება;**
- თუმცა, გარკვეულწილად, **მზა მედიატექსტებიც საჭიროებს რეკლამირებას, „ბაზარზე" „გაყიდვას", „გავრცელებას" და ა.შ.** ამ მიზნებს ექვემდებარება პრაქტიკულ სამუშაოში კონკრეტული შემოქმედებითი ამოცანების ჩართვა, რომლებიც ავითარებს წარმოსახვას, ფანტაზიას, ასოციაციურ აზროვნებას და აუდიტორიის არავერბალური აღქმის უნარს;
- რაც შეეხება საკუთარი მედიატექსტისთვის **სარეკლამო პლაკატების** მომზადებას (ვარიანტი: პლაკატები პროფესიული მედიატექსტებისთვის), ის შეიძლება შეიქმნას **მედიაკულტურის თემაზე არსებული ნახატების/ფოტოების კოლაჟის საშუალებით ან ხელით დაიხატოს „კომიქსები"** კონკრეტული მედიატექსტების საფუძველზე, რომლებიც გარკვეული ასაკის აუდიტორიისთვის არის განკუთვნილი.

ნებისმიერი ეს აქტივობა დიდ ინტერესს იწვევს მოსწავლეთა შორის, მაგრამ განსაკუთრებით ემოციურად ხვდებიან ვიდეორგოლებს. შესაბამისად, მასწავლებელი მეტ ყურადღებას აქცევს ვიდეოსთვის მოსწავლეების მიერ სცენარის დაწერას. ვიდეოს შექმნისთვის სცენარი აუცილებელია. ის ვიდეოწარმოების ფუნდამენტური ელემენტია, ერთგვარი სახელმძღვანელო-ინსტრუმენტი და ამოსავალი წერტილი ყველასთვის, ვინც ვიდეოს შექმნაში მონაწილეობს.

ნებისმიერი ვიდეოსცენარი ძირითადად ოთხი ნაწილისგან შედგება:

1. შესავალი (რომელმაც „უნდა აიძულოს" მსმენელი, ყურადღება მიმართოს ეკრანისკენ);
2. ძირითადი საკითხები (მიზანია, მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია მაყურებელს და გამოიწვიოს მათი ნდობა);
3. დასკვნა (მიზანია, კიდევ ერთხელ გააზრებინოს ინფორმაცია მაყურებელს);
4. მოწოდება მოქმედებისკენ (რომელმაც მაყურებელს მოქმედებისკენ უნდა უბიძგოს. ღირებულებითი, დამოკიდებულებების თვალსაზრისით, ეს ნაწილი ძალიან მნიშვნელოვანია მსმენელისთვის).

სასწავლო, საგანმანათლებლო ვიდეოსცენარის დასაწერად დასაწყისში შეიძლება შაბლონის გამოყენებაც. მთავარია, სქემა იყოს ძალიან მარტივი და მოსწავლეებისთვის ადვილად აღსაქმელი. მაგალითად, ვიდეო „სტიქიური მოვლენები – გზამკვლევი":

1. შესავალი ნაწილი
ვიდეოსცენარის დასაწყისში, შესავალში, გამოჩნდება ორგანიზაციის (ჯგუფის, გაერთიანების) ლოგო (ანუ ვინც ქმნის ვიდეოს), შემდეგ კამერა თანდათან გადადის გამოსახულებასა და წამყვანზე;
2. ძირითადი საკითხები
წამყვანი ესალმება მაყურებლებს და აუწყებს: „დღეს ჩვენ წარმოგიდგენთ სასწავლო ვიდეორგოლს „სტიქიური მოვლენები - როგორ დავიცვათ თავი სტიქიური უბედურებისგან?" თქვენი გიდი ვიქნები მე, ექსპერტი სამოქალაქო უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებში. დღეს მე გაგაცნობთ ამ თემის ძირითად ასპექტებს". ეკრანზე გამოჩნდება ვიდეოს ცალკეული ნაწილების ტიტრები: „რა არის სტიქიური მოვლენა?", „როგორ მოვიქცეთ სტიქიის დროს?", „შედეგები და აღდგენა".

- ნაწილი პირველი – **„რა არის სტიქიური მოვლენა?"**
ეკრანზე ჩანს სტიქიური მოვლენის განმარტება: სტიქია არის ბუნებრივი მოვლენა, რომელიც ატა-

„სწავლება“ მოიცავს მედიატექსტების გაცნობას/მიწოდებას/ათვისებას (მათ შორის – თეორიული კუთხითაც), მათ აღქმასა და ანალიზს, უნარს, გამოიყენო ცოდნა სხვადასხვა სიტუაციაში, იაზროვნო, განსაჯო ლოგიკურად.

რებს საგანგებო ხასიათს და რომელსაც მოჰყვება მოსახლეობის ნორმალური ცხოვრების რიტმის დარღვევა, მატერიალურ ღირებულებათა დანგრევა და განადგურება, საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს; ხასიათდება მნიშვნელოვანი მასშტაბებითა და სხვადასხვაგვარი ხანგრძლივობით, მაგალითად, მიწისძვრა შეიძლება რამდენიმე წამს გაგრძელდეს, ხოლო წყალდიდობა – თვეობით. სტიქიური უბედურებაა მიწისძვრა, ზვავი, ღვარცოფი, წყალდიდობა, ხანძარი და ა.შ. შესაბამისად, ამ დროს რასაც ვაკეთებთ, ეს არის დამაზიანებელი ზემოქმედების მინიმიზაცია და შეჩერება.

ნაწილი მეორე – „როგორ მოვიქცეთ სტიქიური მოვლენის დროს, როგორ დავიცვათ თავი?“

წამყვანი: ა) ახლა გადავიდეთ მომზადებაზე. უნდა გვქონდეს მოქმედების გეგმა ოჯახის წევრების ევაკუაციისთვის, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საკონტაქტო მონაცემები, შეხვედრის ადგილი, გადარჩენისთვის აუცილებელი ელემენტები; **ბ)** ეკრანზე ჩანს სქემები და ილუსტრაციები, რომლებიც წარმოაჩენს მომზადების ეტაპებს.

წამყვანი: ა) სტიქიური მოვლენის დროს უნდა ვიცოდეთ, როგორ მოვიქცეთ. მიწისძვრის დროს თავი შევაფაროთ მაგიდის ან მყარი საწოლის ქვეშ; წყალდიდობის დროს სასწრაფოდ მოვძებნოთ უფრო მაღალი ადგილები და ვაცნობოთ გადაუდებელი დახმარების სამსახურს; **ბ)** ეკრანზე ჩანს ანიმაცია, რომელიც გვიჩვენებს სწორ მოქმედებას სხვადასხვა სტიქიური მოვლენის დროს.

წამყვანი: „გახსოვდეთ, რომ თქვენი და თქვენი ახლობლების უსაფრთხოება მთავარია. იმოქმედეთ ინსტრუქციის მიხედვით და არ გარისკოთ“.

ნაწილი მესამე – „შედეგები და აღდგენა“

წამყვანი: ბოლოს, მოდი, ვისაუბროთ სტიქიური უბედურებების შედეგებსა და დაზიანებულის აღდგენაზე. ზიანის შეფასებისა და აღდგენისთვის საჭიროა იმ ადგილობრივ სამსახურებსა და ორგანიზაციებთან დაკავშირება, რომლებიც დაგეხმარებათ ამ პროცესში (ეკრანზე გამოჩნდება შესაბამისი რჩევები).

წამყვანი: გახსოვდეთ, რომ სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებული ცოდნა და უახლესი ინფორმაციის ფლობა დაგეხმარებათ, ეფექტურად იმოქმედოთ საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში.

დასასრული: წამყვანი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ეს იყო საგანმანათლებლო ვიდეო „სტიქიური უბედურებები – გზამკვლევი“. ვიმედოვნებთ, სასარგებლო ინფორმაცია მიიღეთ და ამიერიდან უფრო თავდაჯერებულად იმოქმედებთ სტიქიური მოვლენების შემთხვევაში. „მოემზადეთ და იყავით უსაფრთხოდ!“

მუსიკალური დასასრული

მოსწავლეთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ხელოვნური ინტელექტის (მათ შორის – ნეიროქსელის) გამოყენებით შექმნილი ვიდეომასალები. ამით მასწავლებელს შეუძლია გაამრავალფეროვნოს სასწავლო პროცესი, მაგრამ ეფექტიანობისთვის მნიშვნელოვანია, აქტიურად გამოიყენოს მედიაპროდუქტის (მაგალითად, ფილმის/ფრაგმენტის) დეკოდირების (დეკონსტრუქციის) სქემა და მედიაპროდუქტი ეფექტურ სასწავლო რესურსად გადააქციოს.

მაგალითი: საგანი – ისტორია; თემა – „ანტიკური საქართველო“ (ზოგადი შედეგები: ისტ. საბ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12)

მედიაწიგნიერების მიზანი მოცემულ მასალასთან მიმართებით: დესკრიპტორული

დავალების ტიპი: სასწავლო მასალის შინაარსზე ორიენტირებული

I – მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით შექმნილ სამ-ხუთწუთიან მარტივ მედიაპროდუქტს ანტიკური საქართველოს შესახებ.

https://drive.google.com/file/d/111oSlwo-aOlRnxuz6g0MbKXV0fTN3kUa/view?ts=65b94645

II – შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს ფილმის დეკოდირების/დეკონსტრუქციის სქემას (სქემა 1) და სთხოვს, აღნიშნულ საკითხებზე იმუშაონ.

მასწავლებელს შეუძლია, მოსწავლეებს თავად შეაქმნევინოს ორ-სამწუთიანი მედიაპროდუქტები, ამგვარად წაახალისოს მათი შემოქმედებითობა და კიდევ უფრო გააუმჯობესოს მათი მედიაუნარები.

სქემა 1.

1. **„დეკოდირება ყოველთვის უნდა დაიწყოთ შეკითხვის დასმით.** შეკითხვები მნიშვნელოვანია სწორი ანალიზისთვის. დეკოდირებისას კითხვები შეიძლება იყოს ზოგადი. რა სახის შეტყობინებებს ხედავთ (გესმით)? რას გრძნობდი, როდესაც უყურებდი (კითხულობდი ან უსმენდი) მედიაშეტყობინებას? გაქვს კომენტარი ან კითხვა დისკუსიის დასაწყებად?

2. **ფილმის / ფილმის ფრაგმენტის დეკოდირების სქემა:**
   - რა არის ფრაგმენტის მთავარი თემა? დაასათაურეთ ფრაგმენტი;
   - სად ხდება მოქმედება? აღწერეთ სცენა, პერსონაჟები. დაასახელეთ ისინი და შეაფასეთ მონათხრობი სანდოობის თვალსაზრისით;
   - შეაფასეთ, ფრაგმენტის შექმნისას გამოყენებულია თუ არა მონტაჟი, კომპილაცია?
   - როგორ შესაბამისობაშია ფრაგმენტი ისტორიულ სინამდვილესთან?
   - „მჯერა-არ მჯერა“;
   - რას აცხადებს პერსონაჟი – „ამბობს თუ არა იმას, რასაც მე ვფიქრობდი, თუ მალავს სიმართლეს?“
   - ამოიცნობს მთავარ თემას/საკითხებს;
   - ამოიცნობს ტექსტის ზედაპირზე (ექსპლიციტურად) მოცემულ ფაქტობრივ ინფორმაციას;
   - ტექსტს ყოფს შინაარსობრივ ნაწილებად;
   - განარჩევს ფაქტს ვარაუდისაგან;
   - აჯგუფებს ინფორმაციას სხვადასხვა ნიშნით;
   - ამოიცნობს ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთში მოცემულ ფაქტებსა და მოვლენებს შორის არსებულ კავშირს და გამოაქვს სათანადო დასკვნა.

III – დასასრულ, მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ მიღებულ შედეგებს.

IV – რეფლექსია / მოსწავლეთა თვითშეფასება

გამოყენებული ლიტერატურა

1. Media Literacy: Potter, W. James (2001) https://archive.org/details/medialiteracy0000pott_t0v8/page/n7/mode/2up
2. ნატალია ინგოროყვა, „მედიაწიგნიერების გაკვეთილები“. სახელმძღვანელო მომზადდა „მედიაწიგნიერების ფორმალურ განათლებაში ინტეგრირების“ პროექტის ფარგლებში, კომუნიკაციების კომისიის, გაეროს ბავშვთა ფონდისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით.
3. მასწავლებლის წიგნი – „გამჭოლი კომპეტენციები“, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2015

მარიამ გოდუაძე

ფენომენზე დაფუძნებული სწავლების თეორიული ასპექტები

ფენომენზე დაფუძნებული სწავლება არის მოსწავლეზე ორიენტირებული, მულტიდისციპლინური სასწავლო მიდგომა, რომელიც ემყარება კვლევა-ძიებისა და პრობლემების გადაჭრის უნარებს. აღნიშნული მიდგომით, არცერთი საგანი არ ისწავლება და არც სწავლებას აქვს წინასწარ განსაზღვრული მიზანი.

ფენომენზე დაფუძნებული სწავლება[1] არის მოსწავლეზე ორიენტირებული, მულტიდისციპლინური სასწავლო მიდგომა, რომელიც ემყარება კვლევა-ძიებისა და პრობლემების გადაჭრის უნარებს. აღნიშნული მიდგომით, არცერთი საგანი არ ისწავლება და არც სწავლებას აქვს წინასწარ განსაზღვრული მიზანი. ნაცვლად ამისა, მოსწავლეები იკვლევენ საკუთარ კითხვებს პრობლემასთან დაკავშირებული საგნებისა თუ ასპექტების დახმარებით. მაგალითად, კლიმატის ცვლილების საკითხის გაგება და მასთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრა მოითხოვს იმგვარი საგნების ცოდნას, როგორიცაა ბუნებისმეტყველება, გეოგრაფია, ზოგჯერ – მათემატიკა და ისტორიაც. მიიჩნევენ, რომ ამ ტიპის სწავლებას ბევრი საერთო **აქვს პროექტზე დაფუძნებულ სწავლებასთან, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებასა** და **კვლევებზე დაფუძნებულ სწავლებასთან.**

მთავარი განსხვავება ის არის, რომ ფენომენზე დაფუძნებულ სწავლებას უნდა ჰქონდეს გლობალური კონტექსტი და ინტერდისციპლინური მიდგომა. ეს ნიშნავს, რომ თემა უნდა იყოს რეალურ სამყაროსთან დაკავშირებული ან ე.წ. „ფენომენები"/ მოვლენები და მოსწავლეებმა სხვადასხვა პერსპექტივა უნდა გამოიყენონ თემის შესასწავლად.

ფენომენზე დაფუძნებული სწავლების მიზანი და სარგებელი

ფენომენზე დაფუძნებული სწავლების **მიზანია** მოსწავლეების მომზადება იმ პრობლემების გადასაჭრელად, რომლებსაც რეალურ ცხოვრებაში ვეჯახებით. ნაცვლად აბსტრაქტული ან ურთიერთდაუკავშირებელი კონცეფციების სწავლებისა, ფენომენზე დაფუძნებული სწავლება წარმოაჩენს რეალურ ცხოვრებისეულ პრობლემებს და მოსწავლეებისგან ითხოვს, აქტიურად აღმოაჩინონ ცოდნა და უნარები, რომლებიც ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად არის საჭირო.

სამუშაო ადგილზე ეს შეიძლება გულისხმობდეს გამოწვევებს, რომელთა დაძლევაც სურს დასაქმებულს ან დამსაქმებელს და აუცილებელი ხდება იმ ცოდნისა და უნარების წარმოჩენა, რომლებიც საჭიროა ამ სამუშაოსთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად.

ტრადიციულ სწავლებას აკრიტიკებენ იმის გამო, რომ სწავლა პასიურია – ინსტრუქტორები ცოდნას კარნახობენ მოსწავლეებს. შედეგად მოსწავლეები უფრო მეტად ფაქტების დამახსოვრებაზე არიან ორიენტირებული და არა იმაზე, როგორ გამოიყენონ ცოდნა ახალ პრობლემებზე ან იდეებზე სამუშაოდ. არ არსებობს აქტიური ჩართულობა მოსწავლის მხრიდან. ტრადიციული ინსტრუქცია ასევე ორიენტირებულია იზოლირებულ საგნებზე.

ხშირად მოსწავლეებს ასწავლიან სხვადასხვა საგნის თეორიებსა და კონცეფციებს, შემდეგ კი ისინი ვერ ახერხებენ მათ შორის კავშირების დამყარებას, ასევე ვერ აკავშირებენ მათ რეალურ ცხოვრებასთან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სწავლას არ აქვს მნიშვნელობა და კონტექსტი.

მეორე მხრივ, პირების ჩართვა სამუშაო ადგილზე რეალური პრობლემების გადაჭრაში ხელს უწყობს დაკავშირებულ სწავლებას. თანამშრომელს შეუძლია აღმოაჩინოს, როგორ უკავშირდება ერთმანეთს სხვადასხვა სფეროს ცოდნა და როგორ ვრცელდება იგი რეალურ ცხოვრებაზე.

1 წერილში წარმოდგენილი მასალა ეყრდნობა წყაროს: What is Phenomenon-based Learning? Its Benefits & Examples (valamis.com)

ფენომენზე დაფუძნებული სწავლებით მოსწავლეებიც აქტიურად არიან ჩართული და იღებენ მეტ გამოცდილებას რეალური პრობლემების გადაჭრაში. ეს მიდგომა ეხმარება მათ დისციპლინათაშორისი კავშირების დამყარებასა თუ მსგავსი კავშირების ამოცნობაში.

კვლევის შედეგების გაუმჯობესება ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში

ფენომენზე დაფუძნებული სწავლების ეფექტიანობა დასტურდება სხვადასხვა კვლევის შედეგებით. ერთ-ერთი კვლევის თანახმად, 2014 წლის შემოდგომიდან 2015 წლის შემოდგომამდე ფენომენზე დაფუძნებული სასწავლო პედაგოგიკით მიღწეულია ორი ყველაზე მნიშვნელოვანი გაუმჯობესება კვლევის შედეგებში. 2014 წლის შემოდგომაზე სტუდენტების 49%-მა წარმატებით გაიარა ონლაინკვლევები. 2015 წლის შემოდგომაზე ეს მაჩვენებელი 59% იყო, 2016 წლის იანვარში კი უკვე 70%-ს ასცდა. იმავდროულად, 2015 წლის შემოდგომაზე, 2014 წლის შემოდგომასთან შედარებით, მოსწავლეთა დაახლოებით 70%-მა მოიპოვა უკეთესი შეფასება, 2014 წლის შემოდგომაზე – 81%-მა. ვინც გაიარა კურსები, მიაღწია T1 (დამაკმაყოფილებელ) დონეს. 2015 წლის შემოდგომაზე კლასების ზრდა შეინიშნებოდა, რადგან მოსწავლეთა 78%-მა მიიღო შეფასება, რომელიც შეესაბამება H2 (კარგ) ან K3 (შესანიშნავ) დონეს.

ფენომენზე დაფუძნებული სწავლების წარმოშობა

ფენომენზე დაფუძნებული სწავლება სათავეს იღებს 2016 წელს ფინეთის საგანმანათლებლო სისტემაში დაწყებული მოძრაობიდან.

გაუმჯობესებული განათლების სისტემა ითხოვს, რომ მოსწავლეებმა ყოველწლიურად გაიარონ ერთი მოდული ფენომენზე დაფუძნებული სასწავლო მიდგომით. მიზანია მათი უკეთ მომზადება რეალური ცხოვრებისთვის. ამ სასწავლო მიდგომით, მოსწავლე მონაწილეობს რეალურ ცხოვრებასთან მეტად დაკავშირებულ სასწავლო პროცესში, იყენებს ცოდნასა და უნარებს სხვადასხვა საგნიდან, უვითარდება კომუნიკაციის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და გუნდური მუშაობის უნარები.

ეს უნარები მეტად მისაღებია დამსაქმებლებისა და კორპორაციული სასწავლო პროგრამების ლიდერებისთვისაც, რაც ფენომენზე დაფუძნებულ სწავლებას მიმზიდველობას უნარჩუნებს ფინეთის განათლების სისტემის საზღვრებს მიღმაც.

ფენომენზე დაფუძნებული სწავლება არ არის სრულიად ახალი იდეა. მას ფესვები უდგას კონსტრუქტივისტული სწავლების თეორიასა და სოციალურ-კონსტრუქტივისტული სწავლების თეორიაში, ასევე – სოციოკულტურული სწავლების თეორიაში.
ამ თეორიების თანახმად, მოსწავლე საუკეთესოდ სწავლობს მაშინ, როცა პასიური სწავლის ნაცვლად აქტიურად აშენებს საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას.

როგორ უკავშირდება ფენომენზე დაფუძნებული სწავლება სწავლის თეორიას?

ფენომენზე დაფუძნებული სწავლება არ არის სრულიად ახალი იდეა. მას ფესვები უდგას კონსტრუქტივისტული სწავლების თეორიასა და სოციალურ-კონსტრუქტივისტული სწავლების თეორიაში, ასევე – სოციოკულტურული სწავლების თეორიაში. ამ თეორიების თანახმად, მოსწავლე საუკეთესოდ სწავლობს მაშინ, როცა პასიური სწავლის ნაცვლად აქტიურად აშენებს საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას.

როგორ მუშაობს ფენომენზე დაფუძნებული სწავლება?

ფენომენზე დაფუძნებული სწავლების მოდელი ეფუძნება შემდეგს:

1. მოსწავლეები სვამენ კითხვას, რომელიც ეხება რეალურ ცხოვრებას, რაც პირად ინტერესს წარმოადგენს.
2. მოსწავლეები მონაწილეობენ კვლევაში, რათა იპოვონ გამოსავალი თემის სხვადასხვა კუთხით და პერსპექტივიდან შესწავლით.
3. ინსტრუქტორები ხელს უწყობენ პროცესს, რომელსაც თავად სტუდენტები ხელმძღვანელობენ და რომლის დროსაც პრობლემის გადასაჭრელად საჭირო ცნებებს ეცნობიან და უნარებს ივითარებენ.
4. მოსწავლეები წარადგენენ თავიანთ გადაწყვეტას არჩეული ფორმატით.

როგორ შეიძლება ორგანიზაციაში ფენომენზე დაფუძნებული სწავლების გამოყენება?

სთხოვეთ თანამშრომლებს პრობლემის მოგვარება.

ფენომენზე დაფუძნებული სწავლება სცილდება ტრადიციულ საკლასო ოთახს ან ციფრულ სასწავლო მოდულს, არ აქვს სწავლის მიზნების ან თემების კონკრეტული ნაკრები.

მაშ, როგორ შეიძლება, ის შეესაბამებოდეს ორგანიზაციული სწავლის საჭიროებებს? პასუხი მიდგომით განისაზღვრება. ნაცვლად იმისა, რომ თანამშრომლებს მიუთითონ, რა ისწავლონ, ისინი გამოავლენენ ამა თუ იმ პრობლემას ან საკითხს, რომლის მოგვარება ან გამოკვლევაც სურთ. შემდეგ მათ უნდა მიიღონ დრო და რესურსები, რათა შეიძინონ უნარები და ცოდნა, რომლებიც საჭიროა პრობლემის გადასაჭრელად. ეს შეიძლება მოიცავდეს ინტერნეტკვლევას, შიდა კვლევას, ონლაინ სასწავლო რესურსებს ან ინტერვიუებს. განსაზღვრულ პროფესიებში მიდგომა უკვე გამოიყენება. ფენომენზე დაფუძნებულ სწავლებას შეუძლია, გამოავლინოს ამა თუ იმ პირის გამჭრიახობა და ახალი პასუხი გასცეს ძველ პრობლემებს.

თანამშრომლებს, რომლებიც მონაწილეობენ ფენომენზე დაფუძნებულ სასწავლო პროექტში, შეუძლიათ გამოიყენონ ახალი უნარები და ცოდნა პრობლემის გადასაჭრელად ან კითხვის ნიშნებით წარმოადგინონ თავიანთი დასკვნები ურთიერთშეთანხმებულ ფორმატში.

ფენომენზე დაფუძნებული სწავლება კორპორაციულ სწავლებაში

როგორც ჩანს, ფენომენზე დაფუძნებული სწავლება პასუხია 21-ე საუკუნის საჭიროებებზე. ჩვენ ახლა უფრო მეტად გვჭირდება პრობლემების უკეთესად გადაჭრის უნარის მქონე, კრიტიკულად მოაზროვნე, გუნდურ თამაშს მიჩვეული ადამიანები, ვიდრე ოდესმე. ისინი, ვისაც შეუძლიათ, იფიქრონ მრავალმხრივად და აქვთ ფართო თვალსაწიერი.

ესადაგება თუ არა ფენომენზე დაფუძნებული სწავლება ჩვენი ბავშვების საჭიროებებს?

მოდი, გავეცნოთ ამ სასწავლო მიდგომის ძლიერ მხარეებსა და გამოწვევებს, რაც დაგეხმარებათ იმის გადაწყვეტაში, შეესატყვისება თუ არა ეს მიდგომა თქვენს საჭიროებებს.

ფენომენზე დაფუძნებული სწავლების ძლიერი მხარეები:

- ხელს უწყობს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენას და სასწავლო პროცესში უფრო მეტ ჩართულობას, რადგან მოსწავლეები მუშაობენ იმაზე, რაც თავად აინტერესებთ.
- იძლევა უფრო ღრმად შესწავლის საშუალებას, რადგან მოსწავლეები ამყარებენ კავშირებს საგნებს შორის და ხედავენ პრაქტიკულ შესაბამისობას რეალურ ცხოვრებაში.
- მოსწავლეებს უკეთესად უვითარდებათ კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის, კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემების გადაჭრის უნარები.

- მოსწავლეები უფრო დამოუკიდებლები ხდებიან, რადგან პასუხისმგებელნი არიან სწავლაზე. ეს ხელს უწყობს უფრო დამოუკიდებელი, თვითკმარი სამუშაო ძალის შექმნას.

ფენომენზე დაფუძნებული სწავლების სუსტი მხარეები:

- თუ არსებობს კონკრეტული სასწავლო მიზანი, რომლის მიღწევაც გსურთ მოსწავლეებთან, ფენომენზე დაფუძნებული სწავლება შესაძლოა არ გამოგადგეთ. ფენომენზე დაფუძნებულ სწავლებაში განსაზღვრული სასწავლო მიზნები არ არსებობს, რადგან ისინი წარმოიშობა სასწავლო პროცესის დროს.
- რესურსები და მხარდაჭერა ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოსწავლეებისთვის, რათა თვითმართულ პროექტებს ფასილიტატორის გარეშე გაართვან თავი. მოსწავლეებს შესაძლოა გარკვეული ძალისხმევის გაღებაც მოუხდეთ პროექტის დასასრულებლად საჭირო უნარებისა თუ ცოდნის იდენტიფიცირებისა და სწავლისთვის.
- ფენომენზე დაფუძნებული სწავლებისთვის დამახასიათებელია ფორმალური სტრუქტურის ნაკლებობა. თუ თქვენს ორგანიზაციას მოეთხოვება, ჰქონდეს ოფიციალური სტრუქტურა, სადაც მოსწავლეებმა უნდა აჩვენონ, რომ საჭირო უნარ-ჩვევების ან ცოდნის დაუფლება დასრულებულია, სწავლის ეს ფორმა შესაძლოა არ იყოს იდეალური.
- თუ თქვენი ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანია უკუკავშირი და შეფასება, ის შესაძლოა უფრო რთული აღმოჩნდეს ფენომენზე დაფუძნებული სწავლების დროს, სადაც შეფასება უმთავრესად მოსწავლეთა პროგრესს ეფუძნება.

როგორ მივუსადაგოთ ფენომენზე დაფუძნებული სწავლება ჩვენს მოსწავლეებს?

თუ გსურთ საკუთარ გუნდში ფენომენზე დაფუძნებული სწავლების იდეების შეტანა, დასაწყისისთვის მიჰყევით ამ სქემას:

1. მოსწავლეებმა აირჩიონ მოვლენები/„ფენომენები" რეალური სამყაროდან. თემას უნდა ჰქონდეს გლობალური კონტექსტი და დაკავშირებული იყოს რეალურ ცხოვრებისეულ საკითხებთან ან მოვლენებთან.
2. მოიფიქრეთ კითხვა თემის გარშემო. დაიწყეთ ღია კითხვებით: „როგორ?", „რატომ?", „რა მოხდება?"

3. დაადგინეთ და ასწავლეთ ძირითადი ცნებები, რომლებიც ეხება მოსწავლეების მიერ არჩეულ კითხვას. რა უნარები ან ცოდნა დასჭირდებათ მათ პრობლემის გადასაჭრელად?
4. დარწმუნდით, რომ არსებობს დროის ღია სტრუქტურა, რათა მოსწავლეები საჭირო კვლევასა და პრობლემის გადაჭრაში ჩაერთონ.
5. ხელი შეუწყვეთ პროცესს ჩარჩოს შექმნით, რომელიც მოსწავლეებს პროცესის წარმართვასა და პრობლემის გადაჭრის გზის პოვნაში დაეხმარება.

ფენომენზე დაფუძნებული სწავლების მომავალი

პრობლემის გადაჭრა, გუნდური მუშაობა და კრიტიკული აზროვნება არის უნარები, რომელთა შემუშავება შეუძლებელია საკლასო ოთახში ინსტრუქტორის მოსმენით ან ელექტრონული სწავლების შესახებ ვიდეოების ყურებით.

ეს უნარები გამომუშავდება აქტიური ჩართულობითა და მოქმედებით, რაც ფენომენზე დაფუძნებული სწავლების ძირითადი მოთხოვნაა.

ფენომენზე დაფუძნებული სწავლება შეიძლება უფრო ფართოდ გავრცელდეს, რადგან 21-ე საუკუნეში გრძელდება მოთხოვნა ისეთ ადამიანებზე, რომლებსაც შეუძლიათ აღმოაჩინონ საკუთარი თავი და გადაჭრან ცხოვრებისეული პრობლემები თუ სირთულეები.

თინათინ ზარდიაშვილი

ტრანსპორტი მცენარეებში – ფიზიკისა და ბიოლოგიის ინტეგრირების მაგალითი

ადამიანი სხვადასხვა კუთხით შეიმეცნებს სამყაროს, რომელიც ერთიანია, მთლიანია, საგნებად და სფეროებად არ არის დანაწევრებული, მაშინ როდესაც ცალკეულ მოვლენასა თუ პროცესს სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინა დამოუკიდებლად შეისწავლის.

ადამიანი სხვადასხვა კუთხით შეიმეცნებს სამყაროს, რომელიც ერთიანია, მთლიანია, საგნებად და სფეროებად არ არის დანაწევრებული, მაშინ როდესაც ცალკეულ მოვლენასა თუ პროცესს სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინა დამოუკიდებლად შეისწავლის. მეცნიერებათა სფეროების ერთმანეთთან დაკავშირება-ინტეგრირება ხელს უწყობს სამყაროს შესახებ ერთიანი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. სკოლაში მიღებული ცოდნა, გამოცდილება და უნარ-ჩვევებიც მოსწავლეს სამყაროს მთლიანობაში აღქმის შესაძლებლობას უნდა აძლევდეს.

ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვა და ჩატარება ჩემთვის დიდი სიამოვნება, გამოწვევა და პასუხისმგებლობაა. ჩემი სპეციალიზაციიდან გამომდინარე, „არაინტეგრირებული“ გაკვეთილების ჩატარება ძალიან მიჭირს კი არა, საერთოდ არ გამომდის. ერთ-ერთი მაგალითი მცენარეებში ნივთიერებების ტრანსპორტია. ქვემოთ მისი ფრაგმენტებია წარმოდგენილი.

ტრანსპირაცია აირთა უწყვეტი ცვლაა ფოთლების მონაწილეობით. ფოთლებშივე მიმდინარეობს უმნიშვნელოვანესი პროცესი – ფოტოსინთეზი. მცენარისთვის ძალიან დიდი პრობლემაა, აწარმოოს აირთა ცვლა წყლის დანაკარგის გარეშე. ყველა მცენარეს აქვს **ბაგეები**, რომლებითაც ხდება წყლის აორთქლება,

ტრანსპირაციის სიჩქარის გაზომვისთვის გამოიყენება ე.წ. პოტომეტრი. **სიმულაციაში** წარმოდგენილია ხელსაწყოს მუშაობის სქემა და მოსწავლეს შეუძლია მონაცემების შეგროვება.

1. როგორ დაადგენ ტრანსპირაციის სიჩქარეს?
2. რომელი ბიოტური თუ აბიოტური ფაქტორი უნდა გამოიკვლიო?
3. როგორ შეამოწმებ ამ ფაქტორის დონეს?
4. რამდენი პასუხი გჭირდება მონაცემების სანდოობისთვის?
5. როგორ შეინარჩუნებ უცვლელად სხვა ფაქტორებს, რომ გავლენა არ მოახდინონ ტრანსპირაციის სიჩქარეზე?

სიმულაციაში მოსწავლე შეისწავლის, რომ მცენარეს ბაგეები შეიძლება ჰქონდეს ფოთლის ცალ ან ორივე მხარეს.

ქსილემის სტრუქტურა ხელს უწყობს წნევის მუდმივად დაბალ დონეზე შენარჩუნებას.

სურათის მიხედვით უპასუხე შეკითხვებს:



ჰაერის ბუშტები მოძრაობენ მილის გასწვრივ, როცა წყალი შეიწოვება ყლორტის მიერ

წყლის კოჰეზიური თვისებები და ქსილემის სტრუქტურა უზრუნველყოფს ტრანსპორტის უწყვეტობას. ქსილემის მილები ლიგნინით არის ამოფენილი, რაც ზრდის კედლის მდგრადობას – მათ ხომ წნევის გარკვეულ მნიშვნელობას უნდა გაუძლონ. ქსილემა ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი მკვდარი უჯრედების გრძელი მილებია, წყალი მათში მხოლოდ ერთი მიმართულებით მოძრაობს - ფესვებიდან ფოთლებისკენ.

ქსილემაში წნევა ატმოსფერულზე დაბალია. ხისტი სტრუქტურა ხელს უშლის ქსილემის დაშლას. წყლის მოლეკულა პოლარულია, ამიტომ დიპოლის ერთი ბოლო იზიდავს წყლის მეორე მოლეკულის დიპოლის საპირისპირო ნიშნით დამუხტულ ბოლოს. ეს ურთიერთქმედება წყლის კოჰეზიურობას უზრუნველყოფს. წყალი ასევე მიიზიდება უჯრედის კედლის ჰიდროფილური ნაწილისკენ, ის მიდრეკილია ადჰეზიურობისკენ. მოლეკულების ურთიერთქმედების შედეგად ქსილემაში წყალი უწყვეტ ნაკადად მიედინება.

სურათზე გამოსახულია გერმანელი მცენარეთა ფიზიოლოგის ოტო რენერის მიერ 1912 წელს ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები. ღეროს გააცალეს კანი და ფოთლებიანად მოათავსეს პოტომეტრში. გაზომეს აორთქლებული წყლის რაოდენობა. ღეროზე იყო მომჭერი, რომელიც წყლის ფოთლებში გადასვლას ზღუდავდა. მოგვიანებით ღეროს წვერზე ყველა ფოთოლი მოაცალეს, დაამაგრეს ვაკუუმტუმბო და ხელახლა გაზომეს წყლის აორთქლების მაჩვენებელი.

ა. აღწერე ჩამკეტის გავლენა წყლის შეწოვის სიჩქარეზე.
ბ. ახსენი, რა გავლენა მოახდინა ზედა ნაწილის მოჭრამ წყლის შთანთქმის სიჩქარეზე.
გ. გამოთვალე სხვაობა, ერთი მხრივ, ტუმბოს გამოყენების, მეორე მხრივ კი ფოთლების არსებობის დროს აორთქლების სიჩქარეებს შორის.
დ. წყლის წნევა პოტომეტრში ატმოსფერული წნევის ტოლია, ვაკუუმტუმბო გენერირებს 0 ატმ წნევას.

ოტო რენერის ექსპერიმენტი



განიხილე, რა წნევა წარმოიქმნება ქსილემაში.

როცა ფოთლის უჯრედის კედლის ზედაპირიდან წყალი ორთქლდება, მის ადგილს ადჰეზიურობის გამო მეორე მოლეკულა იკავებს. უახლოესი ხელმისაწვდომი მოლეკულების მარაგი ქსილემაშია. მაშინაც კი, როცა ქსილემაში წნევა უკვე დაბალია, წყალსა და უჯრედის კედლებს შორის ურთიერთქმედება საკმაოდ ძლიერია, რაც განაპირობებს წყლის დამატებითი ულუფის შთანთქმას და წნევა კიდევ უფრო დაბლა იწევს. დაბალი წნევა აღძრავს წევის ძალას, რომელიც ქსილემით ფესვებამდე აღწევს. ამ წნევას ტურგორი ეწოდება. ტურგორი უზრუნველყოფს წყლის მოძრაობას სიმძიმის ძალის წინააღმდეგ. ყველაზე მაღალ მცენარეშიც კი ეს პროცესი პასიურია. წყლის ზემოთ მოძრაობა დამოკიდებულია წყლის მოლეკულებს შორის კოჰეზიაზე. ბევრი სითხე ვერ გაუძლებდა დაბალ წნევას და ქსილემაში სვეტი „გატყდებოდა“. წყლის კიდევ ერთი ანომალია ის არის, რომ, მისი თხევადობის მიუხედავად, წნევის ძალა მასში ისევე გადაეცემა ერთი წერტილიდან მეორეს, როგორც მყარ სხეულში.

მინერალების აქტიური ტრანსპორტი ფესვებში

წყლის ტრანსპორტი ოსმოსის გზით მიმდინარეობს, მინერალების კონცენტრაცია ფესვის უჯრედებში უფრო მაღალია, ვიდრე ნიადაგში, ამიტომ წყალი ცდილობს, შეამციროს გახსნილი ნივთიერების კონცენტრაცია და მათკენ მიემართება.

მეცნიერებათა სფეროების ერთმანეთთან დაკავშირება-ინტეგრირება ხელს უწყობს სამყაროს შესახებ ერთიანი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. სკოლაში მიღებული ცოდნა, გამოცდილება და უნარ-ჩვევებიც მოსწავლეს სამყაროს მთლიანობაში აღქმის შესაძლებლობას უნდა აძლევდეს.

ზოგჯერ იონების კონცენტრაცია უჯრედსა და ნიადაგში 100-ჯერ განსხვავდება ერთმანეთისგან. იონების ტრანსპორტი ტუმბოებით ხდება. ვინაიდან იონების მოძრაობა ნელი პროცესია, რადგან ისინი ქიმიურად „დაბმული“ არიან ნიადაგის ნაწილაკების ზედაპირებზე, მცენარეებმა სოკოებთან თანაცხოვრება დაიწყეს. სოკოები მცენარის ფესვებზე ან ფესვის უჯრედებში ცხოვრობენ. მათ შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობა მუტუალიზმის მაგალითია.



სურათზე გამოსახულია წყლის მოძრაობა ფესვებიდან ფოთლებისკენ.



წყლის დამარაგებასთან შეგუებულობა, უდაბნოსა და მარილიან ნიადაგში ცხოვრებასთან ადაპტაცია

ქსეროფიტებში აჩქარებულია წყლის შეწოვა და შენელებულია აორთქლება. ეფემერების სასიცოცხლო ციკლი დამოკლებულია, მომდევნო წვიმამდე ისინი ძილის მსგავს მდგომარეობაში გადადიან.

დიაგრამაზე გამოსახულია ერთ-ერთი ექსპერიმენტის შედეგები. ნაძვის ნერგები ექვსი თვის განმავლობაში ზარდეს სტერილურ ნიადაგში – მხოლოდ სოკოებთან თანაცხოვრება შეეძლოთ. პირველი სვეტი საკონტროლოა, სოკოების გარეშე, დანარჩენი ხუთი კი სხვადასხვა სახეობის სოკოსთან მუტუალიზმის შედეგს ასახავს.

ა. ახსენი სოკოების გავლენა ყლორტისა და ფესვის ზრდაზე.

ბ. რა მნიშვნელობა აქვს ნაძვის ფესვებზე სოკოების არსებობას?

მცენარის ფლოემაში ნივთიერებების ტრანსპორტი



სურათზე გამოსახულია მცენარის ღეროს ელექტრონული მიკროსკოპით გადაღებული მასალა

ორგანული ნივთიერებების მოძრაობას ტრანსლოკაციას უწოდებენ. ფლოემას არ აქვს ტუმბო და სარქვლები, ცხოველების სისხლის მიმოქცევის სისტემისგან განსხვავებით. მათ შორის მსგავსება ის არის, რომ ორივე სისტემაში სითხე წნევის გრადიენტის მიმართულებით მოძრაობს. ენერგია წნევის გენერირებისთვის არის საჭირო. შესაბამისად, ორივე პროცესი აქტიურია.

ფლოემაში ნივთიერებების ტრანსპორტში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წნევისა და წყლის პოტენციალთა სხვაობებს. საქაროზა ან გამოიყენება როგორც ენერგიის წყარო, ან გარდაიქმნება სახამებლად, დისგან არის წარმოქმნილი. თანმხლებ უჯრედში უფრო მეტი მიტოქონდრიაა. ორივეს შენარჩუნებული აქვს მეტაბოლიზმის უნარი, გენეტიკური მასალა. მათ შორის არსებული პლაზმოდესმები გაცილებით დიდი დიამეტრისაა, ვიდრე სხვა უჯრედებს შორის.

ბუგრების ორგანიზმში აღმოაჩინეს სპეციალიზებული უჯრედები, ე.წ. ბაქტერიოციტები, რომლებშიც ცხოვრობს ბაქტერია Buchnera და რომლებიც ასინთეზებენ ძირითად ამინმჟავებს ასპარტაინის მჟავასა და საქაროზასგან. ასპარტინის მჟავა არ მიეკუთვნება ძირითადი ამინმჟავების ჯგუფს. ის განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გვხვდება ფლოემაში. როცა ბუგრები მრავლდებიან, შთამომავლები ბაქტერიებით კვებაზე გადადიან.



შესაბამისად, ხსნარის კონცენტრაცია მცირდება, წყალი ქსილემაში გადადის და ტრანსპირაციის პროცესში ერთვება.

საცრისებრი მილები ცოცხალი უნდა იყოს, რადგან საქაროზას ტრანსპორტი აქტიურია და მუდმივად სჭირდება ენერგია. ისინი მჭიდროდ უკავშირდებიან თანმხლებ უჯრედებს. ორივე ერთი საწყისი უჯრედ-

ახსენი, როგორ შეიძლება გამოიყენო ანტიბიოტიკი იმის მტკიცებულების მოსაპოვებლად, რომ ბუგრებისთვის ბაქტერიები ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. BIOLOGY – IB diploma, 2014 edition.
2. https://www.olabs.edu.in/

ინა იმედაშვილი

„სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლება ინკლუზიურ გარემოში“ – მასწავლებლის სამაგიდო წიგნი

„არცერთი ბავშვი განათლების მიღმა“

მოსწავლის ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მას აინტერესებს სათავგადასავლო ტექსტები, არის ძალიან ცნობისმოყვარე. სამუშაოდ სწორედ ასეთ ტექსტს შევთავაზებთ. სუსტი მხარე კი ის არის, რომ არ შეუძლია სწრაფად კითხვა, მარცვლავს სიტყვებს, წინადადების ამოკითხვას დიდხანს ანდომებს.

ყველას გვყოლია ისეთი კლასელი, რომელსაც რაღაც ვერ ჰქონდა რიგზე, ჩვეულებრივად. ისინი არაჩვეულებრივები იყვნენ და მათი არაჩვეულებრიობისა არც კლასელებს გვესმოდა რამე, არც მასწავლებლებს და არც, საზოგადოდ, სისტემას. ისინი ვერ სხდებოდნენ დადგენილ სტანდარტებში, ვერ ერგებოდნენ პროგრამას, ფორიაქობდნენ, ბრაზობდნენ, ხშირად გარბოდნენ კიდეც, მერე, რადგან სხვა გზა და საშუალება არ იყო, უკანვე ბრუნდებოდნენ და ყველაფერი თავიდან იწყებოდა. ამასობაში კი დრო გადიოდა და სკოლასაც ამთავრებდნენ. ოღონდ ვერ გეტყვით, სკოლიდან რა მიჰქონდათ – დამცირება? შიში? სტრესი? ბრაზი? გულდაწყვეტა? როგორ იწყობდნენ ცხოვრებას ან რას გეგმავდნენ, ვერც ამას გეტყვით – ასეთ კლასელებთან არც ისე ახლოს ვიყავი, რადგან ისინი თითქოს არც იყვნენ კლასის ნაწილი.

მასწავლებლები ბრაზობდნენ, როდესაც მათ მერხთან ჯდომა ბეზრდებოდათ, როდესაც უამრავი კითხვა უჩნდებოდათ, როდესაც შუა გაკვეთილიდან წამოხტომა და გარეთ გავარდნა უნდოდათ, როდესაც მოზღვავებულ ენერგიას საგაკვეთილო რუტინაში ვერ ხარჯავდნენ, როდესაც ფეხები თავისით ცეკვავდნენ, ხელები კი იწყებდნენ ფურცლების ჭრას, რვეულებისა თუ წიგნების ყდების გაფორმებას. ისინი არ ემორჩილებოდნენ მასწავლებლის მოთხოვნას, ბუზის გაფრენის ხმა გაგვეგონა, სიჩუმობანა გვეთამაშა, მისი მონოლოგისთვის ყურადღებით მოგვესმინა. არ ემორჩილებოდნენ და იღებდნენ მილიონ საყვედურს, მათ მშობლებს კი სკოლაში იბარებდნენ. ისე კარგად მახსოვს მხრებაჩეჩილები – ვერ გაეგოთ, გამჩენი რატომ არ ასვენებდა მათ შვილებს, რატომ არ ჰგავდნენ სხვებს, რატომ იყვნენ ასეთი ცელქები, ასეთი მოუსვენრები.

გავიდა წლები, სასკოლო საზოგადოებამ აღმოაჩინა, რომ არსებობენ მოსწავლეები, რომლებსაც სპეციალური საჭიროებები აქვთ და რომლებიც განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვენ; რომ განსაკუთრებით ცელქ ბიჭუნას ან გოგონას შესაძლოა ჰიპერაქტიურობის ან ყურადღების დეფიციტის დიაგნოზი ჰქონდეს და ეს ძალიან საყურადღებო მდგომარეობაა, რომლის დროსაც მასწავლებელს უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება. უამრავი სტატია იბეჭდება, ტრენინგებზე უამრავ ინფორმაციას გვიზიარებენ იმის შესახებ, როგორ ვასწავლოთ ბავშვებს, რომლებსაც თავად არ აურჩევიათ საკუთარი მდგომარეობა და სირთულეები, რომლებთან გამკლავებაც უწევთ, შესაძლოა, სულ მარტოებსაც კი. ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემას ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს აღმოსაჩენი, ჯერ კიდევ არ დანერგილა სრულყოფილი მიდგომები სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან სამუშაოდ, მასწავლებლებს ჯერ კიდევ თავად უწევთ ინფორმაციის მოძიება, კითხვა, გარკვევა, ცდებისა და ექსპერიმენტების საშუალებით სწავლა. ვისაც კი ასეთ მოსწავლეებთან გიმუშავიათ, დამეთანხმებით, ძალიან რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. მასწავლებელს ბეწვის ხიდზე უწევს სიარული და, წარმოიდგინეთ, ეს ბეწვის ხიდიც კი სათუოა. ხშირად რისკის პირისპირ ვდგავართ და არ ვიცით, რა შედეგს გამოიღებს ჩვენი ქმედება. ამიტომ ამ საკითხებზე საუბარი, სანდო ლიტერატურა, განსაკუთრებით – ქართულ ენაზე, დიდი შვება და მხარდაჭერაა მასწავლებლისთვის. როდესაც

მშრალი ინფორმაციისა და მითითებების ნაცვლად პროფესიულ ლიტერატურას კითხულობ, სიღრმისეულ ანალიზს ეცნობი, ხვდები, რამდენად მნიშვნელოვანია, ჩვენს მასწავლებლებს ასეთ ლიტერატურაზე ხელი მიუწვდებოდეთ.

ქარჩხაძის გამომცემლობამ ნამდვილი საჩუქარი გაუკეთა მასწავლებლებს და სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებს, მათ ოჯახებს, საზოგადოდ, განათლების სისტემას, როდესაც თარგმნა და გამოსცა უზარმაზარი ნაშრომი „სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეების სწავლება ინკლუზიურ გარემოში“. ნაშრომის ავტორები არიან წამყვანი მეცნიერები და დარგის სპეციალისტები – დაიენ ბრაიანტი, ბრაიან ბრაიანტი და დებორა სმითი. ნაშრომში დეტალურად არის მიმოხილული ყველა ის პრობლემა, რომელიც ინკლუზიური სწავლებისას იჩენს თავს – არა მხოლოდ საკლასო ოთახებში, არამედ სახელმწიფოსა და სისტემის მიმართულებითაც. წიგნი მასწავლებლებსაც დაეხმარება და იმ ადამიანებსაც, რომლებიც განათლების სისტემაში ინკლუზიური განათლების მიმართულებით მუშაობენ.

კრებულში საინტერესოდ არის მიმოხილული, რა წინაპირობები შეიქმნა ამერიკაში, რა სამართლებრივი შემთხვევების გათვალისწინებით მიიღეს განათლების შესახებ მტკიცე კანონები, რათა არცერთი ბავშვი განათლების მიღმა არ დარჩენილიყო. სახელმწიფოს ყველაფერი უნდა გაეკეთებინა იმისთვის, რომ სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებს ხელი არ შეშლოდათ საკუთარი უნარების, ნიჭისა და შესაძლებლობების რეალიზებაში.

„კანონს ყოველი მოსწავლის წარმატების შესახებ“ პრეზიდენტმა ობამამ ხელი 2015 წელს მოაწერა. კანონმა განმეორებით დაამტკიცა ის აქტი, რომელიც 50 წელზე მეტია უზრუნველყოფს განათლების ეროვნული კანონმდებლობის დაცვას და ყოველი მოსწავლისთვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემას. ობამამდე კი ეს აქტი ჯორჯ ბუშ უმცროსმა დაამტკიცა სახელწოდებით: „არცერთი ბავშვი განათლების მიღმა“.

აშშ-ში განათლებასთან დაკავშირებულ კანონებს საინტერესო ისტორია აქვს და, რამაც გამოაცა, მრავალ მათგანს საფუძვლად უდევს ის სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების საჩივრების საფუძველზე იქნა გამოტანილი. სწორედ ასეთ დროს შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო ყველა მოქალაქეს უსმენს და ითვალისწინებს ყოველი მათგანის პრობლემებს, განურჩევლად მათი შესაძლებლობებისა.

წიგნში დაწვრილებით არის განხილული, რას გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობები და სპეციალური მომსახურება, როგორ ურთიერთობენ აშშ-ის სკოლები ბავშვების ოჯახებთან, როგორ გავუგოთ განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეებს, რა გამოწვევების წინაშე დგება მასწავლებელი კულტურულად და ენობრივად განსხვავებული მოსწავლეების სწავლებისას და სხვა აქტუალური და საჭირო საკითხები. წიგნის ღირსებაა ისიც, რომ თითოეული საკითხი მაგალითების, ნამდვილი ამბების მოშველიებით არის განხილული. მოცემულია საინტერესო აქტივობები, შეფასების რუბრიკები, ქცევის მართვასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, გამოსადეგი სტრატეგიები და მეთოდები.

ეს ზღვა მასალა დალაგებულია თავებად, საკითხებად. თითოეულზე მსჯელობას წინ უძღვის კონკრეტული შემთხვევის განხილვა. მე პირადად ძალიან დამეხმარა წიგნში მოცემული შეფასებისა და სწავლების ინსტრუმენტი – ე.წ. ადაპტ-სტრუქტურა, რომელიც გამოიყენება სწავლების ინდივიდუალიზაციისთვის, რათა სწავლის სირთულეების მქონე მოსწავლეები დავაკმაყოფილოთ.

ადაპტ-სტრუქტურა

ა	დ	ა	პ	ტ
აირჩიეთ, რას ითხოვთ მოსწავლისგან.	**დაადგინეთ** დავალების შესრულებისთვის საჭირო წინასწარი უნარები.	**ანალიზი** გაუკეთეთ მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს.	**პრაქტიკაში** გაატარეთ ადაპტაციები შემდეგი კატეგორიებიდან: სასწავლო აქტივობა, სასწავლო შინაარსი, სწავლის მიწოდება, სასწავლო მასალა.	**ტესტირება** ჩაატარეთ იმის თაობაზე, დაეხმარა თუ არა ადაპტაციები მოსწავლეს დავალების შესრულებაში.

ერთი შეხედვით, განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ თუ ჩავუღრმავდებით და მის გამოყენებას ვცდით, მივხვდებით, როგორ დაგვეხმარება ინფორმაციის დალაგებაში, სამომავლო აქტი-

ჩვენთანაც აუცილებლად დადგება ის დრო, როდესაც არცერთი ბავშვი არ დარჩება განათლების მიღმა და ეს ერთეული მასწავლებლების სურვილსა და მონდომებაზე კი არ იქნება დამოკიდებული, არამედ სახელმწიფოსა და მოქნილი განათლების სისტემის მიერ, ბავშვზე ორიენტირებული კანონებით იქნება უზრუნველყოფილი. იქნებ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენს ქვეყანაშიც შეუყვარდეთ ბავშვები ისე, როგორც ამას ჩვენი მომავალი იმსახურებს.

ვობების დაგეგმვასა და შეფასებაში. დავუშვათ, გვჭირდება, მოსწავლემ გამართულად კითხვა შეძლოს. ამისთვის მას უნდა შეეძლოს, საზოგადოდ, კითხვა, სიტყვების ამოკითხვა. მოსწავლის ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მას აინტერესებს სათავგადასავლო ტექსტები, არის ძალიან ცნობისმოყვარე. სამუშაოდ სწორედ ასეთ ტექსტს შევთავაზებთ. სუსტი მხარე კი ის არის, რომ არ შეუძლია სწრაფად კითხვა, მარცვლავს სიტყვებს, წინადადების ამოკითხვას დიდხანს ანდომებს. ეს სირთულე გამოიკვეთა დიაგნოსტიკური ტესტირების შემდეგ, როდესაც მოსწავლის შედეგმა ვერ გადააჭარბა წუთში წასაკითხი სიტყვების ასაკობრივ მინიმუმს. ამ მოცემულობასა და მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს ვარგებთ სასწავლო მასალას, ვგეგმავთ აქტივობებს, ვუსადაგებთ სტრატეგიებს: ტაიმერის ან ქვიშის საათის გამოყენებით აბზაცების ხმამაღლა კითხვას, ჩანაწერების გაკეთებას, როლებში კითხვას და სხვ. მოსწავლესთან სამუშაოდ ვიღებთ განსაზღვრულ დროს, მაგალითად, სამ თვეს, ბოლოს კი ტესტირებას ვუტარებთ და მის შედეგებს მუშაობის დასაწყისში არსებულ მაჩვენებლებს ვადარებთ, ვაანალიზებთ, რამდენად გაამართლა ჩვენმა მუშაობამ და დაგეგმილმა აქტივობებმა, თუ არ გაამართლა, სად იყო პრობლემა და ასე შემდეგ.

მე თუ მკითხავთ, ეს ის წიგნია, რომელიც ყველა სკოლის ბიბლიოთეკაში უნდა იყოს. მასწავლებლებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ამ წიგნთან მუშაობის საშუალებაც და ბედნიერებაც.

დარწმუნებული ვარ, ჩვენთანაც აუცილებლად დადგება ის დრო, როდესაც არცერთი ბავშვი არ დარჩება განათლების მიღმა და ეს ერთეული მასწავლებლების სურვილსა და მონდომებაზე კი არ იქნება დამოკიდებული, არამედ სახელმწიფოსა და მოქნილი განათლების სისტემის მიერ, ბავშვზე ორიენტირებული კანონებით იქნება უზრუნველყოფილი. იქნებ, ბოლოს და ბოლოს, ჩვენს ქვეყანაშიც შეუყვარდეთ ბავშვები ისე, როგორც ამას ჩვენი მომავალი იმსახურებს.

ქეთევან კობალაძე

საუბრები მშობლებსა და მათ შეცდომებზე

მშობლებს სურთ, იცოდნენ ყველაფერი, რაც შვილის ცხოვრებაში ხდება, განსაკუთრებით – სასკოლო ცხოვრებაში, მოზარდები კი ვერ ხვდებიან უფროსების ინტერესის მიზეზს, ამიტომ ჰგონიათ, რომ მშობლები კონტროლზე არიან ორიენტირებული. ისინი ოცნებობენ, მშობლებმა თავი დაანებონ და მშვიდად ცხოვრების ნება მისცენ.

მოდი, ვისაუბროთ ერთ-ერთ გავრცელებულ შეცდომაზე, რომელსაც მშობლები შვილებთან ურთიერთობისას უშვებენ. ისინი გამუდმებით ინტერესდებიან შვილების სასკოლო ცხოვრებით, რაც მოზარდებს ხშირად აღიზიანებთ.

დინ ბარნეტის წიგნს ასეთი სათაური აქვს: „რატომ არ ესმით მშობლებს შვილების და რა მოვუხერხოთ ამ პრობლემას“. ბარნეტი – ნეირობიოლოგი, კარდიფის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიური სკოლის ლექტორი, ბლოგერი, ექსპერტი, ბესტსელერების ავტორი – გვთავაზობს, წარმოვიდგინოთ ასეთი სიტუაცია: „მოზარდი სკოლიდან შინ დაბრუნდა. მან მოახერხა და გადააგორა კიდევ ერთი სასკოლო დღე თავისი სტრესით, დაძაბულობითა და შფოთვით. შინ დაბრუნებულ მოსწავლეს კი მშობლები ნამდვილ თავდასხმას უწყობენ, უამრავ კითხვას აყრიან: „როგორ მიდის საქმე სკოლაში?“, „როგორ დაწერე საკონტროლო?“, „კლასელებთან უთანხმოება ხომ არ მოგივიდა?“, „ხვალისთვის ბევრი დავალება გაქვს მოსამზადებელი?“ მოზარდს კი ამ დროს ყველაზე ნაკლებად განვლილი დღის გახსენება უნდა, ამიტომ ან თავიდან იშორებს მშობლებს და ეუბნება: „ყველაფერმა კარგად ჩაიარა“, – ან გულწრფელად აღიარებს, რომ ამ თემაზე საუბარი არ სურს. მშობლები კიდევ უფრო მეტ კითხვას აყრიან შვილს, რადგან ჰგონიათ, რომ მას სკოლაში უსიამოვნება შეემთხვა. მოკლედ, ოჯახის წევრებს შორის მორიგი ჩხუბი და გაუგებრობაა მოსალოდნელი.

მაინც რატომ იქცევა მშობლებსა და შვილებს შორის კონფლიქტის საბაბად ისეთი უწყინარი თემა, როგორიც სკოლაა?

უფროსებისთვის შვილების სასკოლო მიღწევებს დიდი მნიშვნელობა აქვს, მოზარდებისთვის კი სკოლა წყაროა სტრესისა და შფოთვისა, რომელიც წლების განმავლობაში უფრო და უფრო ძლიერდება, რადგან საგნებისა და გაკვეთილების რაოდენობა იზრდება, საშინაო დავალებები რთულდება და სხვა სერიოზული დატვირთვაც ჩნდება“.

მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ სტრესი დაძაბულობაა, რომელიც გვეუფლება მაშინ, როდესაც რაღაც ცუდი გვემართება. წიგნის ავტორს ასეთი მაგალითები მოჰყავს: „შესაძლოა, აღმოჩნდე ბულინგის ობიექტი, ავად გახდე, სპორტული ან საყოფაცხოვრებო ტრავმა მიიღო ან სულაც სკოლაში ისეთ გაკვეთილებზე მოგიწიოს ჯდომა, რომლებიც საერთოდ არ გაინტერესებს და იქნებ სულაც გეჯავრება. სტრესული სიტუაცია შესაძლოა შინაც მრავლად გქონდეს. სტრესის გავლენით თავის ტვინი გამოიმუშავებს ბიოქიმიურ ნაერთებს, რომლებიც კუნთოვან დაძაბულობას, წნევის აწევას, გულისა და სუნთქვის რიტმის არევას და სხვა მსგავს პრობლემებს იწვევს. თავის ტვინი მთლიანად კონცენტრირდება პრობლემაზე, რომელიც ამ უსიამოვნო შეგრძნებების მიზეზია. მდგომარეობა, რომელსაც სტრესს ვუწოდებთ, ორგანიზმის ინსტინქტური რეაქციაა საფრთხეზე. ანუ თავის ტვინი „დარწმუნებულია“, რომ რაღაც ცუდი გემუქრება. შედეგად შეგრძნებები გიმძაფრდება, რაც

უფროსებისთვის შვილების სასკოლო მიღწევებს დიდი მნიშვნელობა აქვს, მოზარდებისთვის კი სკოლა წყაროა სტრესისა და შფოთვისა, რომელიც წლების განმავლობაში უფრო და უფრო ძლიერდება, რადგან საგნებისა და გაკვეთილების რაოდენობა იზრდება, საშინაო დავალებები რთულდება და სხვა სერიოზული დატვირთვაც ჩნდება.

სირთულეებთან გამკლავებაში გეხმარება“.

ბრიტანელ მეცნიერს მიაჩნია, რომ მშობლები დიდ შეცდომას უშვებენ, როდესაც შვილების სტრესულ მდგომარეობას არ აღიარებენ. „რატომ უჭირთ უფროსებს იმ ფაქტის მიღება, რომ მათი შვილები სტრესს განიცდიან? – კითხულობს ის, – განსაკუთრებული მიუღებლობა კი სკოლაში განცდილ სტრესს ეხება, რადგან უფროსების უმრავლესობას მიაჩნია, რომ სკოლის წლები ადამიანის ცხოვრების საუკეთესო პერიოდია. ჰოდა, რა გამოდის? უბრალოდ, უნდა დატკბეთ ამ წლებით, რადგან მომავალი უარესს გიმზადებთ. ამავე დროს, უფროსები ხშირად ჰყვებიან ისტორიებს იმის შესახებ, რა აუტანელი იყო სკოლაში სწავლა მათი მოწაფეობის დროს. მოკლედ, სრული გაუგებრობაა. ამიტომ შეიძლება დავასკვნათ: სკოლის წლები არც ერთმნიშვნელოვნად საუკეთესოა და არც საშინელი.

უფროსებს ჰგონიათ, რომ სკოლაში გაცილებით ნაკლები სტრესის გადატანა უწევდათ, ვიდრე ზრდასრულ ასაკში უწევთ. ეს იმიტომ, რომ ადამიანების თავის ტვინი მუდმივი ღირებულებებით არ ოპერირებს. ჩვენ ვიზრდებით, ვვითარდებით და მრავალ ახალ რამეს ვსწავლობთ. ჩვენი აზროვნება, აღქმები, შეგრძნებები და სამყაროსადმი დამოკიდებულება იცვლება. მაგალითად, მცირე ასაკში ბავშვებისთვის მშობლები უდავო ავტორიტეტები არიან, წლების მატებასთან ერთად კი უფროსები მოზარდებს უფრო და უფრო მეტად აღიზიანებენ. ისინი უფრო და უფრო მეტად ცდილობენ, აკონტროლონ შვილების ცხოვრება“.

მოზარდების თავის ტვინი სწრაფად იცვლება, მათ დამოუკიდებლობა და ახალ-ახალი გამოცდილება სურთ. ისინი არ ცნობენ ავტორიტეტებს და ყველაფერზე ემოციურად რეაგირებენ. მშობლებს სურთ, იცოდნენ ყველაფერი, რაც შვილის ცხოვრებაში ხდება, განსაკუთრებით – სასკოლო ცხოვრებაში, მოზარდები კი ვერ ხვდებიან უფროსების ინტერესის მიზეზს, ამიტომ ჰგონიათ, რომ მშობლები კონტროლზე არიან ორიენტირებული. ისინი ოცნებობენ, მშობლებმა თავი დაანებონ და მშვიდად ცხოვრების ნება მისცენ, მაგრამ მშობლებს არასდროს გაუქრებათ ინტერესი შვილების ცხოვრების წესის მიმართ, თუნდაც მიხვდნენ, რომ ეს აზრს მოკლებულია.

დინ ბარნეტი იმასაც აღნიშნავს, რომ მშობლებს უზარმაზარი პასუხისმგებლობა აკისრიათ ოჯახისა და შვილების წინაშე, ეს კი ნამდვილად დიდი სტრესის გამომწვევია. ადვილი მისახვედრია, რატომ უგულებელყოფენ უფროსები სასკოლო სტრესის გამო შვილების წუწუნს – მათ ხომ თავადაც გადაიტანეს იგივე. მოზარდების შფოთვის ხარისხს კი დიდად ვერ ამცირებს იმის ცოდნა, რომ მსგავსი განცდები სხვებსაც აქვთ.

წიგნის ავტორის აზრით, მოზარდებს სულაც არ სურთ მშობლების განაწყენება. უბრალოდ, მშობლები მეტისმეტად ემოციურად რეაგირებენ ყველაფერზე, არ ცდილობენ, საქმის არსს ჩასწვდნენ, რაც ხშირად მცდარი დასკვნების გამოტანის საფრთხეს წარმოშობს. მათ სურთ, იცოდნენ ყველა წვრილმანი, რაც სკოლაში ხდება. შვილი რთულ სიტუაციაშია: ან მშობლების იმედგაცრუება, ან ისევ ეს ავად სახსენებელი სტრესი. მოზარდი, რა თქმა უნდა, პირველს ირჩევს, – მის ტვინს ახალი შთაბეჭდილებები სჭირდება და არა გადატანილი სტრესის ხელახლა განცდა.

დინ ბარნეტში წიგნში უმთავრესად მოზარდებს მიმართავს და მათ რჩევებსაც აძლევს. ის პრობლემად მიიჩნევს იმას, რომ მშობლები ხშირად ნებით თუ უნებლიეთ აძლიერებენ შვილების სტრესს – ან სრულიად უგულებელყოფენ მათ განცდებს, ან ცდილობენ, დაამცრონ პრობლემა, ზედმეტად აქტიურად განიხილავენ მათ ცხოვრებას ან მათი სწავლა-განათლების პროცესში გადაჭარბებულად ერევიან. ამით გამოწვეული სტრესი კი ნეგატიურ გავლენას ახდენს მოზარდის განათლებაზე. ეს პრობლემა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა, შეიძლება გადაიჭრას მის არსში ჩაწვდომით.

პირველი რჩევა: „მოსწავლეები, რომლებსაც მოსწონთ სკოლაში სწავლა (ასეთებიც არიან), არც ისე მძიმე სტრესს განიცდიან (ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად არაფერს იმჩნევენ). ისინი, სხვა მოზარდებისგან განსხვავებით, ამბოხების სურვილით არ გამოირჩევიან, რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ დამოუკიდებლები არიან და თავად იღებენ გადაწყვეტილებებს სკოლასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამგვარად, თუ არსებობს საგანი, რომელიც მოგწონს ან, უბრალოდ, ადვილად სწავლობ, ეცადე, მასზე კონცენტრირდე. მიზნად დაისახე მისი სრულყოფილად შესწავლა. ამ პროცესში შეიძენ დამოუკიდებლობისა და კონტროლის განცდას, რომელიც გაკლდა. ამით ყველა პრობლემა ერთბაშად არ გადაიჭრება, მაგრამ სტრესის დონე დაიწევს და თავს გაცილებით უკეთ იგრძნობ“.

მეორე რჩევა: „აუცილებელი პირობაა, მშვიდად და აუღელვებლად განუმარტო მშობლებს სიტუაცია. ამით პრობლემის ნაწილობრივ მაინც მოაგვარებ. ხანდახან პოზიტიური შედეგის მისაღწევად საკმარისია საკითხის ფორმულირების შეცვლა. როგორ უნდა მოიქცე, თუ მშობლები დაჟინებით მოითხოვენ პასუხს კითხვაზე: „როგორ მიდის საქმეები სკოლაში?“ – შენ კი პასუხის გაცემის ხალისი და სურვილი არ გაქვს? ნაცვლად იმისა, რომ თავიდან მოიშორო ცნობისმოყვარე მშობლები, შესთავაზე: „იქნებ მოგვიანებით ვისაუბროთ ამაზე? ახლა ძალიან დაღლილი ვარ და დასვენება მჭირდება“. სიტუაციის ასეთი შემობრუნებით მასზე კონტროლს არ დაკარგავ და არც მშობლებს შეულახავ თავმოყვარეობას. მაინც მოგიწევს, მოუყვე მათ სკოლის ამბებს, ოღონდ მაშინ, როდესაც ამისთვის მზად იქნები. იქნებ მართლაც შეძლონ უფროსებმა შენი დახმარება. აუცილებლად უნდა გამოიყენო ყველა ბერკეტი, რაც სწავლას გაგიადვილებს და მას უფრო სასიამოვნოს გახდის“.

მეგი კავთუაშვილი

მშობლების უფლება-მოვალეობები სკოლაში

ოჯახი და სკოლა ბავშვის ზრდასა და განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ. მათ თანამშრომლობას მოსწავლეთა წარმატებისთვის უდიდესი სარგებლობა მოაქვს.

ქართულ სკოლებში სულ უფრო პოპულარული ხდება სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა მონაწილეობის თანამედროვე კონცეფცია, რაც გაცნობიერებულ, პასუხისმგებლობიან მშობლობას და ბავშვის განათლების პროცესში სრულფასოვან ჩაბმას გულისხმობს.

საქართველოს კანონმდებლობით, სასკოლო ცხოვრებაში მშობლების მონაწილეობა ერთდროულად უფლებაც არის და მოვალეობაც. მშობელი, ერთი მხრივ, ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი და მისი უფლებების განხორციელებაზე, ინტერესების დაცვაზე პასუხისმგებელი პირია, მეორე მხრივ, თავად აქვს ვალდებულებები ბავშვისა და სკოლის წინაშე. შესაბამისად, მისი როლი განუზომლად დიდია.

მშობლების პასუხისმგებლობის შესახებ სრულყოფილი წარმოდგენა ცოტას თუ აქვს. უმეტესად მათ მოვალეობად ბავშვის აღზრდა, მასზე ზრუნვა განიხილება. ასეც არის, თუმცა მშობლის პასუხისმგებლობა არ შემოიფარგლება შვილისთვის ზრდილობის ნორმების სწავლებით ან სკოლაში მოწესრიგებული ბავშვის გაშვებით. მას გაცილებით მასშტაბური მოვალეობები აკისრია, რომელთა რეალიზებას სახელმწიფო ორგანოებმა, მათ შორის სკოლამაც, უნდა შეუწყონ ხელი.

თუმცა მოვალეობები უფლებების გარეშე არ არსებობს, ისევე, როგორც უფლებები არ არსებობს მოვალეობების გარეშე.

რა არის ის ძირითადი უფლებები, რასაც საქართველოს კონსტიტუცია, ზოგადი განათლების შესახებ კანონი, ბავშვთა და სამოქალაქო კოდექსები ანიჭებს მშობელს და ყველა მოსწავლის ოჯახმა, მასწავლებელმა, დირექციამ და სკოლაში დასაქმებულმა სხვა პირებმაც უნდა იცოდნენ?

საქართველოს კანონმდებლობით, მშობელს უფლება აქვს:

- სკოლის წარმომადგენელმა გააცნოს მშობლის უფლებები, ხოლო თუ რომელიმე უფლების შეზღუდვა გახდა საჭირო, წინასწარ განემარტოს საფუძველი;
- მოითხოვოს ხარისხიანი განათლება, ბავშვის მიმართ ღირსეული მოპყრობა და უსაფრთხო ფიზიკური და ფსიქოლოგიური გარემო სკოლაში;
- გახდეს მოხალისე და დირექციასთან/მასწავლებელთან თანამშრომლობით დანერგოს არაფორმალური განათლების კომპონენტი სკოლაში; ჩაერთოს სასკოლო აქტივობებში ან თავად დაგეგმოს და განახორციელოს მოსწავლეებისთვის განმავითარებელი აქტივობები სკოლის ტერიტორიაზე ან მის მიღმა;
- პირადად ჩაერთოს შვილის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- გახდეს ან ინფორმირებული გადაწყვეტილების საფუძველზე აირჩიოს სამეურვეო საბჭოს წევრი და ამ გზით მონაწილეობა მიიღოს სკოლის მართვაში;
- თავად ან წარმომადგენლის საშუალებით მონაწილეობა მიიღოს სასკოლო დოკუმენტების შემუშავებასა და განხილვაში (მაგ., სასკოლო წესდება, შინაგანაწესი, სკოლასა და მშობელს შორის არსებული ხელშეკრულება, სასკოლო სასწავლო გეგმა). იმ შემთხვევაში, თუ სასკოლო დოკუმენტების შინაარსს არ ეთანხმება, საჩივრების განხილვის წესის შესაბამისად გაასაჩივროს შიდა სასკოლო რეგულაციები;
- რეგულარულად მიიღოს ინფორმაცია ბავშვის აკადემიური მოსწრებისა და ქცევათა სისტემის შესახებ და თავადაც დაუბრუნოს უკუკავშირი პედაგოგს. ინფორმაციის დეფიციტის შემთხვევაში თავად გამოიჩინოს მასწავლებელთან კომუნიკაციის ინიციატივა;
- საჭიროების შემთხვევაში სკოლის თანამშრომლებს დაუსვას კითხვები სახელმძღვანელოს, სასწავლო მეთოდოლოგიის, პედაგოგიური მიდგომების, სწავლასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ, მოისმინოს მათი უკუკავშირი და ჩაებას ბავშვის/სკოლის განვითარებაზე ორიენტირებულ დიალოგში ზეპირად ან წერილობით;
- მიიღოს მონაწილეობა კვლევებში, საჯაროდ გამოხატოს მოსაზრებები მიმდინარე რეფორმების, განათლების სისტემისა თუ სხვა აქტუალური საკითხების შესახებ;
- თავადაც გამოავლინოს და სკოლის თანამშრომლებისგანაც მოითხოვოს თავაზიანი მოპყრობა, ნეიტრალურობის დაცვა და არადისკრიმინაციულობა;

ქართულ სკოლებში სულ უფრო პოპულარული ხდება სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა მონაწილეობის თანამედროვე კონცეფცია, რაც გაცნობიერებულ, პასუხისმგებლობიან მშობლობას და ბავშვის განათლების პროცესში სრულფასოვან ჩაბმას გულისხმობს.

- თავადაც დაიცვას და სკოლის თანამშრომლებისგანაც მოითხოვოს ბავშვის სწავლასა და თავისუფალ დროს შორის ბალანსის დაცვა;
- სკოლაში ან მის მიღმა პირადად ჩაერთოს სასკოლო გამოწვევების გადაჭრის პროცესში; პრობლემის სკოლაში მოუგვარებლობის შემთხვევაში დახმარებისთვის მიმართოს სკოლის მიღმა არსებულ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, შეხვდეს განათლების პოლიტიკის ავტორებს, გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და მონაწილეობა მიიღოს სკოლის უკეთესობისკენ შეცვლის პროცესში;
- ლეგალური გზებით მოიზიდოს ფინანსები სასკოლო გარემოს განვითარებისთვის;
- თავად შექმნას ან შეუერთდეს მშობელთა ასოციაციებს.

უფლებებთან ერთად მშობლებს მთელი რიგი ვალდებულებებიც აქვთ, რაც იმავე კანონებსა და კოდექსებში წერია.

საქართველოს კანონმდებლობით, მშობელი ვალდებულია:

- პატივი სცეს ბავშვის პიროვნებას;
- სათანადო ყურადღება დაუთმოს ბავშვის მოსაზრებებსა და საჭიროებებს;
- ბავშვს შეუქმნას ჰარმონიული აღზრდის, განვითარებისა და კეთილდღეობისთვის აუცილებელი პირობები;
- მშობელი, ისევე როგორც ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებელი სხვა პირი, ვალდებულია, აღზარდოს ბავშვი მშვიდობის, ადამიანის უფლებების პატივისცემის, შემწყნარებლობის, თანასწორობისა და სოლიდარობის პრინციპებით – საზოგადოების ღირსეულ წევრად, მაღალი ზნეობრივი ღირებულებების მქონე პიროვნებად; იზრუნოს მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისთვის;
- მოამზადოს ბავშვი საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის;
- დაუშვებელია მშობლის მიერ აღზრდის ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც ითვალისწინებს ბავშვის ფიზიკურ დასჯას ან მისდამი სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან/და სასჯელის გამოყენებას;
- მშობლებს აქვთ ბავშვის რჩენის ვალდებულება;
- მშობლებს ევალებათ, დაიცვან არასრულწლოვანი შვილების უფლებები და ინტერესები;
- მშობელი ვალდებულია, მოახდინოს რეაგირება, თუ მისთვის ცნობილი გახდა მესამე პირის მიერ მისი შვილის უფლებების დარღვევის შესახებ. თუ ის უგულებელყოფს ბავშვის უფლებებს, დადგება მისი პასუხისმგებლობის საკითხი;
- მშობელი ვალდებულია, ბავშვს მისი განვითარების შესაძლებლობის გათვალისწინებით მიაწოდოს ინფორმაცია და რჩევა-დარიგებები ბავშვის უფლებების, ამ უფლებების დარღვევის შემთხვევაში დაცვის საშუალებებისა და სხვათა უფლებების პატივისცემის შესახებ;
- მშობელი ვალდებულია, შესაძლებლობის ფარგლებში აქტიური მონაწილეობა მიიღოს ბავშვის ინტერესებს მორგებულ მხარდაჭერის ღონისძიებებში;
- მშობელი ვალდებულია, დაიცვას სკოლასთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;
- მშობელი ვალდებულია, ბავშვი ისე აღზარდოს, რომ ის თავისი ასაკისა და შესაძლებლობების შესაბამისად:
  - ა. აცნობიერებდეს საკუთარ უფლებებს და შეეძლოს მათი დაცვა;
  - ბ. პატივისცემით ეპყრობოდეს ოჯახის წევრებს და სხვა პირებს;
  - გ. პატივს სცემდეს სახელმწიფოს და იცავდეს კანონს;
  - დ. აცნობიერებდეს თავის მოვალეობებს და პატივს სცემდეს სხვათა უფლებებს;
  - ე. მიიღოს განათლება თავისი შესაძლებლობების შესაბამისად;
  - ვ. გაუფრთხილდეს ბუნებრივ გარემოს და დაიცვას ის.

თუ სკოლის თანამშრომლებისთვის ცნობილი გახდა, რომ მშობელი არღვევს ბავშვის უფლებებს, სკოლა ვალდებულია, დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება, შეისწავლოს საკითხი უფლებამოსილების ფარგლებში და საჭიროების შემთხვევაში საქმე ოფიციალურად გადასცეს მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრს ან ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს.

თუ სკოლის თანამშრომლები ხელს უშლიან მშობელს თავისი უფლებების განხორციელებაში, მას შეუძლია, მიმართოს ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრს, განათლების სამინისტროს, სახალხო დამცველს, სასამართლოს და/ან უფლებადამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

სტატიაში გამოყენებული რესურსები:

საქართველოს კონსტიტუცია, ზოგადი განათლების შესახებ კანონი
ბავშვთა უფლებების კოდექსი, სამოქალაქო კოდექსი

მანანა სეხნიაშვილი

ვიფიქროთ და ვისაუბროთ გარემოზე

„2030 წლისთვის ყველა მოსწავლემ უნდა შეიძინოს მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის საჭირო ცოდნა და უნარები, მათ შორის – მდგრადი განვითარებისა და მდგრადი ცხოვრების წესისკენ მიმართული განათლების მეშვეობითაც“.

მდგრადი განვითარების მე-4 მიზანი

სამყაროში მიმდინარე ცვლილებები ხელს უწყობს ახალი აზროვნებისა და საგანმანათლებლო მეთოდების განვითარებას, რაც, თავის მხრივ, პიროვნული ზრდისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების საწინდარია.

სამყაროში მიმდინარე ცვლილებები ხელს უწყობს ახალი აზროვნებისა და საგანმანათლებლო მეთოდების განვითარებას, რაც, თავის მხრივ, პიროვნული ზრდისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების საწინდარია. სკოლაში გარემოსდაცვითი განათლების მიზანია არა მხოლოდ სამყაროს შესახებ ცოდნის მიღება, არამედ ისიც, რომ ამ ცოდნამ ხელი შეუწყოს გარემოსდაცვითი პრინციპების დამკვიდრებასა და გამოყენებას ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში. ეს ყველაფერი საგანმანათლებლო პროცესში გარემოსდაცვითი საქმიანობის წარმართვის ალტერნატიული ფორმებისა და მეთოდების ფართო დანერგვას განაპირობებს.

ჩვენ ეკოლოგიურ განათლებაზე ვსაუბრობდით და მოსწავლეებს გარემოს შესახებ ვასწავლიდით. იქნებ უნდა გვესწავლებინა არა გარემოს შესახებ, არამედ გარემოსთვის?

ასეთი ამოცანები მოითხოვს ბუნებასთან ადამიანის ურთიერთობის გადახედვას და სპეციფიკურ ცოდნას ეკოლოგიის სფეროში – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმარტებით, „განათლება მდგრადი განვითარებისთვის (ESD) აძლევს ადამიანებს უფლებას, შეიცვალონ აზროვნება და იმუშაონ მდგრადი მომავლისთვის“.

განათლება მდგრადი განვითარებისთვის (ESD) არის მიდგომა, რომელიც ხაზს უსვამს ადამიანების დედამიწასთან ჰარმონიაში ცხოვრების მნიშვნელობას. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მხარს უჭერს ESD-ს როგორც გლობალურ საგანმანათლებლო მიზანს.

განათლება მდგრადი განვითარებისთვის ცვლილებების მომტანია. ის გვასწავლის, როგორ ვიფიქროთ და ვისაუბროთ გარემოზე და გარემოსთვის.

გარემოსდაცვითი განათლება მოიცავს გარემოს შესახებ სწავლებას, **განათლება მდგრადი განვითარებისთვის კი** ადამიანებს ასწავლის, როგორ იბრძოლონ მდგრადი ცხოვრებისთვის.

გლობალური კრიზისის პირობებში განათლება წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ გზას მდგრადი განვითარების პრინციპების განსახორციელებლად სოციალური და ინტელექტუალური საფუძვლების ფორმირებისთვის. მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული მზარდი პრობლემების გამო განათლების საჭიროება კვლავ იზრდება. განათლება მდგრადი განვითარებისთვის განიხილება როგორც ახალი ცნობიერებისა და ქცევის ჩამოყალიბების გზა, რომლის მეშვეობითაც შესწორდება ადამიანის განვითარების კურსი.

ლიტერატურაში ბევრი პრინციპია განხილული, რამაც ზოგჯერ შესაძლოა დაბნეულობა გამოიწვიოს.

ელიოტი და დევისი (2009) ამტკიცებენ, რომ ESD „არის განათლება ტრანსფორმაციული (გარდამტეხი) პროგრამით – ის მიზნად ისახავს ცვლილებებს მდგრადი ცხოვრების მიღწევის გზაზე“.

ნასიბულინა (2015) ამტკიცებს, რომ ESD ორიენტირებულია „ეკოლოგიური ცნობიერების განვითარებასა და ეკოლოგიური კულტურის ფორმირებაზე“.

კონცეფცია „განათლება მდგრადი განვითარებისთვის“ გაეროს დოკუმენტებში 2018 წლის მეორე ნახევარში გაჩნდა. ESD-კონცეფციის შემუშავება პირდაპირ კავშირშია დოკუმენტებთან, რომლებიც რიოს 1992 წლის გაეროს კონფერენციაზე მსოფლიო საზოგადოებამ მიიღო. ამ სამიტზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ განათლება მდგრადობის მიღწევის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. სწორედ მაშინ გამოაცხადეს მსოფლიო ლიდერებმა, რომ „განათლება ცვლილების გადამწყვეტი ფაქტორია“.

განათლება მდგრადი განვითარებისთვის სცდება ფორმალური განათლების საზღვრებს, უწყვეტი სწავლის სახით გარემოსდაცვითი ცნობიერების განვითარების პირობას ქმნის და ხელს უწყობს ეკოლოგიური კულტურის ფორმირებას, რაც მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანია.

ამ დროისთვის ESD-ის ძირითადი მიზნებია: სისტემური მსოფლმხედველობისა და კრიტიკული აზროვნების განვითარება, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენა, რაც ხელს უწყობს საზოგადო-

სკოლაში გარემოსდაცვითი განათლების მიზანია არა მხოლოდ სამყაროს შესახებ ცოდნის მიღება, არამედ ისიც, რომ ამ ცოდნამ ხელი შეუწყოს გარემოსდაცვითი პრინციპების დამკვიდრებასა და გამოყენებას ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში. ეს ყველაფერი საგანმანათლებლო პროცესში გარემოსდაცვითი საქმიანობის წარმართვის ალტერნატიული ფორმებისა და მეთოდების ფართო დანერგვას განაპირობებს.

ების მდგრად განვითარებას, ცხოვრების ჯანსაღი წესის სწავლებას, მაღალი მორალური ფასეულობების, სოციალური აქტივიზმის გავრცელებას.

გთავაზობთ ESD-ის შვიდ პრინციპს, რომლებიც კარგად ასახავს მის კონცეფციას:

1. **ტრანსფორმაცია და ცვლილება.** ადამიანებს უნდა მიეცეთ უფლება, შეიტანონ ცვლილებები როგორც საკუთარ, ისე სკოლებისა და ადგილობრივი თემების ცხოვრებაში. ESD-ის მიზანია შესაბამისი ქმედებებით მდგრადი მომავლისკენ სწრაფვა.
2. **მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლა ყველასთვის.** ESD არ გვხვდება მხოლოდ სკოლებში. ის შეიძლება ყველგან იყოს ოფიციალურ და არაფორმალურ სასწავლო გარემოში, მათ შორის – სამუშაო ადგილებზე, საზოგადოებრივ შეხვედრებზე, სპორტულ კლუბებში. ის განკუთვნილია ყველა ასაკისთვის.
3. **სისტემური აზროვნება.** ეს ტერმინი ნიშნავს, რომ ყველა ერთმანეთთან ვართ დაკავშირებული. როგორ? მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ეკოლოგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სისტემები ერთმანეთთან კავშირშია და ერთმანეთზეა დამოკიდებული.
4. **უკეთესი მომავალი.** ჩვენ უნდა ვისწრაფოდეთ უკეთესი მომავლისკენ, რომელშიც ბუნებასთან ჰარმონიულად ვიცხოვრებთ.
5. **კრიტიკული აზროვნება.** ამჟამად მსოფლიო კლიმატური კატასტროფის ზღურბლზეა. ასე რომ, ჩვენ უნდა ვასწავლოთ ადამიანებს კრიტიკულად და შემოქმედებითად აზროვნება, რათა იპოვონ პრობლემის მოგვარების ახალი გზები და შეძლონ ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც მდგრადობის გზაზე დაგვაბრუნებს.
6. **მონაწილეობა.** ყველა უნდა ვისწრაფოდეთ უფრო მდგრადი სამყაროსა და ნაკლები ეკოლოგიური კვალისკენ. ასე რომ, ESD წაახალისებს კვლევასა და პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას, რომელიც საშუალებას მოგვცემს, მოქმედების პროცესშიც შევიმეცნოთ.
7. **პარტნიორობა ცვლილებებისთვის.** ჩვენ ერთად უნდა ვიმუშაოთ ცვლილებებისთვის. მდგრადი მომავლის შესაქმნელად საჭიროა სკოლების ერთმანეთთან თანამშრომლობა, მთავრობებისა და სათემო ჯგუფების კოოპერაცია.

იმისთვის, რომ ხელი შევუწყოთ ტრანსფორმაციულ სწავლებას, მნიშვნელოვანია, მზად ვიყოთ ცვლილებებისთვის.

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

წიგნს:
„მედიაწიგნიერების გაკვეთილები“

www.tpdc.ge